# 24 საათი

www.24hours.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 24 აგვისტო, 2004 წელი. №200 (749)

ფასი 50 თეთრი


## პოლიტიკა

### მიმართვა

ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებს, მსოფლიოს რელიგიურ ლიდერებს, საერთაშორისო თანამეგობრობას



მიმართვას ხელს აწერენ დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი აბრაამი, ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსი გრიგოლი, დმანელი ეპისკოპოსი ზენონი.

A2

## უცხოეთი

### ჩეჩნეთის მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები და "გმირი" კადიროვი



მრავლისმეტყველია, რომ რუსეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვი და ალუ ალხანოვი თან წაიყვანა სოჭში და იქ გააგრძელა მათთან საუბარი.

A5

## საზოგადოება

### ვინ ამწვავებს "ივერიაში" მდგომარეობას?



დევნილები მთავრობის მისამართით უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

A6

## სამართალი

### ყალბი პასპორტების დამზადება-გასაღებით დაკავებული ჯგუფის წევრებს ეძებენ

A7

## ამინდი

| | 24/8 | 25/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 34 |
| ქუთაისი | 36 | 33 |
| ბათუმი | 33 | 26 |
| სოხუმი | 31 | 27 |
| ფოთი | 33 | 29 |
| თელავი | 34 | 33 |
| ზუგდიდი | 34 | 32 |
| გორი | 32 | 30 |
| ახმეტა | 34 | 33 |
| ჭიათურა | 34 | 32 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8150 |
| ევრო | 2.2444 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3245 |
| რუბლი | 0.0621 |

# პრობლემის ტემპერატურა

ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე მსჯელობენ დავით ზურაბიშვილი (პარლამენტარი), ნიკოლოზ რურუა (პარლამენტარი) და დავით დარჩიაშვილი (ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი)



*შეჩერებული კონფლიქტის სამშვიდობო მოტივები.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*"ჩვენ პრობლემის ტემპერატურა გავიგეთ. ვითარების დაძაბვა საჭირო იყო, სხვაგვარად ამ ტემპერატურას ვერ გავიგებდით - ვისთან გვაქვს საქმე, რა ხალხია, რა ძალებია. დღეს დიაგნოზისთვის, შემდგომი მოქმედებებისთვის ყველა საჭირო ინფორმაცია გვაქვს," - ასე მიიჩნევენ "24 საათის" დღევანდელი სტუმრები, რომლებიც ცხინვალში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე საუბრობენ.*

სოფო ბუკია

**- რამ გამოიწვია ის, რომ მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების ყველანაირი მცდელობისა, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი მშვიდობიანად მოეგვარებინა, მაინც მოხდა საქართველოს ჩათრევა სამხედრო მოქმედებებში?**

**დავით ზურაბიშვილი:** დავიწყოთ იქიდან, რომ საქართველოს ხელისუფლების სამხედრო მოქმედებებში ჩათრევა ვერ მოხერხდა. იყო საფრთხე იმისა, რომ კონფლიქტი გაფორმდებოდა ასეთნაირად: აი, მიდის ეთნოკონფლიქტი ოსებსა და ქართველებს შორის და რუსეთი რაღაც შუამავალი ძალაა. ეს სცენარი არ გათამაშდა. მთელმა მსოფლიომ დაინახა - მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო თვალსაზრისით ამ ტერიტორიის გაკონტროლება შეგვეძლო, საბრძოლო სიმაღლეების აღებაც ამისი დასტური იყო, ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ვითარება ჩამცხრალიყო.

ეს კონფლიქტი ვინ წამოიწყო, მგონი, ყველასათვის კარგად არის ცნობილი - ცხინვალში სეპარატისტები რუსეთის ძალების დახმარებით მოქმედებდნენ. ასეთ ფონზე, ქართული მხარე არა თუ ჩაერთო კონფლიქტში, არამედ მისი თავიდან აცილება მოხერხდა. რა თქმა უნდა, უმჯობესი იყო, საერთოდ არ დაღვრილიყო სისხლი და არ დაღუპულიყვნენ სამხედროები, მაგრამ ეს, როგორც იტყვიან,

გაგრძელება A3 გვერდზე

# საჩხერეში ვქეიფობთ, საჩხერეში!

კახა ფაჩუაშვილი
*ათენიდან*

*...გიორგი ასანიძეს საჩხერიდან დაურეკეს. აპა, პა, პა! არაფრის გაგონება არ გვინდა, თბილისში რავარც ჩამოხვალ, საჩხერისკენ უკარი თავიო. "აპა რავა!" - იყო პასუხი. მართლაც, რა ჯობია გრილ, იმერულ ფანჩატურში კაი ხალხთან ცივი ღვინის დალევას - ასანიძე პირველად საჩხერეში მიემგზავრება.*

- რა ღვინოს დამახვედრებენ, ჯერ არ ვიცი, მაგრამ ახლა აგვისტოა და შეიძლება ჯიბრიტა შევსვათ. შავი ყურძენია, საფერავს ჰგავს.

**- თვითონ თუ იცი ღვინის დაყენება?**

- ღვინის დაყენება როგორ არ ვიცი. მე სოფლელი კაცი ვარ. არა აქვს მნიშვნელობა, 15 წელი თბილისში ვცხოვრობ თუ ვარშავაში. სოფელში გავიზარდე და ღვინის დაყენებაც მეხერხება.

**- აბა, კარგი ღვინო თუ გექნება, იმედია, გაგვასინჯებ კიდეც.**

- სამწუხაროდ, იმდენი ვენახი არ მაქვს, ბევრი ღვინო მომეპოვებოდეს, მაგრამ სახლისთვის კი მაქვს.

**- აბა, საჩხერეში დიდი ამბავი იქნება.**

- ძალიან გაეხარდათ. პირველი ზარი საჩხერიდან იყო. ბატონმა პრეზიდენტმაც დამირეკა, პრემიერ-მინისტრმაც, პარლამენტის თავმჯდომარემაც. მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი სიხარული საჩხერიდან ჩემი მეგობრების ზარი იყო, ვისთანაც გავიზარდე, კაცად ჩამოვყალიბდი. ამიტომ თბილისიდან პირდაპირ საჩხერეში წავალ. მინდა, ჩემს კუთხეს ჩავეხუტო, მოვეფერო.

**- მეც გავიგე, რავა ხარ, ხვიჩა, შე ლომოო, რომ უთხარი.**

- ბევრმა ხვიჩამ დარეკა თბილისიდანაც, საჩხერიდანაც და ათენიდანაც. ათენში ერთი მეგობარი მყავს, ხვიჩა მაისურაძე. ერთად ვვარჯიშობდით. ისიც ვანო გრიქუროვის მოწაფე იყო. მომილოცა და სახლში დამპატიჟა.

გაგრძელება B4 გვერდზე

# ზღვარი სახელმწიფო ინტერესებსა და ცენზურას შორის

ეკა კვესიტაძე

როგორ უნდა მოიქცეს მედია, როდესაც ქვეყანა საომარ, ან ლამის საომარ მდგომარეობაშია? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა ძალზე ძნელია და, ბუნებრივია, არც მე მაქვს ამის პრეტენზია. მით უმეტეს, რომ ეს საკითხი უკვე კარგა ხანია, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოებებისთვისაც სერიოზულ დილემად იქცა.

თავისუფალი მედიის ცენზურა ან, ზოგიერთ შემთხვევაში, მედიის მიერ თვითცენზურა ყოველთვის ერთი და იგივე რკინის არგუმენტით მართლდება - ასეა საჭირო დღეს, რადგან ეს სახელმწიფო ინტერესებს სჭირდება.

თუ კონკრეტულ პრიორიტეტებს თავს დავანებებთ, ცნება "სახელმწიფოს ინტერესი" საკმაოდ ზოგადია და ის ძალიან ხშირად სუბიექტურ აღქმას ექვემდებარება. მაგალითად, დღეს ბევრი საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის დაცვას, პირველ რიგში, იეღოველების, კათოლიკეების თუ სხვა აღმსარებლობის ადამიანების პირისაგან მიწისა აღგვაში და ფუნდამენტალისტურ-ნაციონალისტური იდეების აღორძინებაში ხედავს. ძალიან ბევრისთვის კი ასეთი ქმედებები ქვეყნის ჭეშმარიტ სახელმწიფოებრივ ინტერესებს ძირშივე ეწინააღმდეგება და ა. შ.

როდესაც საქმე სახელმწიფოებრივი საიდუმლოს არგამჟღავნებას ეხება, აქ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ როდესაც ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა არაა (საგანგებო მდგომარეობის დროს პრესის ცენზურა კონსტიტუციითაა დაშვებული) და როცა საქმე კონკრეტულ სახელმწიფო საიდუმლოებას არ ეხება, მაშინ სად გადის ზღვარი სიმართლის თქმასა და ცენზურის აუცილებლობას შორის?

ეს არის კითხვა, რომელიც დღეს ცხინვალში განვითარებული მოვლენების შემდეგ საკმაოდ აქტუალური გახდა ქართული საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელსაც თავისუფალი პრესა განსაკუთრებით დიდ მონაპოვრად და გამარჯვებად მიაჩნია.

"ნიუ-იორკ ტაიმსის" ისტორიაში ბევრი მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი შემთხვევაა. მათ შორის არის ერთი, რომელიც სტატიის თავში დასმული დილემის კლასიკური მაგალითია. საქმე ამერიკის ხელისუფლების მიერ კუბაში დესანტის გადასხმას ეხებოდა ("Bay of Pigs" invasion. 1961). ეს ინფრომაცია რამდენიმე დღით ადრე "ნიუ-იორკ ტაიმსისთვის" გახდა ცნობილი. გაზეთმა ექსპერტების გამოკითხვის საფუძველზე გამოიკვლია, რომ ამ ოპერაციის ჩატარება

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქართველო დასავლეთისგან მხარდაჭერას ითხოვს

გიორგი ასანიშვილი

*საქართველოს ხელისუფლებას არ სურს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხში რუსეთთან "ერთი ერთზე" დარჩეს და დასავლეთისგან ქმედით მხარდაჭერას ითხოვს. "თუ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან სერიოზული დახმარება და აქტიური ჩარევა არ იქნება, მაშინ კონფლიქტის ზონაში დღეს არსებული მყიფე მშვიდობა დიდხანს ვერ შენარჩუნდება. ამას არც ადგილობრივი მოსახლეობა შეეგუება და არც ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობა", - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.*

სპიკერის თქმით, უცხოელმა მეგობრებმა უნდა იცოდნენ, რაში სჭირდება დღეს საქართველოს დახმარება და რა არის საჭირო კონფლიქტის სა-

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 წერილები მთავრობას
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ფოლკლორი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# მიმართვა

## ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებს, მსოფლიოს რელიგიურ ლიდერებს, საერთაშორისო თანამეგობრობას



*მიმართვის ტექსტის წარდგენა საზოგადოებისთვის.*

საქართველოს სუვერენული სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე - ცხინვალის რეგიონში - ხორციელდება რუსეთის ხელისუფლების აგრესია, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის მოშლას. რუსეთის ეს პოლიტიკა თავის ასახვას პოულობს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დამოკიდებულებაში თვით კონფლიქტისა და კონფლიქტის ზონაში მიმდინარე პროცესებისადმი, რაც მიზნად ისახავს რა რუსეთის ეკლესიის იურისდიქციის დამკვიდრებას საქართველოს განუყოფელ ტერიტორიაზე, ეხმიანება რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკას აღნიშნული პრობლემებისადმი და წაახალისებს სეპარატისტულ ხელისუფლებას.

რუსეთის დაქირავებული ბოევიკებისა და რუსეთის მიერ წაქეზებული სეპარატისტების მხრიდან ადგილი აქვს ჩვენი სოფლების დაბომბვებს, იღვრება უდანაშაულო ადამიანების სისხლი, აშკარად გამოიკვეთა დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში სეპარატისტების მიერ ეთნიკური წმენდის განხორციელების საშიშროება. ჩვენი თანამოქალაქეები ისევ ლტოლვილები არიან საკუთარ ქვეყანაში და ჩვენი სახელმწიფო ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე დადგა.

რუსეთის ხელისუფლება და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ცდილობს, ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტი ქართველი და ოსი ხალხების დაპირისპირებად წარმოაჩინოს, სინამდვილეში კი ისევ ადგილი აქვს რუსეთის იმპერიულ აგრესიას სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ამ აგრესიაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიაც აქტიურ მონაწილეობას იღებს. მის მიერ გაგზავნილმა სამღვდელოებამ უკანონოდ დაიპყრო სეპარატისტული ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული ტაძრები, რის გამოც ადგილობრივ მღვდელმთავარს და სამღვდელოებას არ ეძლევა შესაძლებლობა საეკლესიო მსახურების განხორციელებისა, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება წმიდა სამოციქულო ტრადიციებს, საეკლესიო კანონებს და წარმოადგენს სერიოზულ დარღვევას. ცხინვალის რეგიონში შემოჭრილი რუსეთის ეკლესიის სამღვდელოება და კოკოითის დე ფაქტო ხელისუფლება ეწევიან მართლმადიდებელი სარწმუნოების პოლიტიკურ მანიპულაციას, რაც გამოიხატება მართლმადიდებლობის ე. წ. "სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებასა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიის რუსეთის ეკლესიისათვის შეერთების მცდელობებში. რუსეთი ცდილობს საქართველოსათვის ცხინვალის რეგიონის არა მარტო ტერიტორიულ, არამედ ეკლესიურ ჩამოშორებასაც. გვსურს შევახსენოთ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელ ჩვენს სულიერ ძმებს, რომ ეს ყოველივე ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, არამედ სახარების მარადიულ ჭეშმარიტებებს. უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მოწაფეებმა ქვეყნიერების კიდით-კიდემდე განფინეს ქრისტეს მიერ დაფუძნებული ეკლესია ჭეშმარიტების შესამეცნებლად და სულის ამოსვლამდე იღვაწეს და მთელი მათი მოღვაწეობა მიმართული იყო იმისკენ, რომ ხალხთათვის საღვთო სიყვარულის სისრულეში მშვიდობისა და სამართლიანობის სიკეთე ემცნოთ. "აწ უკუე მშვიდობასა შეუდგეთ და აღშენებასა..." (რომ.14,19) წერს წმ. პავლე მოციქული რომაელებს და წარმოაჩენს იმ სულისკვეთებას, რომელიც ეკლესიის მაცხოვნებელი წიაღიდან მომდინარეობს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველი წევრი და ჩვენ, მათ შორის, სრულყოფილად ვაცნობიერებთ და ვადასტურებთ, რომ ჩვენ გაერთიანებულნი ვართ მშვიდობისათვის, რომლის მოცემაც ძალუძს მხოლოდ ღმერთს (იოანე 14,27). ყველაზე უწინარეს ეს გულისხმობს გულის და გონების განწმედას და პასუხისმგებლობას აღმატებული სიმართლისათვის (მათე 5,20). რა თქმა უნდა, იგულისხმება არა ნებისმიერი მშვიდობა, არამედ მშვიდობა ღმრთისა, რომელიც ყველა გონებაზე უზენაესია (ფილ. 4,7) და არა ნებისმიერი სიმართლე, არამედ "სიმართლე ღმრთისა" (რომ. 1,17).

ჩვენ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრები, მხარს ვუჭერთ დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ყველაფერს აკეთებს არსებული კონფლიქტის უსისხლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი დიალოგის გზით მოგვარებისათვის, რაც კიდევ ერთხელ გამოიხატა კონფლიქტის ზონიდან შეიარაღებული ძალების ცალმხრივ გამოყვანაში. რუსეთის ხელისუფლება და მის მიერ წაქეზებული სეპარატისტები კი ცდილობენ, საქართველო ფართომასშტაბიან სამხედრო კონფლიქტში ჩაითრიონ.

პრეზიდენტ ვ.პუტინის ბოლოდროინდელი განცხადებები სერიოზულ საშიშროებას უქმნის როგორც სამშვიდობო პროცესს, ასევე მშვიდობიან მოლაპარაკებებს, რომლის საგანიც უნდა იყოს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში და არა საქართველოს შემადგენლობაში მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

ჩვენ მივმართავათ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებს, მსოფლიოს რელიგიურ ლიდერებს, საერთაშორისო თანამეგობრობას, რათა მათ ქმედითად დაუჭირონ მხარი საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო პოლიტიკას და დაგმონ რუსეთის იმპერიული აგრესია.

*დასავლეთ ევროპის*
*მიტროპოლიტი* ***აბრაამი***
*ფოთისა და ხობის*
*მთავარეპისკოპოსი* ***გრიგოლი***
*დმანელი ეპისკოპოსი* ***ზენონი***
***თბილისი, 23 აგვისტო 2004***

# უშიშროების მინისტრის "დახურული" ვიზიტი

უშიშროების მინისტრის ვანო მერაბიშვილის ვიზიტი კახეთში საკადრო ცვლილებებთან, ხშირ შემთხვევაში კი, სპეცოპერაციებთან ასოცირდება.

გუშინ უშიშროების მინისტრი გურჯაანის რაიონის გამგეობას გუბერნატორ პეტრე ცისკარიშვილთან ერთად ეწვია. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა, მხოლოდ სახელისუფლებო პარტიის რეგიონული ორგანიზაციის წევრებთან შედგა.

როგორც ჩვენთან საუბარში "ნაციონალური მოძრაობის" წევრები აღნიშნავდნენ, ვანო მერაბიშვილის სტუმრობა კახეთში კონფლიქტური რეგიონების თემაზე მსჯელობას ეძღვნებოდა. კომენტარისგან თავად მერაბიშვილმა თავი შეიკავა და მისი პასუხი, როგორც ყოველთვის, ლაკონური იყო: **"საუბარი გვქონდა"**.

გავრცელებული ვერსიით კი, ამჯერად ყურადღების ობიექტი პანკისის ხეობა ხდება. ამის მიზეზი კადიროვის მიერ ოსების დასაცავად გაკეთებული სკანდალური განცხადება სახელდება. სანდო წყაროს ინფორმაციით, უშიშროება ჩეჩნეთიდან პანკისში გადმოსასვლელი გზის კონტროლის გამკაცრებას იწყებს.

გურჯაანელებთან მერაბიშვილის სტუმრობა ერთ საათს გაგრძელდა, შემდეგ კი, როგორც "ნაციონალები" ამბობდნენ, უშიშროების მინისტრმა შუამთაში გაისეირნა.

***24 საათი***

# საქართველო დასავლეთისგან მხარდაჭერას ითხოვს



*ნინო ბურჯანაძე გუშინ მთელი დღე ცდილობდა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის საქართველოს პოზიცია განემარტა.*

იური ლობოდინის ფოტო

პირველი გვერდიდან

მართლიანი დარეგულირებისთვის.

დასავლეთის მხრიდან არსებით მხარდაჭერაში პარლამენტის თავმჯდომარე, უპირველეს ყოვლისა, ეუთო-ს მონიტორინგის გაფართოებას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, სხვა საკითხებთან ერთად, როკის გვირაბის გაკონტროლებასაც ითვალისწინებს. ნინო ბურჯანაძის თქმით, **"ოსი სეპარატისტები ვერ მიიღებდნენ სამხედრო შეიარაღებას, რომ არა რუსების ხელშეწყობა და როკის გვირაბით ამ იარაღის შემოტანა"**.

პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრებზე ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ყოფნის საკითხი დეკემბრის ბოლოსთვის კიდევ უფრო მეტ აქტუალობას შეიძენს. ვინაიდან რუსეთი ამ მისიისთვის უფლებამოსილების გაგრძელებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება, ნინო ბურჯანაძე სთხოვს ეუთო-ს მუდმივ წარმომადგენელს საქართველოში როი რივს და კონფლიქტების დარეგულირების ცენტრის ხელმძღვანელს ლამბერტო ზანერს, რომ მათ თავიანთი ორგანიზაციის სათავო ოფისს აცნობონ საქართველოს პოზიცია, რომელიც საზღვრების მონიტორინგის გაგრძელების აუცილებლობაში გამოიხატება.

პარლამენტის სპიკერს კარგად ესმის, რომ კონფლიქტის ზონაში განთავსებული სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაცია მოკლე დროში ვერ მოხერხდება. ამის წინაპირობად ბურჯანაძე ცხინვალის რეგიონში ეუთო-ს მონიტორინგის ჯგუფის ყოფნას მიიჩნევს, რომელიც მოვლენების განვითარებას თვალყურს მიადევნებს და მათ პოლიტიკურ შეფასებებს მისცემს.

პარლამენტის თავმჯდომარე რუსეთის ხელისუფლების მხრიდან დემარშს უწოდებს იმას, რომ კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე ტერიტორიაზე სამხედრო წვრთნებს აწყობს. **"რას იტყოდა ოფიციალური მოსკოვი, ცეცხლის შეწყვეტისთანავე, საქართველოს ხელისუფლებას გორის რაიონში ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლება რომ ჩაეტარებინა?"** - კითხულობს ნინო ბურჯანაძე.

იგი სინანულს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ **"ისეთი დიდი ქვეყნის პრეზიდენტი, როგორიც რუსეთია, ბოლომდე არ არის ინფორმირებული იმ საკითხებზე, რომელზეც კომენტარის გაკეთება უხდება"**. ამ შემთხვევაში, სპიკერს მხედველობაში აქვს ვლადიმირ პუტინის მიერ გაკეთებული განცხადებები, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების გაჩაღებაში ბრალი მთლიანად საქართველოს ძველ ხელისუფლებას მიუძღვის.

**"კარგ რჩევებს ჩვენ ყველასგან მივიღებთ, ოღონდ, ისინი მენტორული ტონით არ უნდა იყოს წარმოთქმული. მით უმეტეს, რუსეთის მიერ, რომელიც თავის დროზე (და არც ახლა აკლებს) ამ კონფლიქტების ინსპირატორი იყო"**, - ყველაფერს თავის სახელს არქმევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

როი რივთან და ლამბერტო ზანერთან გამართული დახურული შეხვედრის შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბარში ნინო ბურჯანაძე ქართულ-ოსურ კონფლიქტში ჩეჩნების შესაძლო ჩაბმის თემასაც შეეხო. სპიკერის თქმით, ჩეჩნებს დღეს საკუთარი პრობლემები აქვთ და ალოგიკური იქნება, ისინი საქართველოში საბრძოლველად რომ გამოემართონ.

**"მე მგონია, რომ ეს რუსული სპეცსამსახურების ხრიკებია, რათა საქართველოში რუსული ჯარის ნაწილები გამოუშვან და ისინი ჩეჩნურ დაჯგუფებებად მონათლონ. 10-15 ჩეჩენის პოვნა და ამ ნაწილებში მათი ჩასმა მოსკოვისთვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს,"** - აღნიშნავს პარლამენტის ხელმძღვანელი.

რაც შეეხება ეუთო-ს წარმომადგენელთა მიერ ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ გაკეთებულ კომენტარს, იგი საკმაოდ ზოგადია და ტრაფარეტული ფრაზებით შემოიფარგლება.

**"ჩვენ შეწუხებულები ვართ სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებით. ბოლო დროს მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა, რაც ოპტიმიზმს გვმატებს. კონფლიქტის ზონიდან ძალოვანების გაყვანის შემდეგ დიპლომატიური გზებით ყველაფერი უნდა გაკეთდეს მიღწეული მშვიდობის შესანარჩუნებლად,"** - აცხადებს როი რივი.

ეუთო-ს წარმომადგენლების გარდა, ნინო ბურჯანაძე გუშინ ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ჰაიკი

# არჩევნები აფხაზურად და "პოლიტიკური ხუმრობა"

ნინო გომართელი

აფხაზეთში წინასაარჩევნო ბატალიები მიმდინარეობს. პრეზიდენტობის კანდიდატების დასახელების პროცედურა დასრულდა. ადგილზე მოქმედმა პოლიტიკურმა პარტიებმა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოძრაობებმა და საინიციატივო ჯგუფებმა 20 დღის განმავლობაში თავიანთი რჩეულები წარადგინეს.

შედეგად კი, გაპრეზიდენტების სურვილი ცხრა კანდიდატმა გამოთქვა. მათ შორის არის ყოფილი პარტიზანული დაჯგუფება "თეთრი ლეგიონის" ლიდერი ზურაბ სამუშია. სავარაუდოდ, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია მას პრეზიდენტობის კანდიდატად არ დაარეგისტრირებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სამუშიას აღნიშნული მცდელობა არცთუ დადებითად მოქმედებს საქართველოს ინტერესებზე, რადგან იგი თავისი აქციით, ფაქტობრივად, აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს.

რაც შეეხება სოხუმის პოზიციას, ყოფილი "თეთრი ლეგიონის" მეთაურის სურვილს არც მათში გამოუწვევია აღფრთოვანება. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამ ინიციატივას "პოლიტიკური ხუმრობაც" კი უწოდა.

პრეზიდენტობის სურვილის მქონე სხვა კანდიდატები კი არიან "ჩერნომორენერგოს" გენერალური დირექტორი სერგეი ბაღაფში, რომელიც 1995 წელს იყო ვიცე-პრემიერი, ხოლო 1997-1999 წლებში - პრემიერის პოსტი ეკავა. ასევე, მოსკოვში აფხაზური დიასპორის ხელმძღვანელი, აფხაზეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, ბიზნესმენი და პოლიტიკური მოძრაობა "აიტაირას" ("აღორძინება") ლიდერი ალექსანდრე ანქვაბი. რაც შეეხება კიდევ ერთ კანდიდატს ანრი ჯერგენიას, რომელიც არძინბას ახლო ნათესავია, იგი 2001-2002 წლებში აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებდა და წლების განმავლობაში კურირებდა მოლაპარაკებებს თბილისთან. პრეზიდენტობის სურვილი აქვს ასევე სერგეი შამბას, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ხოლო ივნისში თანამდებობა დატოვა. კანდიდატთა სავარაუდო სიაშია ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა, პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბა, სახალხო პარტიის თავმჯდომარე იაკუბ ლაკობა და ქალაქ სოხუმის ყოფილი მერი ნოდარ ხაშბა.

ბაღაფშს, ანქვაბსა და ხაჯიმბას, საინიციატივო ჯგუფების გარდა, საზოგადოებრივი მოძრაობები "ამცახარა", "აიტაირა" და რესპუბლიკური პარტია "აფსნი" უჭერენ მხარს. პრეზიდენტობის დანარჩენი კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობის შესახებ განცხადება კი საინიციატივო ჯგუფებმა წარადგინეს.

მოახლოებულ არჩევნებში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოქმედი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას რჩეული და ფავორიტი პრემიერ-მინისტრი რაულ ხაჯიმბაა.

**"მე რაულ ხაჯიმბას დიდხანს ვამზადებდი აფხაზეთის მომავალ პრეზიდენტად. მისი შეხედულებები ყველაზე მეტად შეესაბამება აფხაზი ხალხისა და მრავალეროვანი აფხაზეთის მოსახლეობის ინტერესებს,"** - ძლივს წარმოთქვა არძინბამ ადგილობრივი ტელევიზიით გამოსვლისას.

რაულ ხაჯიმბა, რომელიც 2001 - 2002 წლებში ვიცე-პრემიერისა და თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი იყო, პრემიერ-მინისტრის პოსტზე 2002 წლის მაისში დაინიშნა. სხვათა შორის, მთელი ამ ხნის განმავლობაში, სწორედ ის ასრულებს მისი "გამზრდელის" - არძინბას ფუნქციებს.

ყველა ამ ფაქტორის ფონზე, აფხაზეთის მოსახლეობაში აქტიურად მიმდინარეობს ხაჯიმბას მხარდამჭერთა სიების შეგროვება. სახელმწიფო პრესაში იბეჭდება ინტელიგენციის წერილები მის მხარდასაჭერად. სახელმწიფო ტელევიზია, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით, ელექტორატზე ზემოქმედების მიზნით, საინფორმაციო გამოშვებებში ყოველდღიურად, მთელი მონდომებით აშუქებს პრეზიდენტობის კანდიდატის თითოეულ ნაბიჯს.

წინასაარჩევნო კამპანიას ახორციელებენ სხვა კანდიდატებიც. ისინი ჩადიან თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ყველა რეგიონში, ხვდებიან მოსახლეობას, არიგებენ პარტიულ გაზეთებს, თუმცა - ყოველგვარი ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე, რადგან ყველაზე მეტი უპირატესობა მაინც სახელისუფლებო კანდიდატს - ხაჯიმბას აქვს.

საინტერესოა სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტის ვალერი არშბას პრეზიდენტობის ამბიციაც, რაც, გარკვეულწილად, ამყარებს მოსაზრებას აფხაზეთის ხელისუფლებაში არსებული უთანხმოების შესახებ.

**"გამარჯვების იმედი რომ არ მქონდეს, არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებდი. ამ საკითხზე პრეზიდენტ არძინბასაც ვესაუბრე და დარწმუნებული ვარ, რომ ის საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას პრობლემებს არ შემიქმნის,"** - ხაზგასმით ამბობს არშბა, თუმცა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ დასუსტებულ არძინბას არავინ არაფერს ეკითხება და აბსოლუტური მმართველი მხოლოდ ხაჯიმბაა, რომელსაც რუსეთის მხარდაჭერაც აქვს.

აფხაზეთის პარლამენტის მიერ 30 მაისს მიღებული "არჩევნების შესახებ" კანონის თანახმად, თვითგამოცხადებული აფხაზეთის პრეზიდენტობის ყველა კანდიდატმა აფხაზური ენის ცოდნაზე ტესტი უნდა გაიაროს, რომლის შედეგების დადგენა საარჩევნო კომისიასთან არსებულ ლინგვისტურ კომისიას ევალება. კანონის ერთ-ერთი დებულების მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატს აფხაზურ ენაზე 10 წუთის განმავლობაში ნებისმიერ თემაზე უნდა შეეძლოს საუბარი.

ტესტირება წარმატებით გაიარეს პრეზიდენტობის კანდიდატებმა სერგეი ბაღაფშმა, პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ და საგარეო საქმეთა ექს-მინისტრმა სერგეი შამბამ.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია 3 ოქტომბრისათვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე კანდიდატთა ვინაობას 3 სექტემბერს დაასახელებს.

პრეზიდენტი აფხაზეთში 5 წლით ირჩევა. კონსტიტუციით, პრეზიდენტად მხოლოდ აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში მცხოვრები, აფხაზი ეროვნების პირი შეიძლება აირჩეს, თანაც იმ შემთხვევაში, თუ მას 35 წელი შეუსრულდა. ამასთან, პრეზიდენტობის კანდიდატად პირის წამოყენება არ შეიძლება, თუ მისი ასაკი 65 წელს აღემატება. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად მხოლოდ ორჯერ შეიძლება იქნეს არჩეული.

# დეპუტატები კონფლიქტის ზონის მოსახლეობას ეხმარებიან

გიორგი ასანიშვილი

*ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების მოსახლეობის სულისკვეთებით აღფრთოვანებულია. "კაცს სახლი აქვს დანგრეული და გვეუბნება, მაგას თავი დაანებეთ, მე თვითონ მივხედავ, თქვენ სკოლის აღდგენასა და საჭიდაო დარბაზის მოწყობაში მოგვეხმარეთო. ქალიან-კაციანად მაგარ "დუხზე" არიან", - სიამაყით შენიშნავს პარლამენტარი.*

კონფლიქტის ზონაში კანონმდებლების ჩასვლა პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ინიციატივის საფუძველზე მოხდა. ვასილ მაღლაფერიძესთან ერთად, გუშინ ცხინვალის რეგიონის სოფლებში იმყოფებოდნენ ზემოაღნიშნული კომისიის სხვა წევრები, დეპუტატები - ზურაბ ცქიტიშვილი და რომან კუსიანი.

**"სიტუაცია, ერთი შეხედვით, თითქოს სტაბილურია. აღარ არის სროლები, შეწყდა სისხლისღვრა, მაგრამ მშვიდობასაც არ ეთქმის მყარი,"** - აღნიშნავს მაღლაფერიძე, რომელიც თავის ნათქვამის დასადასტურებლად, პატარა ლიახვის სოფელ აწრისხევში ორშაბათს მომხდარ ფაქტს ასახელებს, როდესაც შეიარაღებულმა ოსებმა, იარაღის მუქარით, მოსახლეობას საქონელი გასტაცეს.

დეპუტატებს გადაწყვეტილი აქვთ, კონფლიქტის ზონის მოსახლეობას ყოფითი და საზოგადო პრობლემების მოგვარებაში მაქსიმალურად დაეხმარონ. მაღლაფერიძე "პირობას იძლევა", რომ მისი და მისი კოლეგების ძალისხმევით გადაიხურება ერედვის თემის რამდენიმე სკოლის შენობა, ისინი მომარაგდებიან სასკოლო ინვენტარით, ერთ-ერთ მათგანში მოეწყობა კომპიუტერული კლასი, მთლიანად აღდგება თავის დროზე ევროკავშირის დახმარებით ევრორემონტჩატარებული და ამჟამად სერიოზულად დაზიანებული, თამარაშენის საშუალო სკოლის შენობა. გარდა ამისა, სასწავლო დაწესებულებებისთვის რეგიონში შეტანილი იქნება სამშენებლო მასალა...

**"თბილისში დაბრუნებისთანავე, მერხებზე უკვე მივეცით შეკვეთა,"** - აცხადებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, რომლის თქმითაც, რეგიონში გუშინდელი სტუმრობის დროს მოსახლეობის წინაშე აღებულ "ვალდებულებებს", თავის კოლეგებთან ერთად, აუცილებლად ბოლომდე მიიყვანს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი მიესალმება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო მანდატის არმქონე საჯარისო შენაერთების გაყვანას. "კონფლიქტის ყველა მხარეს, ეუთოს და სხვა პარტნიორებს მოვუწოდებთ, მაქსიმალურად გამოიყენონ ჯარების გამოყვანით შექმნილი ეს პოზიტიური მომენტი და საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტისთვის მოლაპარაკებების ეფექტური მექანიზმი შექმნან, რომლის ფარგლებშიც საქართველოში შენარჩუნებული იქნება სამხრეთ ოსეთის ავტონომიის სტატუსი," - ნათქვამია აშშ-ს საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალის რეგიონში შექმნილი ვითარების შესწავლის მიზნით საქართველოში ვიზიტით მყოფი, ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ჰაიკი ტალვიტიე რუსეთის ელჩს ვლადიმერ ჩხიკვიშვილს შეხვდა. მასთან შეხვედრამდე ევროკავშირის წარმომადგენელმა ამერიკის ელჩთან საქართველოში რიჩარდ მაილსთან გამართა შეხვედრა. დღეისთვის იგეგმება ტალვიტიეს ვიზიტი კონფლიქტის ზონაში და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორშაბათს ეუთოს და შერეული სამშვიდობო ძალების სამხედრო დამკვირვებლებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დასახლებული პუნქტების შემოწმება დაიწყეს. შემოწმება უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გამოვლენის მიზნით ხორციელდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიის საკითხებში ჰაიკე ტალვიტიე საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას ორშაბათს შეხვდა და საქართველოში შექმნილ ვითარებაზე ესაუბრა. როგორც ევროკავშირის წარმომადგენელმა ჟვანიასთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რუს სამშვიდობოებს კონფლიქტის დარეგულირებაში გადამწყვეტი როლი აკისრიათ და ქართულ მხარეს რუსეთის მთავრობასთან დიალოგისკენ მოუწოდა.

ოფიციალურ მოსკოვთან ამ საკითხების მოსაგვარებლად ჰაიკე ტალვიტიე კვირის ბოლოს მოსკოვში გაემგზავრება. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პრობლემის ტემპერატურა



დავით ზურაბიშვილი



ნიკა რურუა



'24 საათის' ფოტოარქივი

დავით დარჩიაშვილი

პირველი გვერდიდან

ჩვენზე დამოკიდებული არ იყო. ეს წამოიწყეს ძალებმა, რომლებსაც კონფლიქტის გამწვავება ხელს აძლევთ, ჩვენ კი, პირიქით, შევაჩერეთ ეს პროცესები და მშვიდობის დასამყარებლად ყველაფერი გავაკეთეთ. მეტს, უბრალოდ, ვერაფერს ვიზამდით.

**ნიკა რურუა:** საქართველო კონფლიქტში ჩათრეული იქნებოდა მაშინ, თუ ჩვენ დავიწყებდით ფართომასშტაბიან მოქმედებებს, რომელთაც რეაქციის სახე ექნებოდათ. ის, რაც ცხინვალის რეგიონში მოხდა, სრულიად მოსალოდნელი იყო და პროცესების ჩვეული განვითარება გახლდათ. ნახეთ, ცხინვალის რეგიონში ჰუმანიტარული დახმარებები წავიდა, ურთიერთობა გაცოცხლდა. იმთავითვე ცხადი იყო, რომ ეს ყველაფერი დაძაბავდა ვითარებას. მშვიდობიან პოლიტიკურ პროცესებს ვერ შეეგუენ და დაგვიპირისპირდნენ.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული მკვეთრი ქმედებები, იგივე კონტრაბანდასთან და ჰუმანიტარულ აქციებთან დაკავშირებით, ნაადრევი იყო? ანუ, რამდენად სწორად მოხდა პოლიტიკურად შესაფერისი მომენტის შერჩევა საამისოდ?**

**დავით ზურაბიშვილი:** სწორედ შევარდნაძის დროს ველოდებოდით ასეთ პოლიტიკურ მომენტს, რომელიც არა და არ დადგა. მომენტი, როდესაც რუსეთი სეპარატისტულ რეჟიმებს ლანგარზე მოგვართმევს და გვეტყვის, აი, ბატონო, იყავით მთლიანი და თქვენი კუთვნილი ტერიტორიები შეიერთეთო, არასოდეს დადგება. როგორ დინჯადაც არ უნდა გვემოქმედა, ჩვენ მაინც მივიდოდით იქამდე, სადაც მივედით. ის, რაც მოხდა, აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო. მთავარი იყო, ჩვენ ნათლად დაგვენახებინა ჩვენი პოზიცია მთელი მსოფლიოსთვისაც და ჩვენი მოსახლეობისთვისაც - საქართველოს ხელისუფლებას შესწევს ძალა, სამხრეთ ოსეთის პრობლემა სამხედრო ძალის გამოყენებითაც მოაგვაროს და მშვიდობიანადაც. ასეთ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე მშვიდობიან მოლაპარაკებებზე არ წამოვიდა, ჩვენ სრული უფლება გვაქვს, ძალა გამოვიყენოთ.

პრინციპში, ჩვენ ორ ფრონტზე გვიწევს ბრძოლა - ერთი ფრონტია ოსური სეპარატისტული რეჟიმი და რუსეთის რეაქციული ძალები, თავად რუსული სახელმწიფო; მეორე ფრონტია ამერიკის შეერთებული შტატები და საერთაშორისო ორგანიზაციები. ჩვენ ამ ფრონტზეც საინფორმაციო ომის მოგება გვჭირდება.

**ნიკა რურუა:** მომენტიც სწორად შეირჩა და მოქმედებებიც. რეალურად, ამ ყველაფრის შედეგად ჩვენ პრობლემის ტემპერატურა გავიგეთ. სხვაგვარად ამ ტემპერატურას ვერ გავიგებდით. თორმეტი წელი სამხრეთ ოსეთში არაფერი მომხდარა, თუ ეს პრობლემა აქტუალური არ გახდებოდა, ვერაფერს გავიგებდით - ვისთან გვაქვს საქმე, რა ხალხია, რა ძალებია. დღეს დიაგნოზისთვის, შემდგომი მოქმედებებისთვის ყველა საჭირო ინფორმაცია გვაქვს. ამ ყველაფრის გასაგებად კი პროცესის დაძაბვა იყო საჭირო. უნდა გაგვეგო, რაზეა თანახმა ის ხალხი, ვინც დღეს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას წარმოადგენს. როგორც ირკვევა, ეს ხალხი იქაური მოსახლეობის ინტერესებს აბსოლუტურად არ წარმოადგენს. ისინი, უბრალოდ, შეშფოთებულნი არიან იმით, რომ კონტრაბანდის უზარმაზარი წყარო გადაეკეტათ.

**დავით დარჩიაშვილი:** ჰუმანიტარული აქციები, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ წამოიწყო, ცხინვალის მოსახლეობაში ისე იქნა აღქმული, რომ ამ ჰუმანიტარული დახმარებების უკან რაღაც იმალებოდა. თუ დღეს ფქვილით დატვირთული სამშვიდობო საბარგო მანქანა მოდის, ფიქრობენ, რომ მას ტანკი მოჰყვება. ასეთი განწყობაა. ან მეორე - აი, ჩვენი ყიდვა უნდათ; ჩვენ უნდა გავყიდოთ ჩვენი იდეალები ფქვილზე და ა.შ. ქართული ხელისუფლების ნებას დაუპირისპირდა ოსური ნაციონალიზმი, შერწყმული იმ კრიმინალურ ინტერესთან, რომელზეც დღეს ბევრს საუბრობენ. ძნელია გარედან, ჩემი მხრიდან იმის მტკიცება, ასე სჯობდა თუ ისე. მე არ ვფლობ იმ ინფორმაციას და არ ვმონაწილეობ იმ პოლიტიკის განსაზღვრაში, რაშიც ხელისუფლება მონაწილეობს. შესაძლოა, ეს ნაბიჯები გამოყენებული იქნა იმისათვის, რომ პროცესი მკვდარი წერტილიდან დაძრულიყო. ამ შემთხვევაში ამ ჰუმანიტარულ აქციებს გარკვეული ახსნა აქვს. ხოლო თუ ამ პროცესის შედეგად ელოდნენ იმას, რომ ორ კვირაში ყველაფერი აჭარული სცენარით განვითარდებოდა, მაშინ ეს დიდი შეცდომა იყო.

**- სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენები აჭარის ხავერდოვანი რევოლუციის ეიფორიის შედეგი ხომ არ იყო? ზედმეტად თვითდაჯერებული ხომ არ გახდა ხელისუფლება აჭარის შემდეგ?**

**დავით დარჩიაშვილი:** შესაძლოა. ხელისუფლება ხომ ერთი კაცისგან არ შედგება, ეს არის პოლიტიკოსებისა და თანამდებობის პირების მთელი წრე. მათში რომელიღაცას შეიძლება ჰქონოდა კიდეც ეიფორიული განწყობა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში პირდაპირ ვიტყვი, რომ ეს დიდი შეცდომა იყო. აჭარისაგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთში შეხება გვაქვს ნაციონალიზმთან, რაც ყველაზე ძლიერი მსოფლმხედველობაა თანამედროვე სამყაროში. აჭარაში ეს არ იყო. იქ ლაპარაკი იყო კონკრეტული, ძალაუფლებისათვის მებრძოლი ჯგუფის დამარცხებაზე. ცხინვალში კი საზოგადოების, ხალხის პრობლემაა. სამხრეთ ოსეთში ეთნიკურად სხვა ხალხი ცხოვრობს, მათ ჩამოყალიბებული აქვთ შეხედულება, რომ ქართველი აგრესორია, ქართველი მისი მიწების მიმთვისებელია.

**ნიკა რურუა:** საქართველოს ხელისუფლებაში ნამდვილად არავის ჰქონდა იმის ილუზია, რომ სამხრეთ ოსეთში ყველაფერი ისე დამთავრდებოდა, როგორც აჭარაში. არა მგონია, ასეთი მიამიტი ხელისუფლება გვყავდეს.

**დავით ზურაბიშვილი:** რა თქმა უნდა, აჭარა და "თავდაჯერებულობა" აქ არაფერ შუაშია. ეს არასწორი მიდგომაა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რა დროსაც არ უნდა დაგვეწყო სამხრეთ ოსეთში კონტრაბანდასთან ბრძოლა და ჰუმანიტარული აქციები და როგორ ნელა და დინჯად არ უნდა გვემოქმედა, აბსოლუტურად იგივე მოხდებოდა, რაც მოხდა.

**- ანუ ჩვენზე არაფერი არ არის დამოკიდებული?**

**დავით ზურაბიშვილი:** არა, ჩვენზე დამოკიდებული ის არის, რომ ჩვენ ძალიან აქტიურები უნდა ვიყოთ და უფრო ადრე გავაკეთოთ ის, რაც აუცილებლად გასაკეთებელია. ანუ, ძალიან პათეტიკურად კი გამომდის, მაგრამ ოსეთის და აფხაზეთის საკითხი ჩვენს შვილებს და მომავალ თაობებს არ უნდა დავუტოვოთ მოსაგვარებლად. ასეთი საკითხები თავისთავად არ გვარდება, საჭიროა აქტიური ქმედება. რა თქმა უნდა, დღეს შეგვიძლია დავსხდეთ და ვიმსჯელოთ, რა მოხდებოდა, თუ ეს პროცესი ერთი თვით ადრე დაიწყებოდა ან ერთი თვით გვიან... ნებისმიერ შემთხვევაში სიტუაციის გამწვავება გარდაუვალი იქნებოდა. ეს ორჯერ ორივით არის. მგონი, ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ რუსეთი ცხინვალის პრობლემის გადაჭრას არ შეეგუება. თუ საქართველომ დაკარგული ტერიტორიები დაიბრუნა, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი საქართველოზე კონტროლს დაკარგავს. ამას რუსეთი ძნელად შეეგუება. თვითონ რუსეთისთვის სამხრეთ ოსეთი არავითარ სტრატეგიულ და სამხედრო-პოლიტიკურ ღირებულებას არ წარმოადგენს, მაგრამ ეს ძალიან დიდი პრეცედენტია იგივე აფხაზეთთან მიმართებაში, აფხაზეთს კი რუსეთისთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. რუსეთი მიიჩვია იმ რეალობას, რომ ამ ათწლეულის განმავლობაში საქართველოზე ზემოქმედების მუდმივ ბერკეტს ფლობს. სწორედ ამ რეალობასთან გვიხდება დაპირისპირება. როგორც კი ამ რეალობას შევეხეთ და რუსებმაც დაინახეს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამ პრობლემის გადაჭრას სერიოზულად მოჰკიდა ხელი და ეს არ არის რაღაც პიარ-აქცია, იმ წუთში რუსებმა ყველა ბერკეტი მოქმედებაში მოიყვანეს.

**- ცხინვალის რეგიონიდან საჯარისო ნაწილების გამოყვანა - ეს იყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უკან დახევა თუ აღიარება იმისა, რომ ახლა არ არის შესაბამისი პოლიტიკური მომენტი და სჯობს, სტატუსკვოს დავუბრუნდეთ?**

**დავით დარჩიაშვილი:** ხელისუფლებამ, მთლიანობაში, ძალიან ბევრი რამე გაიგო ამ კონფლიქტის შესახებ, იმ დინამიკის შესახებ, რაც ამ კონფლიქტის ირგვლივ ვითარდება. ეს ყველაფერი, ცხადია, გამოცდილებით მოვიდა, ცოდნით მოვიდა. ამდენად, მე მგონია, რომ ის ნაბიჯი, რაც გადაიდგა, ამ ცოდნის და გამოცდილების ადეკვატური იყო. ყოველ შემთხვევაში, არცთუ ისე სახარბიელო ვითარებაში, ხელისუფლებამ ოპტიმალური გამოსავალი მოძებნა. ძალიან საინტერესო მომენტები დააფიქსირა ცხინვალის ბოლოდროინდელმა მოვლენებმა. ერთი ის, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ მეორე მხარისათვის ნაჩვენები იქნა ძალა. სამწუხაროდ, ძალა კონფლიქტების გადაწყვეტაში ისევ ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მეორე მხრივ, ამას მოჰყვა პოლიტიკური ნების დემონსტრირება. ასევე ნაჩვენები იქნა, რომ საქართველოს ხელისუფლება საკუთარ ძალოვან სტრუქტურებზე კონტროლს ფლობს. და კიდევ, განხორციელებულ იქნა, ერთი შეხედვით, არაპოპულარული ნაბიჯი - ჯარების გამოყვანას ვგულისხმობ. საქართველოს ხელისუფლებამ ისიც აჩვენა, რომ არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმაც არ უჭირს. ამ ნაბიჯით ქართულმა მხარემ სამშვიდობო ნება გამოხატა და დაამტკიცა, რომ საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებელია. ამდენად, ეს ნაბიჯები მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია.

პრობლემა მაქსიმალურად მშვიდობიანად უნდა გადაწყდეს, ძალა შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა სხვა საშუალების ამოწურვის შემდეგ. ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ სწორედ ამ პრინციპებით იმოქმედა.

**- საერთაშორისო რეზონანსი ოსეთის მოვლენებთან დაკავშირებით დადებითი არ არის. ცხინვალის მოვლენების დროს საერთაშორისო საზოგადოება დუმდა...**

**დავით ზურაბიშვილი:** მსოფლიო მიჩვეულია გაყინულ კონფლიქტებს, რომლებიც უამრავია მთელ მსოფლიოში. ბევრს სულ არ აინტერესებს, ესა თუ ის ტერიტორია ვისი იქნება, მთავარია, მშვიდობა იყოს, ავტომატი არ ისროლონ. ჩვენ უნდა დავანახოთ მთელ მსოფლიოს, რომ ცხინვალის რეგიონი კონტრაბანდის სერიოზული კერაა, სადაც დესტაბილიზაციის არსებობა მარტო საქართველოს პრობლემა კი არა, მთელი მსოფლიოს პრობლემაა. სწორედ ამისკენაა მიმართული მთავრობის ქმედებები, იგივე, საერთაშორისო კონფერენციის მოწყობის იდეას ვგულისხმობ და ა.შ. ანუ, კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია უნდა მოხდეს.

**ნიკა რურუა:** თავდაპირველად, საერთაშორისო საზოგადოება მოვლენების განვითარებას აკვირდებოდა... შემდეგ, ყველამ ერთხმად დააფიქსირა და აღიარა, რომ საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გადაწყვეტის მომხრეა. ყველა წამყვანი დასავლური გაზეთი აღნიშნავს, რომ საქართველომ ცხინვალის რეგიონიდან ჯარების გამოყვანით და იქ გატარებული პოლიტიკით რუსეთს ამ დისტანციაზე აშკარად მოუგო ინფორმაციული ომი. ისედაც და ასედაც მართლები ვართ. ეს დღეები ცხინვალში არაფერი მომხდარა, ჩვენი ოპონენტები დაბნეულები არიან. ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების ჩართვა, პრობლემის ინტერნაციონალიზაცია. მარტო ჩვენ ამ პრობლემას ვერ გადავწყვეტთ, თუმცა ამისთვისაც მზად უნდა ვიყოთ და ვემზადებით კიდეც. ამ პრობლემის განზოგადება უნდა მოხდეს, ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ეს მარტო ჩვენი პრობლემა არ არის. პოტენციურად, სამხრეთ ოსეთი არის საერთაშორისო ტერორიზმის თავშესაფარი და უკანონო იარაღით ვაჭრობის თავშესაფარი... ეს კი მარტო ჩვენი პრობლემა არ არის, ეს საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემაა.

**დავით დარჩიაშვილი:** მთლიანობაში, საერთაშორისო საზოგადოება ამ კონფლიქტის ესკალაციით მართლაც ძალიან შეშფოთებული იყო. ეს შეშფოთება, რა თქმა უნდა, რუსეთის როლზეც ვრცელდებოდა. ასევე, დადებითი და მომგებიანი იმიჯი არა აქვს ცხინვალის ხელისუფლებასაც, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან გარკვეული შეშფოთება საქართველოს ხელისუფლების მოქმედებების გამოც გამოითქმებოდა. ისინი შიშობდნენ, ეს ყველაფერი ახალი ესკალაციის საწინდარი ხომ არ არის და ყოველივე ეს ქვეყნის მშენებლობას, სახელმწიფოს რეფორმირებას ხომ არ დააბრკოლებს. სტაბილურობის სურვილი საერთაშორისო თანამეგობრობას ყოველთვის აქვს. მაგრამ, ამავე დროს, საბედნიეროდ, ამ საერთაშორისო თანამეგობრობას ესმის, რომ ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემას რაღაც მოვუხერხოთ. დაუსრულებელი უმოქმედობა გამოსავალი არ არის. ძალიან ძნელია მოიფიქრო ისეთი იდეალური გამოსავალი, რომ არც მწვადი დაწვა და არც შამფური. მძიმე ვითარებაშია საქართველოს ხელისუფლება, არაერთგვაროვანია საერთაშორისო ფონი, მაგრამ ეს არის სწორედ პოლიტიკა, ეს არის ქვეყნის მშენებლობა.

საერთაშორისო კონფერენცია, რომლის მოწყობაც იგეგმება, იქნებოდა ერთი ნაბიჯი საერთაშორისო თანამეგობრობის უფრო აქტიურად ჩართვისთვის ამ კონფლიქტის გადაწყვეტაში. აუცილებლად უნდა გააქტიურდეს საუბარი სტატუსზე. სტატუსზე საუბარი უნდა წარიმართოს როგორც მსოფლიო თანამეგობრობასთან, ისე თვითონ ოსურ მხარესთან. ამ თემის დაუსრულებლად გადადება, უბრალოდ, დაუშვებელია.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი კოზირი, მთავარი იარაღი საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობაა. საჭიროა საერთაშორისო კეთილგანწყობის შემდგომი გენერირება. ამავე დროს, საერთაშორისო მხარდაჭერა ერთადერთი საშუალებაა იმისთვის, რომ განეიტრალდეს ე.წ. მესამე მხარის, რუსეთის როლი, რომელიც სინამდვილეში, კონფლიქტის მონაწილე მხარედ აღიქმება და სავსებით სამართლიანადაც.

**- რუსულ ანალიტიკურ წრეებში მიიჩნევენ, რომ საქართველოს ხელისუფლება აღებულ კურსს ბოლომდე მიჰყვება და ქვეყნის გასამთლიანებლად ყველა საშუალებითა და მეთოდით იბრძოლებს. ამასთან, რუსი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ამ მიზნისკენ მიმავალი გზა საქართველოს სერიოზულ საომარ მოქმედებებს უქადის...**

**დავით დარჩიაშვილი:** საქართველოს მთლიანობა ისეთი ფორმით, როგორც მავანს, შეიძლება, სიზმრებში წარმოუდგენია, ვერ აღდგება. ანუ საქართველო ვერ იქნება ცენტრალიზებული, ერთმმართველობაზე დაფუძნებული სახელმწიფო. ვფიქრობ, რომ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ეს კარგად აქვს შეგნებული. ამაზე მეტყველებს პრეზიდენტის სიტყვებიც, რაც მან მოსკოვში ვიზიტის დროსაც თქვა და შემდეგაც არაერთგზის გაიმეორა. პრეზიდენტი ამბობს, რომ სამხრეთ ოსეთს ექნება ისეთივე სტატუსი, როგორიც ჩრდილოეთ ოსეთს აქვს და უფრო დიდ ავტონომიაზე საუბარიც შეიძლება. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ამ ხელისუფლებაში თანამედროვე საქართველოს ვითარება კარგად აქვთ გაცნობიერებული. ამდენად, ქვეყნის მთლიანობის სწორედ ასეთი ფორმით აღდგენა არის ის ოქროს შუალედი, რომლის დროსაც არც კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია მოხდება და, ამავე დროს, სახელმწიფოს ერთიანობის ძირეული პრინციპებიც დაცული იქნება.

სვეტი

## ზღვარი სახელმწიფო ინტერესებსა და ცენზურას შორის

პირველი გვერდიდან

სახელმწიფოს დიდ პრობლემებს შეუქმნიდა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ (პირადად პრეზიდენტმა კენედიმ) მაინც მოახერხა გაზეთის დარწმუნება იმაში, რომ ინფორმაციის გამჟღავნება ქვეყნის ინტერესებს დააზარალებდა.

"ნიუ-იორკ ტაიმსს" არაფერი დაუბეჭდავს. ოპერაცია კი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ ჩაატარა, ძალიან წარუმატებელი აღმოჩნდა. მაშინ ამ თემასთან დაკავშირებით კონგრესში გამართულ მოსმენაზე, პირველ რიგში, "ნიუ-იორკ ტაიმსის" რედაქტორი დაადანაშაულეს იმისათვის, რომ მან მის ხელთ არსებული ინფორმაცია არ დაბეჭდა, რომელსაც შეეძლო, შეეჩერებინა ოპერაციის ჩატარება.

ეს მაგალითი კიდევ ერთხელ ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ძნელია ცალსახად იმის მტკიცება, რა შედის სახელმწიფო ინტერესებში და რა - არა.

ის, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ქართული სახელმწიფოს უპირველესი ინტერესია, ბუნებრივია, ეჭვს და კითხვებს არ ბადებს. მაგრამ გზები, რომელიც შეიძლება ხელისუფლებამ ამ მიზნის მისაღწევად აირჩიოს, სხვადასხვაგვარია და, შესაბამისად, საზოგადოებრივი მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. ამ პროცესში კი საზოგადოებრიობის ჩართულობა, პირველ რიგში, მედიამ უნდა უზრუნველყოს.

"24 საათის" გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით "კონსოლიდირებული დემოკრატიის პროექტი". სათაური, პირადად ჩემთვის, სრულიად გაუგებარია. კარგია, ავტორი მის მიერ შექმნილ სიტყვათშეთანხმებას რომ მაინც ხსნის და მკითხველს პირდაპირ ეუბნება, რას გულისხმობს ამ ტერმინში - ეს არის ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები (რომელიც სამოქალაქო საზოგადოებამ უარყოფითად შეაფასა), მორჩილი, "არაპლურალისტური" პარლამენტი, დეცენტრალიზაციის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები, ცენზურისა და თვიცენზურის გაზრდა პრესაზე და ა. შ. მეტნაკლებად გასაგებია, რისი თქმა უნდა ამ წერილის ავტორს, მაგრამ სრულიად გაუგებარია ერთი რამ - რა საერთო აქვს ამ ყველაფერს დემოკრატიასთან.

ყველამ კარგად ვიცით, რას ნიშნავს დემოკრატია და რა არის ის მთავარი ღირებულებები, რომელსაც ნებისმიერ ქვეყანაში საზოგადოებრივი წყობილების ეს ყველაზე წარმატებული ფორმაცია ემყარება.

წერილის ავტორი კი, რომელიც ყველა ამ ღირებულებას კონცეპტუალურად ეწინააღმდეგება, თავის ახალ თეორიას თუ ჩანაფიქრს რატომღაც მაინც "კონსოლიდირებულ დემოკრატიას" უწოდებს.

ეს ტერმინი, მიუხედავად შინარსობრივი გაუგებრობისა (ისევე, როგორც ბოლო დროს ატაცებული სიტყვათშეთანხმება, "მართული ქაოსი"), შესაძლოა, მალე გახდეს ქართული პოლიტიკური ელიტის სავიზიტო გამოთქმა, რადგან თავად პრეზიდენტი სააკაშვილი, არაერთხელ ყოფილა ამგვარი იდეების გამხმოვანებელი.

ვინც ჩვენს აზრს არ იზიარებს, ის ჩვენი მტერია - დაახლოებით ასეთი იყო პრეზიდენტის ნათქვამის დედააზრი, როცა ის პარლამენტის მიერ აჭარის შესახებ ახალი კანონის ერთხმად მიღების აუცილებლობაზე საუბრობდა. პოპულარული პრეზიდენტის ასეთი ტიპის გამოსვლები ოპოზიციური აზრის არსებობის აუცილებლობას უკვე სერიოზულად აყენებს ეჭვის ქვეშ, თან ეს სახელმწიფო ინტერესების დაცვის სახელით ხდება. ოპოზიციური აზრის არარსებობა კი, რატომღაც, კონსოლიდირებული საზოგადოების შექმნის უპირველეს წინაპირობად სახელდება.

როცა კონსოლიდირებულ საზოგადოებაზეა საუბარი, პირველ რიგში, ბუნებრივია, ერთ ღირებულებებზე ორინეტირებული საზოგადოება იგულისხმება, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული, თუ რა ტიპის სახელმწიფოს აშენება სურს.

ჩვენი საზოგადოება კონსოლიდირებული იყო რევოლუციის დღეებში, რადგან მან ზუსტად იცოდა, რა არ სურდა.

დღეს კი უკვე იმის დროა, რომ ზუსტად ვიცოდეთ, რა გვინდა. ანუ დღეს საზოგადოების კონსოლიდაცია ნიშნავს იმას, რომ ძირითად ფასეულობათა ერთი სისტემა ვაღიაროთ და ვთქვათ, რომ დემოკრატიული, თავისუფალი ქვეყნის აშენება გვინდა, სადაც ამ ქვეყნის ყველა მოქალაქის უფლებას კანონი დაიცავს. ხოლო ამ მიზნის მისაღწევად, ბევრ სხვა რამესთან ერთად, უმთავრესი სიტყვის თავისუფლება და ყველა სასიცოცხლო საკითხის გარშემო ჯანსაღი დებატების გამართვაა.

როცა ცხინვალის რეგიონში შინაგანი ჯარის ნაწილები შევიდნენ, მაშინ არავის დაუსვამს კითხვა - რა გეგმა ჰქონდა ხელისუფლებას, როცა ეს ნაბიჯი გადადგა? მზად იყო თუ არა ყველა იმ ავანტიურისთვის და პროვოკაციისთვის, რომელსაც მას კოკოითის ხელისუფლება აუცილებლად მოუმზადებდა. ნაადრევი ხომ არ იყო ის ნაბიჯები, რომელიც გადაიდგა და რამდენად გამართლებული იყო ამ ნაბიჯების გადადგმა არსებულ პოლიტიკურ გარემოში.

ეს კითხვები გაჩნდა, მაგრამ მედიამ საზოგადოებას ეს ინტერესი არ დაუკმაყოფილა. რატომღაც ჩაითვალა, რომ იმ მომენტში კითხვების დასმაც კი მოღალატეობას ნიშნავდა. ამის გამო, ერთადერთი შეგრძნება, რაც მოსახლეობას დარჩა, არის გაუგებრობა, რაც მხრების აჩეჩვითა და უბრალო კითხვით გამოიხატება - რისთვის დაიღუპნენ ის ბიჭები? ეს ნამდვილად არ არის საზოგადოების კონსოლიდაცია.

ნაბიჯი, რომელიც ხელისუფლებამ გადადგა, შესაძლოა ერთადერთი და უალტერნატივო იყო, მაგრამ მისი უალტერნატივობა მხოლოდ მაშინ დამტკიცდებოდა, თუ საზოგადოება უფრო მეტ არგუმენტს მოისმენდა ამ ნაბიჯის სასარგებლოდ, ვიდრე მის საწინააღმდეგოდ. მსგავსი დისკუსია, სამწუხაროდ, არ შემდგარა.

რისი იმედით დაიწყო აქტიური ქმედება ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთში? - ჰქონდა თუ არა მას საკუთარი ძალის იმედი? ცხადი იყო, ამგვარი ქმედებების განსახორციელებლად საგარეო პოლიტიკაში ნამდვილად არ იყო ხელსაყრელი ფონი. რუსეთს ჯერ კიდევ არ აქვს მონელებული ის, რაც აჭარში მოხდა და ერთი სული აქვს, როდის წაიმტვრევს ცხვირს საქართველოს ახლაგაზრდა პრეზიდენტი, რომელსაც, ჯერჯერობით, ბედი აშკარად სწყალობს და საერთაშორისო პოპულარობაც არ აკლია. ამერიკა კი მთლინად არის ჩართული ერაყის ომსა და მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, ამიტომ ცხადია, დიდ დროს ვერ დაუთმობს საქართველოს და, რაც მთავარია, ის ყოველთვის კატეგორიული წინააღდეგია ყოველგვარი სამხედრო ოპერაციების.

მას შემდეგ, რაც სიტუაცია სამხრეთ ოსეთში ჩიხში შევიდა, პრეზიდენტი და მისი გარემოცვა იძულებული გახდნენ, გაეთვალისწინებინათ ის გარემოებები, რაც თავის დროზე არ ან ვერ გაითვალისწინეს, შესაძლოა აჭარული ეიფორიის თუ პუტინისადმი სააკაშვილის დაუსაბუთებლად დიდი ნდობის გამო. ჯარების გამოყვანა, სიტუაციის უკიდურესად გამწვავების ფონზე, ერთადერთი გამოსავალი იყო, რომელიც ქვეყანას ახალი სისხლისღვრისგან იხსნიდა. ამ გადაწყვეტილების უალტერნატივობაზე დღეს ყველა საუბრობს, ხელისუფლება და მედია. სამაგიეროდ, არც მედია ცდილობს სხვა უფრო მწვავე კითხვების დასმას და არც ხელისუფლებას აქვს ამგვარ კითხვებზე პასუხის გაცემის სურვილი. ახლა მნიშვნელოვანი იმ არც თუ დიდი მონაპოვრის შენარჩუნებაა, რომელიც სამხრეთ ოსეთში დღეს არსებულ მდგომარეობას წლების განმავლობაში დაკონსორვებული სტატუ კვოსგან განასხვავებს - ეს კონტრაბანდის შეკავება და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების კონსოლიდირებაა სეპარატიზმის პრობლემაზე. თუმცა, მთავარი და გადამწყვეტი, ბუნებრივია, მოთმინება და ქვეყნის შიგნიდან გაძლიერებაა.

სანამ არ დაისმება მტკივნეული კითხვები, სანამ ხელიუფლება არ გადაეჩვევა ჯანსაღი კრიტიკისადმი მტრულად მოპყრობას, სანამ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები არ გაძლიერდება, სანამ არ გავაცნობიერებთ, რომ ჩვენი მთავარი მონაპოვარი დემოკრატიაა და არა ნავთობსადენი, სანამ არ დავიჯერებთ, რომ ყველგან და ყველაფერში მხოლოდ ლიბერალური ფასეულობებისადმი ერთგულებაა ქვეყნის წინსვლისა და ეკონომიკის განვითარების ერთადერთი წინაპირობა, გამარჯვების იმედი არ უნდა გვქონდეს.

ჯერჯერობით კი ხელისუფლება და, ნაწილობრივ თავისუფალი მედიაც, ამ ეგრეთ წოდებული "კონსოლიდირებული დემოკრატიის" იდეებით არის შეპყრობილი. ამ გაუგებარი თეორიის ერთგულების გზა კი კვაზი პუტინიზაციისაკენ მიგვიყვანს, ისიც უკეთეს შემთხვევაში. სხვათაშორის, ინგლისური პოლიტიკური ტერმინი - Consolidate Democracy - ჩამოყალიბებულ დემოკრატიას ნიშნავს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "თბილგაზის" გენერალური დირექტორი დედაქალაქის მოსახლეობას ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენის თაობაზე ინფორმაციას მიმდინარე კვირის ბოლოს მიაწვდის. მისი თქმით, დედაქალაქისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენისა და "გაზპრომისათვის" 10 მილიონი დოლარის ვალის დაფარვის საკითხებზე თბილისის მთავრობასთან და "გაზპრომთან" კონსულტაციები მიმდინარეობს. მოლაპარაკებების შედეგები პარასკევს, პროფკავშირების სასახლეში "თბილგაზის" თანამშრომლებთან შეკრებაზე გახმაურდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერია დედაქალაქში ექსპერიმენტული პროექტის განხორციელებას იწყებს. დიდ დიღომში წყლის მრიცხველები დამონტაჟდება და დედაქალაქის ხელმძღვანელობა მოსახლეობის მიერ წყლის მოხმარების შესახებ რეალურ ინფორმაციას მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ გიორგი მჟავანაძემ რეგულირების საფასურის ახალი დებულება დაამტკიცა. ახალი დებულების მიხედვით, რომელიც 3 სექტემბრიდან შევა ძალაში, ავიაგადამზიდველები თბილისის აეროპორტიდან გადაყვანილ ერთ მგზავრზე - 5 დოლარს, საქართველოს სხვა აეროპორტებიდან გადაყვანილ ყოველ მგზავრზე - 4 დოლარს, რეგიონული გადამყვან-გადამზიდველებს კი მგზავრზე 3 დოლარის გადახდა მოუწევთ. თუ პირი რეგულირების საფასურს დადგენილი ოდენობითა და განსაზღვრულ ვადებში ვერ გადაიხდის, ადმინისტრაციას უფლება აქვს, დამრღვევის მიერ მარეგულირებელი ფუნქციების განხორციელება შეაჩეროს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიო ბანკმა საქართველოსთვის ფინანსური დახმარების გადაწყვეტილება მიიღო - ბიუჯეტის ანგარიშზე მსოფლიო ბანკის სტრუქტურული გარდაქმნების საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, 24 მლნ აშშ დოლარი ორშაბათს გადაირიცხა. კრედიტი ითვალისწინებს ქვეყნის ფისკალური სტაბილურობისა და სიღარიბის შემცირების ხელშეწყობას. კრედიტის მიზანია სახელმწიფო მართვის სექტორში რეფორმების მხარდაჭერა, სამთავრობო სექტორისა და სახელმწიფო ხარჯების განკარგვის გაუმჯობესება და ანტიკორუფციული ღონისძიებების მხარდაჭერა. კრედიტი 40-წლიანია. კრედიტის მომსახურების განაკვეთი განისაზღვრა წლიური 0,75 პროცენტით. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისის ავტოქარხანა, უკრაინელ კოლეგებთან ერთად, წლის ბოლოდან, მცირე სიმძლავრის ტრაქტორების წარმოებას დაიწყებს. საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფი, ხარკოვის ტრაქტორის ქარხნის სპეციალისტები გუშინ სოფლის მეურნეობის მინისტრს დავით შერვაშიძეს შეხვდნენ. შეხვედრაზე სპეციალისტებმა ოფიციალურად დააფიქსირეს, რომ ხარკოვისა და ქუთაისის ქარხნები წლის ბოლოდან მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ერთობლივ წარმოებას დაიწყებენ. გარდა ამისა, შეხვედრაზე გადაწყდა, რომ სექტემბერში უკრაინაში ქუთაისის ავტოქარხნის სპეციალისტები გაემგზავრებიან. **ინტერ-პრესი**

## შესწორება

21 აგვისტოს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ სტატიაში გაიპარა უზუსტობა. ტექსტში წერია: "საგზაო დეპარტამენტში დღესაც დარწმუნებულნი არიან, რომ მელიორაციის დეპარტამენტი ხიდის მდგომარეობას ხელოვნურად ამძიმებდა და, ვითომდა ავარიული ხიდის შესაკეთებლად დონორი ორგანიზაციებიდან დიდძალი სახსრების მოზიდვა ჰქონდა განზრახული."

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი კატეგორიულად უარყოფს მელიორაციის დეპარტამენტის მიმართ წაყენებულ ბრალდებას და აცხადებს: **"საავტომობილო გზების დეპარტამენტში მსგავსი განცხადება არცერთ ოფიციალურ პირს არ გაუკეთებია. თუ ვინმე კერძო პირმა საკუთარი მოსაზრება გამოთქვა, ეს დეპარტამენტის პოზიციას ნამდვილად არ წარმოადგენს. სენაკი-ფოთი-სარფის გზის 26-ე კმ-ზე მდინარე რიონზე მდებარე სახიდე გადასასვლელი ნამდვილად საჭიროებს კაპიტალურ შეკეთებას, მაგრამ ხიდზე ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ავტოტრანსპორტის მოძრაობის საგანგებო რეჟიმის პირობებში მისი ექსპლუატაცია დასაშვებია."**

*საავტომობილო გზების დეპარტამენტის პრესცენტრი*

# თანამედროვე ავტომაგისტრალი მილიარდები დაჯდება

### ფოთი და წითელი ხიდი ერთმანეთს ჩქაროსნული ფასიანი ავტოსტრადით დაუკავშირდებიან

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ და იტალიური სამშენებლო კომპანია "ტორნო-ინტერნაციონალეს" პრეზიდენტმა ჯან კარლო ელია ვალორიმ ხელი მოაწერეს განზრახულობათა ოქმს, რომელიც საქართველოში ფასიანი ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობას ითვალისწინებს. ასე რომ, უახლოეს მომავალში ფოთი-წითელი ხიდის დამაკავშირებელი ფასიანი ჩქაროსნული მაგისტრალის მშენებლობისათვის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყება.

მშენებლობის ღირებულება მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინფორმაციით, სავარაუდოდ, 1-დან 4 მილიარდ დოლარამდე დაჯდება. მისი თქმით, პროექტზე მუშაობის პარალელურად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ინვესტორების მოსაზიდადაც.

დღეისათვის ავტოსტრადის მშენებლობის ორი ვარიანტი განიხილება. მოსამზადებელი სამუშაოების დასრულების შემდეგ დაზუსტდება ისიც, თუ რომელ მათგანზე შეჩერდება არჩევანი. შესაძლოა, ფოთი-წითელი ხიდის მაკავშირებელი არსებული ტრასის რეკონსტრუირება მოხდეს, რაც მილიარდ დოლარამდე დაჯდება, მაგრამ შესაძლოა, სრულიად ახალი ავტოსტრადა აშენდეს, რომლის ხარჯებიც ოთხ მილიარდ დოლარს მიაღწევს. იტალიური მხარე მხარს ახალი ავტოსტრადის მშენებლობას უჭერს.

ჟვანიას თქმით, იტალიური "ტორნო-ინტერნაციონალე" საქართველოში ტურიზმის განვითარებითაც დაინტერესდება და შესაძლოა ამ სფეროში ინვესტიციებიც დააბანდოს.

მისივე ინფორმაციით, "შემდგომი მჭიდრო თანამშრომლობის მიზნით განზრახულია საქართველოსა და იტალიის ლაციოს ოლქის მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა დაკავშირება."

იტალიური სამშენებლო კომპანია "ტორნო ინტერნაციონალე" 1929 წელს შეიქმნა. ის თავიდან დიდი კაშხლებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე იყო სპეციალიზებული, მოგვიანებით კი სხვა სახის სამშენებლო სამუშაოების შესრულებასაც მიჰყო ხელი.

დღეს კომპანია ახორციელებს როგორც მიწისზედა, ასევე მიწისქვეშა სამუშაოებს.

მის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნუსხაშია სარკინიგზო გზები, გზატკეცილები, ვიადუკები, პორტები, აეროპორტები, წყალმომარაგების სისტემები, სტადიონები, მეტრო, საცხოვრებელი სახლები და ელექტროსადგურები, მათ შორის - ატომური სადგურებიც.

კომპანია, ძირითადად, იტალიაში საქმიანობს, თუმცა განხორციელებული აქვს პროექტები ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, აზიასა და აფრიკაშიც.

*24 საათი*

# ბენდუქიძის რეფორმა ათეულობით ადამიანს უსამსახუროდ ტოვებს

*ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში ახალი სამსახური - საქართველოს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სახელმწიფო სააგენტო იქმნება, რომელსაც, სავარაუდოდ, ბენდუქიძის მრჩეველი ემზარ ჯგერენაია უხელმძღვანელებს. მინისტრის გადაწყვეტილება, ახალი სამსახურის შექმნის შესახებ, უახლოეს მომავალში რამდენიმე ათეული ადამიანის სერიოზულ უკმაყოფილებას და უსამსახუროდ დატოვებას გამოიწვევს.*

ეთერ მამულაშვილი

ახალი სააგენტო სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისა და ფასების ინსპექციის რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდება. ეკონომიკის მინისტრის ამ ნაბიჯს სამინისტროს სტრუქტურული რეფორმის ფარგლებში მოიაზრებენ, რომლის ერთ-ერთი მიზანია კადრების აუცილებელ მინიმუმამდე შემცირება.

სამინისტროში ჯერჯერობით არ აზუსტებენ, ამ ორი სამსახურის გაერთიანების წყალობით კიდევ რამდენი უმუშევარი შეემატება ქვეყანას, თუმცა როგორც ანტიმონოპოლიური სამსახურის უკვე ყოფილი უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ილია ზაქარაიძე ოთხიოდე დღის წინ "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში ირწმუნებოდა, მისი სამსახურის თანამშრომელთა რიცხვი ოპტიმიზაციის შედეგად 98 პროცენტით შემცირდება. საუბარი იყო 7-8-კაციან სამსახურზე, რაც, ზაქარიაძის მტკიცებით, სრული ანომალიაა. **"შვიდი თანამშრომელი იმისთვისაც კი არ არის საკმარისი, რომ სამსახურმა თავისი ფუნქციები მხოლოდ თბილისში შეასრულოს,"** - განაცხადა ზაქარაიძემ.

მოკლედ, ასეა თუ ისე, თავისი სკანდალური განცხადებებით ცნობილმა მინისტრმა სამსახურების გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიიღო და ანტიმონოპოლიურის ხელმძღვანელად, რეორგანიზაციის დასრულებამდე, საკუთარი მრჩეველი ემზარ ჯგერენაია დანიშნა.

ბენდუქიძე თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სახელმწიფო სააგენტოს რამდენიმე სერიოზულ და ქვეყნისათვის ერთობ მნიშვნელოვან ფუნქციებს ანიჭებს. კერძოდ: სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათი დაცვის კონტროლის განხორციელება; დემპინგური ფასწარმოქმნის და სხვა არაკონკურენტული ქმედებების, მათ შორის სუბსიდიების და დაუსაბუთებელი შეღავათების ფაქტების გამოვლენა და მათი დროული აღკვეთა; მონოპოლიური საქმიანობისა და მდგომარეობის აღკვეთა; ბუნებრივ მონოპოლიათა საქმიანობის რეგულირება იმ სფეროებში, სადაც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები დღემდე არ შექმნილა.

ძველი სამსახურებისგან მემკვიდრეობით მიღებული ამ ფუნქციების პარალელურად, რომელიც მათ შესაბამისმა კანონმდებლობამ მიანიჭა, სააგენტოს დამატებით კიდევ რამდენიმე, სრულიად ახალი მოვალეობა დაეკისრება. კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუკი აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები შეზღუდული კონკურენციის პირობებში, ეკონომიკურ აგენტებს, ყოველგვარი ტენდერისა და კონკურსის გარეშე, ექსკლუზიურ უფლებებს მიანიჭებენ, სააგენტო ვალდებულია, მსგავსი ფაქტები გამოავლინოს და მის აღსაკვეთადაც შესაბამისი ნაბიჯები გადადგას.

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ჯერ კიდევ მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებს - ანტიმონოპოლიურსა და ფასების ინსპექციას, და მათ პირველ პირებს რამდენიმე სერიოზულ ბრალდებასაც უყენებს. **"ანტიმონოპოლიურ სამსახურში შტატით 61 თანამშრომლიდან სამსახურში რეგულარულად მხოლოდ 12-15 დადის, კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ფასების ინსპექციაში - აქ 80 საშტატო ერთეულიდან სამსახურში მხოლოდ 10 თანამშრომელი ცხადდება. ხელმძღვანელები "ვერ პოულობენ" საკუთარ თანამშრომლებს, რომლებიც, ფაქტობრივად, მკვდარ სულებად ირიცხებიან. სამაგიეროდ, ხელფასს უპრობლემოდ იღებენ,"** - ვკითხულობთ სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ პრესრელიზში.

ბენდუქიძის სამინისტროში, გუშინ, ამ სამსახურების მიერ წლების განმავლობაში დაგროვილ დავალიანებებზეც ალაპარაკდნენ. როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ირწმუნებიან, ამჟამად, ხსენებული სამსახურების ფინანსური მდგომარეობა უმძიმესია. "თელასის", "საქტელეკომის", "ელექტროკავშირის" და სხვა ორგანიზაციების დავალიანება ამ დროისთვის 30 ათას ლარს აჭარბებს, სახელფასო დავალიანებამ კი თითქმის 94 ათასი ლარი შეადგინა.

ეს კიდევ ერთი არგუმენტია, რაც სამინისტროს მსგავსი ნაბიჯის (სამსახურების გაერთიანებისა და თანამშრომელთა შემცირება) გადადგმის აუცილებლობას აიძულებს - დაახლოებით, ასე იმართლებენ თავს სამინისტროში, თუმცა დასძენენ, რომ საბოლოო ჯამში, ყველაფერი კეთილსინდისიერი კონკურენციის და საქართველოში თავისუფალი ვაჭრობის განვითარებისკენ მიმართული იქნება.

ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში
მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან
გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში
უკვე წლიური 17%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე



პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: | 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ჭავჭავაძის გამზ. 58

# ჩეჩნეთის მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები და "გმირი" კადიროვი

კრემლმა და რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიამ დიდი პატივით აღნიშნა გროზნოში ტერორისტული აქტის შედეგად დაღუპული აჰმად კადიროვის დაბადების 53-ე წლისთავი. მოსკოვის ცენტრში მდებარე "პრეზიდენტ-ოტელში" კადიროვის იუბილეზე კრემლისადმი ლოიალურად განწყობილი მოსკოველი ჩეჩნები შეიკრიბნენ. საზეიმო-სამგლოვიარო რიტუალის შემდეგ ახალ არბატზე მდებარე ჩეჩნეთის წარმომადგენლობაში კადიროვის სახელობის მემორიალური დაფა გაიხსნა. მეორე დაფა, მოსკოვის ხელისუფლების განკარგულებით, ქალაქის ერთ-ერთი მშვენებარე ქუჩის დასაწყისში ჯერჯერობით გალავანზე დაამაგრეს. ამ ქუჩას მალე ჩეჩნეთის პრეზიდენტის სახელი დაერქმევა. ქუჩის ბინადრები, რომელთა აზრსაც ხელისუფლებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, პროტესტის ნიშნად რუსეთის მემარჯვენე ძალებთან ერთად უკვე ხელმოწერებს აგროვებენ.



*მრავლისმეტყველია, რომ რუსეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვი და ალუ ალხანოვი თან წაიყვანა სოჭში და იქ გააგრძელა მათთან საუბარი.*

კადიროვის იუბილეს მოსკოვურ ნაწილს წინ სოჭური სცენარი უძღოდა: სოჭიდან ვლადიმირ პუტინი მოულოდნელად ჩეჩნეთში გაფრინდა. რუსეთის პრეზიდენტის მოულოდნელი ვიზიტი ჩეჩნეთში, რომლის დროსაც მან ცენტოროიში "ტერორისტთა ხელით დაღუპული გმირის" საფლავი მოინახულა, მიმომხილველთა უმრავლესობის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ ე.წ. კადიროვის გუნდის ერთიანობის შენარჩუნების მცდელობა. ამას გუშინ "ნეზავისიმაია გაზეტა"-ს ფურცლებზე პუბლიკაციების მრავალფეროვნებაც ცხადყოფს. ერთ-ერთში მოყვანილია მიმომხილველის სიტყვები: "ეს ვიზიტი, უდავოდ, ჩეჩნეთის ხელმძღვანელობაში განხეთქილებას უკავშირდება. სხვა მიზეზი არ არსებობს, მით უმეტეს, რომ არჩევნებამდე სულ უფრო მცირე დრო რჩება. პუტინი, პრაქტიკულად, პირადად "შეძვრა" საარჩევნო კამპანიაში. რუსეთის პრეზიდენტი უკანასკნელ გზას მიმართავს, რათა არ დაუშვას ე.წ. ალხანოვის პრორუსული ელექტორატის გახლეჩა".

პუტინის ჩეჩნეთში გამოჩენა სასაცილოდ არ ეყოთ მასხადოვის მომხრეებს, - აშკარა იყო, რომ პუტინის გამოჩენას ოდენ "პიარული" ხასიათი ჰქონდა. მართლაცდა, იმის ნაცვლად, რომ რუსეთის პრეზიდენტი გროზნოში ჩასულიყო, იგი ცენტოროიში ჩადის, თანაც აღსანიშნავია, რომ მის სიტყვას კადიროვის საფლავთან, დროდადრო ასაფრენად მზადმყოფი შვეულმფრენის გუგუნი ფარავდა. პუტინის ცენტოროიში ვოიაჟი სულაც არ ნიშნავს, რომ ჩეჩნეთში სიმშვიდეა, რისი დეკლარირებაც ამ ნაბიჯით კრემლს სურს. ისიც მრავლისმეტყველია, რომ რუსეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვი და ალუ ალხანოვი თან წაიყვანა სოჭში და იქ გააგრძელა მათთან საუბარი. სოჭში რამდენიმე დღით დაყოვნებული მომავალი პრეზიდენტი და რამზან კადიროვი პუტინისაგან ჩეჩნურ ნავთობზე სრული კონტროლის დაწესებას ითხოვდნენ. რუსული ოფიციოზის ცნობით, ეს საკითხი პუტინმა "კადიროვთა კლანის" სასარგებლოდ გადაწყვიტა. დადებითად გადაწყდა ფიჭვური მაუწყებლობის ერთ-ერთი პოპულარული ოპერატორის "მეგაფონის" შესვლაც ჩეჩნეთში. ამიერიდან, პუტინის განკარგულებით, მობილური კომუნიკაციის ქსელში ჩართვას რუსეთის "ფეესბე"-ს ნებართვა აღარ დასჭირდება.

სხვათა შორის, ალხანოვის არჩევა-არარჩევაზე მეტად კრემლს ის უნდა აწუხებდეს, არჩევნები საერთოდ ჩატარდება თუ არა. ალხანოვის კანდიდატურას დღევანდელ ვითარებაში ალტერნატივა რომ არ ჰყავს, ყველასთვის ნათელია. მისი არჩევა (თუ დანიშვნა?) უკვე კარგა ხანია, გადაწყვეტილია. საგულისხმო იყო მისი გამოჩენაც სწორედ პუტინისა და კადიროვ უმცროსის გარემოცვაში. ასეთი ღია მხარდაჭერა აქამდე არც ერთ რეგიონული მმართველობის პრეტენდენტს არ ჰქონია.

მთავარი პრობლემა სხვა არის. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალხანოვის არჩევა ეჭვს არ იწვევს. გასული უქმეების მოვლენებს თუ გავაანალიზებთ, საეჭვო თავად არჩევნების უპრობლემოდ ჩატარება უნდა იყოს.

ასეთ ვითარებაში სრულიად ალოგიკური იყო რამზან კადიროვის ცნობილი განცხადება. მაშინ, როდესაც თავად რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტს წინ შეტაკებები და, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ათეულობით ადამიანის დაღუპვა მოჰყვა, ისიც "კონტროლქვეშ" მყოფ გროზნოში, რუსეთის მომხრე 5 ათასი "ბოევიკის" გადმოსროლა კავკასიის ქედს გადმოღმა სრულიად არარეალურად ჟღერს.

აღსანიშნავია, რომ გასულ კვირას ჩეჩნეთის საარჩევნო კომისიამ 29 აგვისტოს არჩევნების ჩატარებისადმი სრული მზადყოფნა "უპატაკა" მოსკოვს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ნაადრევად. "როგორც ჩანს, გროზნოში შეჭრილებს თავისი ძალისა და ორგანიზებულობის კიდევ ერთხელ დემონსტრირება სურდათ, და პრინციპში ეს მათ შესანიშნავად გამოუვიდათ," - წერდა გუშინ სააგენტო "გაზეტა. რუ".

შაბათ-კვირის მოვლენებმა კიდევ ერთხელ წარმოშვა კითხვები. თუ მაშინაც კი ვერ ხერხდება ასეთი მასშტაბური აქციის აღკვეთა, როცა ადრინდელთან შედარებით სპეცსამსახურების ინფორმირებულობა ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით გაცილებით გაზრდილია, როგორ მოახერხებენ მომავალ კვირას დანიშნული არჩევნების ნორმალურად ჩატარებას? მით უმეტეს, სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ 29 აგვისტოს მოახლოებასთან ერთად ჩეჩენი "ბოევიკების" აქტივობა გაიზრდება.

სხვათა შორის, მანამდე ჩეჩნური წინააღმდეგობის წინამძღოლმა ასლან მასხადოვმაც განაცხადა და სულ ახლახან მისმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა, აჰმედ ზაკაევმაც დაადასტურა, რომ კადიროვის ადგილზე ვინც არ უნდა იქნეს არჩეული, ყველას ერთი ბედი ელის, ამ ბედს კი "არც ერთი ნორმალური ადამიანი არ ისურვებს". თუმცა, სხვა აზრის დამკვიდრებას ცდილობს რუსული მედია. გუშინწინ ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი სტაბილურობის ილუზიის დამაგვირგვინებელი აკორდი იყო რუსეთის ტელევიზიის მეორე სახელისუფლებო არხზე აჰმად კადიროვის საიუბილეოდ ნაჩქარევად შეკოწიწებული დოკუმენტური ფილმის - "გამარჯვებულის უკანასკნელი ალღუმი" - ჩვენება. როგორც ჩანს, რუსეთში "გმირად" რომ შეგრაცხონ, კრემლისადმი ერთგულება და ტერაქტის შედეგად დაღუპვაც საკმარისია. რა საჭიროა ამისთვის საკუთარი ხალხის სიყვარული?

# ერაყი - მეორე იუგოსლავია?

ლევან ბელაშვილი

დღეს ერაყში არსებობს პოლიტიკური თავისუფლებები, თუმცა არ არსებობს პირადი უსაფრთხოება. ამასთან, საფრთხეები, რომლებიც ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატენილი ავტომანქანებიდან და შეიარაღებული შეტაკებებიდან მომდინარეობს, მხოლოდ აისბერგის ზედა ნაწილია. რიგითი ერაყელებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქაოსის პირობებში ბავშვებისა და ქალების გატაცება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ყველა ჯგუფი, რომელიც იანვრის არჩევნების მეშვეობით საკუთარი მიზნების მიღწევას აპირებს, ფსონს ქაოსზე აკეთებს. სამხედრო თვალსაზრისით, მათ მიერ განხორციელებული თავდასხმები უმნიშვნელოა. თუმცა, ქვეყანაში გამეფებული საერთო დაუცველობის ატმოსფერო, უცხოური ფირმების განდევნა და ნავთობსადენებზე განხორციელებული ტერაქტები ქვეყნის განვითარებას ამუხრუჭებს.

ეს დაუცველობა და უიმედობა ხელს უწყობს ორ ტენდენციას: რადიკალიზაციას და მსხვილი რეგიონული დაჯგუფებების გააქტიურებას. ქვეყანაში საერთო-ეროვნული პოლიტიკური დაჯგუფებები, პრაქტიკულად, არ არსებობს. წარსულში მსხვილი პარტიები - "ბაასი" და კომუნისტები - ამერიკელების მხარდაჭერას გარკვეული მიზეზების გამო ვერ მიიღებენ. რაც შეეხება ამერიკელთა მიერ შექმნილ "ერაყის ეროვნულ კონგრესს" (რომელსაც აჰმად ჩალაბი ხელმძღვანელობს) და პრემიერ-მინისტრ აიად ალავის "ეროვნულ თანხმობას", ეს ორგანიზაციები ჯერ-ჯერობით ფეხზე ვერ დადგნენ.

გარკვეულწილად იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოსალოდნელია ქვეყნის გახლეჩა. პირველ რიგში, აღსანიშნავია ქურთების პრობლემა, რომლებიც თავიანთ თავს ერაყელებად არასოდეს თვლიდნენ. თუმცა, ქურთთა ლიდერი ჯალალ თალაბანი განმარტავს, თუ რატომ არ შეიძლება ჰქონდეს მომავალი დამოუკიდებელ ქურთისტანს: თუ მეზობელი ქვეყნები საზღვრებს ჩაკეტავენ, ქურთისტანი იზოლირებული აღმოჩნდება.

მეორე არგუმენტი, რომელიც ქურთ პოლიტიკოსებს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ მოჰყავთ, არანაკლებ დამაჯერებელია. თუ ქურთები ერაყს გამოეყოფიან, იგივეს გააკეთებენ შიიტებიც და არაბი სუნიტები ბაღდადთან ერთად ნავთობის გარეშე დარჩებიან. არაბები ნავთობით მდიდარ ჩრდილოეთ ერაყის რეგიონს იოლად ნამდვილად არ დათმობენ, რაშიც მათ მთელი არაბული სამყაროს მხარდაჭერაც ექნებათ. ანკარა კი, თავის მხრივ, ჩარევის საბაბად სამოქალაქო ომს გამოიყენებს.

პოლიტოლოგთა წრეებში უფრო მეტად მეორე ვარიანტი განიხილება, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ აქ ისრაელის "მოსადიც" არის ჩარეული. თურქული სპეცსამსახურების წრეებში გავრცელებული ინფორმაციით, მოსადი ქურთული ფორმირებების წვრთნით არის დაკავებული. რა თქმა უნდა, როგორც ისრაელმა, ისე ქურთებმა ეს ინფორმაცია უარყვეს. თუმცა, ორივე მხარე ფარულ თამაშს ეწევა. ებრაულ გაზეთებში პერიოდულად ჩნდება განცხადებები, რომ ის, ვინც პალესტინის სახელმწიფოს შექმნაზე საუბრობს, ქურთისტანის დამოუკიდებლობაც უნდა აღიაროს.

ყოველივე ზემოთქმული, ჯერჯერობით, პოლიტიკური ფანტაზიების სფეროს განეკუთვნება. თუმცა, თუ ერაყში მდგომარეობა გამძაფრდება ან ჩიხში დარჩება, ქურთისტანის საკითხი, შესაძლოა, ძალზე მწვავედ დადგეს.

ფართო ავტონომიასა და დამოუკიდებლობაზე მარტო ქურთები არ ფიქრობენ. ივლისის ბოლოს ბასრაში შიიტთა სულიერი ლიდერები საუბრობდნენ იმაზე, რომ თუკი ერაყის მთელ ტერიტორიაზე საკუთარი რელიგიური მოთხოვნების განხორციელება შეუძლებელია, მაშინ ქურთების მსგავსად სამხრეთმაც ავტონომია უნდა მოითხოვოს.

სადღეისოდ ყველაზე ძლიერი შიიტური დაჯგუფება, აიათოლა ალი ას-სისტანის მომხრეები, ფსონს მთლიანად იანვრის არჩევნებზე აკეთებს. თუმცა, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ რელიგიური შიიტები ყველა თავიანთი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მოახერხებენ.

ქურთები მოითხოვენ იმგვარი მოდელის მიღებას, რომლის მიხედვითაც ახალი კონსტიტუციის უარყოფა შესაძლებელი იქნება, თუკი მის წინააღმდეგ ხმას სამი პროვინცია მისცემს, რაც მოსახლეობის ორ მესამედს შეადგენს. ამ პირობას მათი ავტონომიის უზრუნველყოფაც შეუძლია და იმავდროულად, "ნაღები სახელმწიფოს კონცეფციის" დაცვის საშუალებაც გახლავთ.

რელიგიური და ნაღები სახელმწიფოს კონცეფციები, ისევე როგორც ეთნიკური საკითხები, შესაძლოა, იმ პუნქტად იქცეს, რომელსაც ერაყული სახელმწიფოს ერთიანობა შეეწირება. შედეგები კი გაცილებით სერიოზული იქნება, ვიდრე თავის დროზე იუგოსლავიის ცალკეულ სახელმწიფოებად დაშლას მოჰყვა.

## ორი სიტყვით

**რუსეთი.** როგორც პრეზიდენტის პრესსამსახური იუწყება, 2-3 სექტემბერს ვლადიმირ პუტინი ოფიციალური ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკას ესტუმრება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია მოლაპარაკებების გამართვა პრეზიდენტ აჰმედ ნეჯდეთ სეზერთან და პრემიერ-მინისტრ რეჯეფ ტაიპ ერდოღანთან, ასევე ქვეყნის მსხვილი სამრეწველო ცენტრის, ქალაქ იზმირის დათვალიერება. უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებების ძირითადი თემა რუსეთ-თურქეთის მრავალმხრივი ურთიერთობების პერსპექტივა და ორივე მხარის ინტერესების ჭრილში აქტუალური საერთაშორისო პრობლემების განხილვა იქნება. **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

**ჩინეთი.** კვირას ჩინეთში ქვეყნის ყოფილი მმართველის დენ სიაოპინის 100 წლისთავს აღნიშნავდნენ. ჩინელთა უმრავლესობისთვის ეს იყო ადამიანი, რომელმაც ქვეყანა პრაგმატული რეფორმების რელსებზე გადაიყვანა. მის სახელს უკავშირდება დღევანდელი ჩინეთის ეკონომიკური აღმავლობის დასაწყისი. დენის პერიოდში დაიწყო კოლმეურნეობების რღვევა და ქვეყანამ მასშტაბური საგარეო სავაჭრო კონტაქტებიც დაამყარა. დენ სიაოპინი 1997 წელს, ჰონ-კონგის ჩინეთისთვის გადაცემამდე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა. ქვეყნის ყოფილი ლიდერის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გამოსვლისას, ჩინეთის ამჟამინდელმა უმაღლესმა ხელისუფალმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელმა ჰუ ძინტაომ განაცხადა, რომ ჩინეთის გადაწყვეტილებები ურყევია და მზადაა, ყველა საშუალებით ხელი შეუშალოს ტაივანის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებას. მარტის თვიდან, როდესაც კუნძულის დამოუკიდებლობის მომხრე პრეზიდენტი ჩენ შუი ბიანი ხელმეორედ აირჩიეს, ტაივანის დამოუკიდებლობის თემამ კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა. ამის გამო აღნიშნული რეგიონი ერთ-ერთ ყველაზე ფეთქებადსაშიშ ადგილად გადაიქცა. "ჩვენ ჩინეთის ყველა შვილი უნდა გავაერთიანოთ, ტაივანელი თანამემამულეების ჩათვლით, რათა ერთობლივი ძალით წინ აღვუდგეთ ტაივანის სეპარატისტულ ძალებს," - ამბობს ჰუ ძინტაო და კუნძულის დაპყრობით იმუქრება, თუ 23 მილიონიანი დემოკრატიული ტაივანი დამოუკიდებლობას გამოაცხადებს. **24 საათი**

■ ■ ■

**ნეპალი.** ასობით მაოსიტმა მეამბოხემ მიიტანა იერიში შორეულ სამხედრო შტაბზე ჩრდილო-დასავლეთ ნეპალში. პოლიციის ცნობით, ერთი ჯარისკაცია დაღუპული. კიდევ ექვსი პოლიციელი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. პოლიციის აზრით, ისინი მეამბოხეებმა გაიტაცეს. მეშვიდე დღეა მიმდინარეობს მაოისტთა მიერ ნეპალის დედაქალაქ კატმანდუს ბლოკადა, რამაც ქალაქში პირველადი მოხმარების საგნებზე ფასები კატასტროფულად გაზარდა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება აცხადებს, რომ მართალია, ფასები საკვებზე გიაზარდა, მაგრამ ქალაქს შიმშილი არ ემუქრება. ორშაბათს, ნეპალის მთავარმა ოპოზიციურმა პარტიამ მთავრობას მოუწოდა, ცალმხრივად შეეწყვიტა ცეცხლი მეამბოხე მაოისტებთან და ყველაფერი ეღონა მათთან მოლაპარაკებების გზით დედაქალაქზე ბლოკადის მოხსნისთვის. პარტია "ნეპალის კონგრესის" განცხადებით, კოალიციურ მთავრობას, რომელიც უკვე ორი თვეა ნეპალის მეფის დავალებით ქვეყანას მართავს, არ ძალუძს სიტუაციაზე კონტროლის დამყარება. ოპოზიციონერები მთავრობას ადანაშაულებენ, რომ მათ ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ თვით დედაქალაქი დაეცვათ და ახლა კატმანდუსთან მისასვლელ გზებს მეამბოხეები აკონტროლებენ. კატმანდუ დანარჩენ სამეფოს ოთხი ძირითადი ავტომაგისტრალით უკავშირდება. ეს გზები ასევე აკავშირებს მას ინდოეთის მნიშვნელოვან პორტებთან, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ჩაკეტილი ქვეყნის დანარჩენ მსოფლიოსთან კონტაქტები. მაოისტთა გამო მნიშვნელოვნადაა გაძნელებული ამ მარშრუტებზე მოძრაობა და ტვირთების გადატანა. მაოისტები უკვე რვა წელია, კომუნისტური მმართველობის დამყარების მიზნით ბრძოლას აწარმოებენ. ამ წლების განმავლობაში მაოისტთა "სახალხო ომს" 10 ათასი ადამიანი შეეწირა. შეტაკებები სამთავრობო ჯარებსა და ამბოხებულებს შორის კიდევ უფრო გამძაფრდა გასული წლიდან, როდესაც კიდევ ერთი სამშვიდობო მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. **24 საათი**

# ისლამური იდეოლოგიის სისუსტე თუ რელიგიური კონსერვატიზმის დემონსტრირება

"ბი-ბი-სი"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ტაჯიკეთის ისლამურმა საბჭომ - ქვეყნის უმაღლესმა რელიგიურმა ორგანომ - ტაჯიკ ქალებს პარასკევის ღვთისმსახურებაში მამაკაცებთან ერთად მონაწილეობა აუკრძალა. სასულიერო პირების აზრით, ქალების ყოფნა მეჩეთში ხელს უშლის მამაკაცებს ყურადღების კონცენტრირებაში და მათ ცოდვილი ფიქრებისაკენ უბიძგებს.



*ერთობლივი ლოცვები ტაჯიკეთში ისლამური რელიგიის ტოლერანტობაზე მიუთითებდა, რაც მავანის ინტერესებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.*

კენჭისყრისას ისლამური სასულიერო საბჭოს ოცდაშვიდივე წევრმა ერთსულოვანად დაუჭირა მხარი მეჩეთში ქალების მამაკაცებთან ერთად ყოფნის აკრძალვას. სწორედ ამიტომ, მანამდე, სანამ მეჩეთებში არ იქნება შექმნილი ერთობლივი და თანადროული ლოცვისთვის შესაფერისი პირობები, აკრძალვა ძალაში დარჩება.

უმაღლესი სასულიერო ორგანოს გადაწყვეტილება სავალდებულოა ქვეყანაში ყველა მოქმედი მეჩეთისთვის. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი კი, უმკაცრესად, პირველ რიგში, ქვეყნის დედაქალაქის მეჩეთში განხორციელდება.

ისლამური საბჭოს ულემის ხუდობერდი ეგამბერდიევის თქმით, ამ საკითხის განხილვას ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ცდილობდნენ, მაგრამ მაშინ ყველა სასულიერო პირი არ იყო დარწმუნებული მის სისწორეში. "მე არ ვფიქრობ, რომ ასეთი ქცევით ჩვენ ქალთა უფლებებს ვარღვევთ. მათ შეუძლიათ, ილოცონ სახლებში, რაც გამართლებულია კიდეც. ჩვენ არ ვუკრძალავთ მათ მეჩეთში მოსვლას, მაგრამ თუ ისინი თავს შეიკავებენ იქ გამოჩენისაგან, ყველასთვის უკეთესი იქნება," - აღნიშნა ხუდობერდი ეგამბერდიევმა.

ულემთა გადაწყვეტილებამ ტაჯიკეთის აღორძინების ისლამური პარტიის წარმომადგენელთა კატეგორიული პროტესტი გამოიწვია. პარტიაში მიაჩნიათ, რომ ეს უარყოფითად აისახება ისლამის რენომეზე, რომელიც ისედაც აგრესიულად და მტრულად აღიქმება რესპუბლიკის მრავალფეროვანი მოსახლეობის მხრიდან.

ისლამური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის საიდიბრაჰიმ მუჰამაძოდას აზრით, "ერთობლივი ლოცვები ტაჯიკეთში ისლამური რელიგიის ტოლერანტობაზე მიუთითებდა. ეს, როგორც ჩანს, კონკრეტულად ვინმეს ან თანამოაზრეთა გარკვეულ ჯგუფს არ მოსწონდა და სწორედ ამიტომაც იქნა მიღებული ასეთი გადაწყვეტილება. სამწუხაროა, მაგრამ მხოლოდ იმის თქმაღა შემიძლია, რომ ზემოაღნიშნული აკრძალვა ისლამურ ნორმებს არ შეესაბამება."

აღორძინების ისლამური პარტია ტაჯიკეთში სამოქალაქო ომის დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ოპოზიციური ძალების ბირთვს წარმოადგენდა. ამჟამად კი მის მიმართ ოფიციალური სასულიერო პირებისა და ისლამისტთა ლიდერების დამოკიდებულება შესამჩნევადაა შეცვლილი.

ტაჯიკეთის ხელისუფლება ჯერჯერობით თავს იკავებს ისლამური საბჭოს გადაწყვეტილების კომენტირებისაგან. ვინაიდან იურიდიულად რელიგია სახელმწიფოსგან დამოუკიდებელია, ხელისუფლებას რელიგიურ საკითხებში ჩაურევლობა მართებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ექსპერტთა აზრით, სასულიერო წრეების მიერ მიღებული გადაწყვეტილება სწორედაც რომ ხელისუფლებას აძლევდა ხელს. ანალიტიკოსების შეფასებით, დუშანბეში მუსლიმთა რელიგიურ ერთიანობას საფრთხედ აღიქვამენ.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ულემთა გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლებელია. "მართალია, ყურანში ერთობლივი ლოცვები არ იკრძალება, მაგრამ დამტკიცება იმისა, რომ ეს ქალთა უფლებების დარღვევაა, შეუძლებელია," - მიიჩნევს ანალიტიკოსი ფარუხ უმაროვი. "ჩვენს კონსტიტუციასა და სისხლის სამართლის კოდექსში არ არის მუხლი, რომელიც აღნიშნულ საკითხს განიხილავდა. სასულიერო წრეს აქვს უფლება, გამოიტანოს ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება, ხელისუფლება კი, თავის მხრივ, ვალდებულია, შეასრულოს იგი," - აცხადებს უმაროვი.

ისლამურ სამყაროში თავიანთი უძლურების აღიარება კი კიდევ ერთხელ მოუხდათ ქალებს. მიუხედავად იმისა, რომ ულემთა მხრიდან ამგვარი გადაწყვეტილების გამოტანა მათ ისლამური ადათების დარღვევად მიაჩნიათ, პროტესტის გამოხატვა მხოლოდ სიტყვიერად ძალუძთ, რაც რეალურად არაფერს შეცვლის.

ანალიტიკოსები კი არ გამორიცხავენ, რომ მიღებულმა გადაწყვეტილებამ რესპუბლიკაში რელიგიური წონასწორობის შეცვლას შეუწყოს ხელი.

ტაჯიკეთში რელიგიურ საკითხთა კომიტეტის მონაცემებით, ქვეყანაში ძირითადი კონფესიის გარდა, ათობით სხვა ორგანიზაციაა რეგისტრირებული, რომელთა უმრავლესობასაც ევანგელისტური მიმდინარეობა შეადგენს. ევანგელისტურ მიმდინარეობას მიეკუთვნება არცთუ ისე მცირე რიცხვი ტაჯიკებისა და უზბეკებისა. რაც შეეხება ქრისტიანული აღმსარებლობის მქონეთ, ისინი ძირითადად ქვეყნის განათლებული და დასავლური ორიენტაციის მქონე მოქალაქეები არიან. ხელისუფლების ოფიციალური მონაცემებით, უკანასკნელ ხანს 13 000 მუსლიმმა შეიცვალა აღმსარებლობა და ქრისტიანად მოინათლა.

დუშანბეში მიიჩნევენ, რომ ამგვარმა ტენდენციამ მომავალში შესაძლოა, სავალალო შედეგები მოიტანოს, მათ შორის არ გამოირიცხება რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებაც. შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი კი ამ ეტაპზე არ ჩანს. პესიმისტთა შორისაა ცენტრი "დიალოგის" დირექტორი და ტაჯიკეთის ისლამური აღორძინების პარტიის წარმომადგენელი მუჰიდდინ კაბირი. მისი თქმით, მუსლიმთა სასულიერო წრეები მარცხის პირას არიან მისულნი. "სუსტი იდეოლოგია, სათანადოდ მოუმზადებელი სასულიერო პირები და კონსერვატიზმი ახალგაზრდებს ისლამთან გაუცხოების გრძნობას უჩენს", სინანულით აღნიშნავს ისლამური აღორძინების პარტიის მედროშე.


## "ეი-ი-ეს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**25 აგვისტოს, 09.00-დან 18.00-სთ-მდე:**
მუხიანი III, IV ა და ბ მიკრორაიონის მაცხოვრებლებს.

**25 აგვისტოს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ჭავჭავაძის გამზირის(ნაწილობრივ), მოსაშვილის, ირაკლი აბაშიძის, ტიციან ტაბიძის, თამარაშვილის, მუხაძის, ფალიაშვილის, წყნეთის, კლდიაშვილის, არაყიშვილის ქუჩების, დარიალის შესახვევის მაცხოვრებლებს.

25 აგვისტოს, 12.00-დან 16.00-სთ-მდე:
სოფელ კიკეთის მაცხოვრებლებს.

# რატომ ცხოვრობენ თქვენი ბავშვები ამ პირობებში?!

კითხვა, რომელიც უცხოელებს თავსატეხს უჩენს

*რამდენიმე თვის წინათ "ნიუ იორკ ტაიმსში" თელავის ბავშვთა სახლზე სტატია გამოქვეყნდა. ამერიკელი ჟურნალისტი დაწვრილებით აღწერდა იმ გაუსაძლის პირობებს, რომელშიც ქართველი ბავშვები ცხოვრობენ. წერილს თან ახლდა ფოტოებიც. 39 წლის რობერტ საბუდა, რომელიც საბავშვო წიგნების გამომცემელია, სტატიით დაინტერესდა. იგი "ნიუ იორკ ტაიმსის" ჟურნალისტს დაუკავშირდა და ქართველი ბავშვების დახმარების სურვილი გამოთქვა. ერთი კვირის წინათ ამერიკელი ქველმოქმედი საქართველოს ესტუმრა, მან თელავისა და ძეგვის ბავშვთა სახლები თავად მოინახულა და აღწერაც გააკეთა, რათა საჭირო ინვეტარი შეიძინოს.*

თამარ დვალი

რობერტ საბუდა მიჩიგანის შტატში, ერთ-ერთ გაჭირვებულ ოჯახში გაიზარდა. მისი ოჯახიდან მხოლოდ მას მიეცა კოლეჯის დამთავრების შესაძლებლობა. როგორც თავად ამბობს, მართალია მის ოჯახს უჭირდა, მაგრამ არა ისე, როგორც თელავის ბავშვთა სახლში უჭირთ. "ნიუ იორკ ტაიმსში" გამოქვეყნებულმა სტატიამ და თელავის ბავშვთა სახლის სურათებმა რობერტი აღაშფოთა.

**"ამერიკაში ასეთ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს ვერ ნახავთ. სურათებში ნაჩვენები იყო დანგრევის პირას მისული კედლები, რომლის ქვეშაც ათობით ბავშვი ცხოვრობდა. ძალიან მაინტერესებს, რას აკეთებენ ქართველი ბიზნესმენები, როდესაც მათ გვერდით ასეთი ბავშვთა სახლები არსებობს. მართალია მათზე მზრუნველობა სახელმწიფოს მოვალეობაა, მაგრამ, ჩემი აზრით, ასეთი საკითხები თითოეული მოქალაქის პრობლემას წარმოადგენს და მათაც უნდა იზრუნონ სიტუაციის გამოსწორებაზე, თუმცა საქართველოში საქმისადმი ასეთი მიდგომა ვერ დავინახე,"** -განაცხადა "24 საათთან" საუბრისას რობერტ საბუდამ, რომელიც საქართველოში პირველადაა.

მისი თქმით, ვარდების რევოლუციის შემდეგ ჩვენი ქვეყანა მთელმა მსოფლიომ გაიცნო. ამ პერიოდს დაემთხვა ზემოაღნიშნული სტატიის გამოქვეყნებაც, რამაც საბუდას საქართველოში ჩამოსვლა გადააწყვეტინა.



*ერთადერთი, რამაც ამერიკელი ქველმოქმედი აღაფრთოვანა, ბავშვთა სახლში მომუშავე პერსონალის ბავშვებისადმი დამოკიდებულება და სიყვარულია.*

**"მე დავიწყე ფიქრი, თუ რისი გაკეთება შემეძლო ამ ბავშვებისთვის. თავდაპირველად "ნიუ იორკ ტაიმსის" ჟურნალისტს დავუკავშირდი, რომელმაც საქართველოში არსებული ამერიკული ფონდის შესახებ მაცნობა. არის ასეთი ორგანიზაცია "ccrfund", რომელსაც ჩარლზ სტრომმი ხელმძღვანელობს. როდესაც ამ ფონდის წარმომადგენელს პირველად ველაპარაკე, გაირკვა, რომ ბავშვების ცირკში წასაყვანი ფული სჭირდებოდათ და მე 500 ამერიკული დოლარი გამოვუგზავნე. ბავშვების უმრავლესობა ცირკში საერთოდ არ ყოფილა. ახლა ჩემი თვალით ვნახე, თუ რა სჭირდებათ ამ ბავშვებს. როგორც კი ფულს მოვაგროვებთ, საჭირო ინვეტარს შევიძენთ და გამოვუგზავნით. ეს არ იქნება მარტო ამერიკული დაფინანსება. ყველას, ვისაც აქვს სურვილი, ამ ბავშვებს დაეხმაროს, შეუძლიათ ინტერნეტის საშუალებით ამ მისამართებზე დაგვიკავშირდნენ, - www.ccrfund.org და www.Robertsabuda.com.**

მას შემდეგ, რაც რობერტ საბუდამ თელავისა და ძეგვის ბავშვთა სახლები მოინახულა, პირველ რიგში გათბობის საშუალებების შეძენა დაგეგმა. ამჯერად ქართველ ბავშვებს მან მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილი ზღაპრის წიგნები ჩამოუტანა. **"წიგნი ბავშვისთვის აუცილებელი ატრიბუტია. მე ჩამოვიტანე ინგლისურენოვანი წიგნები, რათა თელავის და ძეგვის ბავშვთა სახლში ინგლისური წერა-კითხვის სწავლა შეძლონ. გასაკვირია, რომ ის წიგნები, რომლებიც ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში შევიძინე და ჩავუტანე ბავშვებს, არცერთი მათგანი ადგილობრივ ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა. იქ მხოლოდ საბჭოთა დროინდელი წიგნებია. ლამაზად გაფორმებული სახელმძღვანელო კი მოზარდს სწავლის ინტერესს ულვივებს,"** - აღნიშნა საბუდამ.

ერთადერთი, რამაც ამერიკელი ქველმოქმედი აღაფრთოვანა, ბავშვთა სახლში მომუშავე პერსონალის ბავშვებისადმი დამოკიდებულება და სიყვარულია. რობერტის აზრით, რომ არა ამ ხალხის დიდი სიყვარული, ბავშვების ცხოვრება უფრო ძნელად გასაძლისი იქნებოდა.

**P.S.** რობერტ საბუდა ქართული სამზარეულოთი და ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობით აღფრთოვანებულია. თუმცა, არის ერთი რამ, რასაც ამერიკელი სტუმარი ვერ ხსნის. მაშინ, როდესაც ყოველ საღამოს რესტორნები გადავსებულია და ქუჩაში ბოლო მოდელის ავტომანქანები დადიან, რატომ ცხოვრობენ ეს ბავშვები ასეთ პირობებში.

# ვინ ამწვავებს "ივერიაში" მდგომარეობას?

*სასტუმრო "ივერიის" მობინადრეებსა და ინვესტორს შორის ხელშეკრულების გაფორმება გუშინწინ დასრულდა. თბილისის მერია, ცოტა არ იყოს, შიშობდა, რომ დევნილების დათანხმება გაუჭირდებოდა, მაგრამ ხელშეკრულებას სასტუმროში მცხოვრებმა ყველა ოჯახმა მოაწერა ხელი. გუშინ კი ფულადი კომპენსაციის გაცემა დაიწყო. თუმცა, როგორც დევნილები იმუქრებიან, მერიას ტყუილად ჰგონია, რომ პრობლემა ამით მოგვარდა. "დღეს დაწყებულ აქციას ხვალ უფრო მასშტაბურად გავაგრძელებთ და ნახავენ, რა დღეს დავაყრით," - ქალაქის მთავრობას აფრთხილებენ აქციის მონაწილეები.*

ნანა ქადაგიშვილი

გუშინდელი აქციაზე წამოყენებულ ორი პრეტენზიიდან ერთი ნამდვილად უსაფუძვლო გახლდათ. კომპენსაციების გაცემას გვიგვიანებენო, ჩიოდნენ დევნილები. თუმცა, როგორც მერიის ხელმძღვანელობა აცხადებს, ინვესტორმა "ივერიაში" მცხოვრებ თითოეულ ოჯახს ბანკში ანგარიში გაუხსნა და შეპირებული თანხა გუშინვე გადაურიცხა. **"31 ადამიანმა თანხა უკვე გაიტანა ბანკიდან. დანარჩენებს, ვისაც როდის უნდა, მაშინ გაიტანენ,"** - აცხადებს მუშა კომისიის ხელმძღვანელი ზურაბ კიკალეიშვილი.

**"რა ვიცით ვინ რა აიღო, რატომ იმათ გვარებს არ ასახელებნ ჩვენ არც ბანკში ვყოფილვარ და არც არაფერი მიგვიღია,"** - შარზე იყვნენ აქციის მონაწილენი.

აი, მეორე პრეტენზია კი გაუმართლებელი ნამდვილად არ გახლდათ. **"8-10 დღე იქნება, ელექტროენერგია და ტელეფონები გაგვითიშეს, აღარც წყალს გვაწვდიან. ამ ყველაფერს მიზანმიმართულად აკეთებენ, რომ აქედან მალე გაგვაქციონ. რომ წავიდეთ, ავეჯი ხომ უნდა ჩავიტანოთ, ლიფტი თუ არ იმუშავებს, მაღალი სართულებიდან როგორ ვათრიოთ. ვითომდა, დავალიანება გაქვთ და სინათლე იმიტომ გაგითიშეთო. ახლა გაახსენდათ დავალიანება? თანაც, თუკი ჩვენი სამინისტრო საფასურს არ იხდის, ჩვენი რა გადასახადია,"** - მერიის ხელმძღვანელობას ადანაშაულებენ დევნილები.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

*დევნილები მთავრობის მისამართით უკმაყოფილებას გამოთქვამენ.*

მერია კი გვარწმუნებს, რომ "ივერიაში" ელექტროენერგიის გათიშვასთან არაფერი აკავშირებს. **"დევნილთა და განსახლების სამინისტროს ელექტროენერგიის საფასური არ გადაუხდია და მერია რა შუაშია. "თელასმა" სინათლე დავალიანების გამო გათიშა. ორი კვირის წინათაც ასე მოხდა, მაგრამ პრემიერმა სთხოვა "თელასის" გენერალურ დირექტორს და ჩართეს სინათლე. პრემიერსა და "თელასის" ხელმძღვანელობას შორის ახლაც მოლაპარაკება მიმდინარეობს,"** - აცხადებს კიკალეიშვილი. თუმცა, დევნილები ქალაქის მთავრობის მიერ დათქმულმა "ივერიის" დაცლის საბოლოო ვადამ დააეჭვა. როგორც კიკალეიშვილი ამბობს, აგვისტოს ბოლომდე სასტუმრო დაცლილი უნდა იყოს.

დევნილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვა კი ყველაფერში ძველ ხელსუფლებას ადანაშაულებს. **"სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთ სულზე 100 კილოვატსაათი ელექტროენერგიის საფასური 14,8 ლარია გამოყოფილი. წელს კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს ელექტროენერგიის საფასური ივლისის ჩათვლით გადავურიცხეთ, აგვისტოს საფასურიც მალე გადაირიცხება. ძველი დავალიანება კი არის 3 მილიონი, მაგრამ ეს ძველ ხელისუფლებას მოკითხონ. მკვდარ სულებზე რომ ირიცხებოდა თანხები. ძველი დავალიანების გარდა, ვალი, ალბათ, ზედმეტი გადახარჯვის შედეგადაც დაგროვდა. მოსახლეობას დღე და ღამე ჩართული აქვს სინათლე. ზოგს მაღაზია აქვს გახსნილი, ზოგს საცხობი, სინათლე აქაც ხომ იხარჯება. სახელმწიფოს მიერ გადახდილი თანხა, ამდენს რას გასწვდებოდა. საფინანსო პოლიციას მასალები გადავეცი და ყველაფერს გამოიკვლევენ, ბიუჯეტიდან როდის, რა გადაირიცხა,"** - აცხადებს ასტემიროვა.

"თელასის" გენერალური დირექტორისთვის შეღავათის გაწევა დევნილთა და განსახლების მინისტრსაც უთხოვია და ელექტროენერგიის გრაფიკით მიწოდებაზე შეთანხმებულან. ქალაქის პრემიერიც ვარაუდობს, რომ "თელასთან" მოლაპარაკება შედეგიანად დამთავრდება. ყოველ შემთხვევაში, დღეს "ივერია" თუ ისევ გაუნათებელი დარჩა, ძლივს ჩაწყნარებული ურთიერთობა კვლავ გამწვავდება.




## განმარტება

### განმარტებისთვის "24 საათმა" მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, კახა ლომაიას

*- ბატონო კახა! თქვენს მიერ ხელმოწერილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მასწავლებლები 20 აგვისტოდან უნდა გამოცხადებულიყვნენ. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ისინი 20 აგვისტოდან სამსახურში გასვლის დღემდე გამოსამუშავებელ ხელფასს ვერ მიიღებენ?*

ჩვენი სურვილი იყო, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყების თარიღის 20 სექტემბერზე გადაწევასთან ერთად გადაწეულიყო მასწავლებლების სამსახურში გასვლის დღეც და იგი ტრადიციულად სასწავლო წლის დაწყებამდე 10 დღით (ჩვენს შემთხვევაში 10 სექტემბრით) განსაზღვრულიყო. სამწუხაროდ, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში ეს შეუძლებელია. თუმცა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ძალისხმევით მასწავლებლები, რომლებიც სამუშაო ადგილებზე 20 აგვისტოს შემდეგ გამოცხადდებიან აუცილებლად მიიღებენ სახელფასო ანაზღაურებას სრულად - ისე, როგორც ამას ჩვენ ვპირდებოდით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

### ბრძანება N136

2004 წ. 5 აგვისტო
ქ. თბილისი

**2004-2007 სასწავლო წლების დაწყების, დამთავრებისა და არდადეგების დროისა და ხანგრძლივობის განსაზღვრის შესახებ**

საქართველოს ზოგადსაგანამანთლებლო სასწავლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო წლის დაწყების საქართველოს კლიმატურ პირობებთან შესაბამისობის, სასწავლო ციკლის რითმულობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, სასწავლო გეგმების მოცულობის გათვალისწინებით, "განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად,

**ვბრძანებ,**

1. საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2004-2007 სასწავლო წლები დაიწყოს ყოველი წლის სექტემბრის მესამე ორშაბათს.
3. დამტკიცდეს საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2004-2007 სასწავლო წლების დაწყების, დამთავრებისა და არდადეგების დროისა და ხანგრძლივობის განმსაზღვრელი თანდართული გრაფიკი.
4. ბრძანების 1-ლი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული გრაფიკი სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომლებიც ახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს.
5. მიეცეს რეკომენდაცია საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გარდა ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული დაწესებულებებისა, სასწავლო წლის დაწყება მათი სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით შეუსაბამონ სამინისტროს მიერ დამტკიცებულ გრაფიკს.
6. დაევალოს პროექტის "ილია ჭავჭავაძე" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს ბრძანების საჯარო გამოქვეყნება.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება განხორციელდეს 2004 წლისთვის გათვალისიწნებული წესითა და ოდენობით.

დაევალოს მინისტრის მოადგილეს - ბ-ნ თეიმურაზ სამადაშვილს მიიღოს ბრძანების მე-6 პუნქტის შესასრულებლად აუცილებელი ზომები.

დანართი: 1 ფურც.

*მინისტრი*
*ალექსანდრე ლომაია*

# ყალბი პასპორტების დამზადება-გასაღებით დაკავებული ჯგუფის წევრებს ეძებენ

ყალბი პასპორტების დამზადება-გასაღების ბრალდებით დაკავებულთა რიცხვი დღითიდღე მატულობს. ამ ჯგუფის წევრებს, ამჯერად, ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლები ეძებენ. ამის მიზეზი, გუშინწინ, ყალბი პასპორტების გასაღების ფაქტზე დაკავებული ქალბატონის მზია კარტოზიას მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე გახდა.

პოლიციამ კარტოზია იმ დროს დააკავა, როდესაც მას ეგრეთ წოდებული "გაფუჭებული" და მოგვიანებით "გასუფთავებული", აღდგენილი ორი პასპორტი მოქალაქეებისთვის გადასაცემად გამზადებული ჰქონდა. როგორც ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციაში განგვიცხადეს, დაკავებულმა გამოძიებას უკვე მისცა ჩვენება და დანაშაული აღიარა. მზია კარტოზიას ჩვენების მიხედვით ირკვევა, რომ ის ყალბი პასპორტების დამზადება-გასაღების პროცესში მხოლოდ შუამავლის როლს ასრულებდა.

**"როგორც დაკავებული ირწმუნება, უკვე გამზადებული პასპორტები მასთან ვინმე პავლე თევდორაშვილს მიჰქონდა. ყალბი პასპორტის დამზადებაში პავლე თევდორაშვილი მოქალაქეებისგან გასამრჯელოდ 200 დოლარს და 50 ლარს იღებდა. დაკავებულის მიერ დასახელებულ დამნაშავეზე, პავლე თევდორაშვილზე ძებნა გამოცხადდა. დგინდება მისი საცხოვრებელი ადგილი,"** - აცხადებენ ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციაში, სადაც დარწმუნებულები არიან, რომ ყალბი პასპორტების დამამზადებელთა და რეალიზატორთა ჯგუფი მხოლოდ ძებნილად გამოცხადებული თევდორაშვილითა და დაკავებული კარტოზიათი არ შემოიფარგლება.



*ყალბი პასპორტების დამზადება-გასაღების ბრალდებით დაკავებულთა რიცხვი დღითიდღე მატულობს.*

გუშინწინ, სამართალდამცველებმა თაღლითურად ყალბი დოკუმენტების დამზადებასა და გამოყენებაში ცოლ-ქმარი ია კერესელიძე და გია მეზურნიშვილი ეჭვმიტანილებად ცნეს. მათი საქმიანობის დეტალებს ამჟამად გენერალური პროკურატურა სწავლობს. როგორც გაირკვა, ცოლ-ქმარმა, საბერძნეთში სამუშაოდ გაგზავნის მიზნით, ქვეყნის საზღვრებს გარეთ წასვლის მსურველ ნინო მაისურაძეს 2500 დოლარი გამოსძალეს. როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, ცოლ-ქმარი სხვადასხვა მოქალაქეების სახელზე შევსებული პასპორტებით სარგებლობდა. ია კერესელიძე და გია მეზურნიშვილი თაღლითურად ამზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს და უცხოეთში წასვლის მსურველებს გასამგზავრებელი საბუთებისთვის საკმაოდ სოლიდურ თანხას სთხოვდნენ.

*24 საათი*

# სისხლიანი შეტაკება თემქის დასახლებაში

გუშინწინ საღამოს სროლის ხმა ისმოდა თემქის დასახლებაში. სროლის ხმაზე შეკრებილმა გამვლელებმა მძიმედ დაჭრილი ზვიად სარალიძე და მრავალჯერადი ჭრილობებით ადგილზევე გარდაცვლილი მისი ბიძაშვილი ვახტანგ სარალიძე ნახეს. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა დაჭრილი სარალიძე საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას მძიმე ოპერაცია გაუკეთდა. ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. თუმცა, სამართალდამცველებს, ჯერჯერობით, მისი დაკითხვის უფლება არ ეძლევათ.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ზვიად და ვახტანგ სარალიძეების დაჭრასა და მკვლელობაში ეჭვმიტანილი სამართალდამცველებს უკვე ჰყავთ, თუმცა მისი დაკავება ჯერ ვერ მოხერხდა. გამოძიებისთვის ცნობილია ისიც, რომ დანაშაული "მაკაროვის" სისტემის იარაღიდან მოხდა. თუმცა ამ ეტაპზე დანიშნულია ბალისტიკური ექსპერტიზა და იარაღის სახეობა სწორედ ექსპერტიზის საბოლოო დასკვნის შემდეგ გახდება ცნობილი.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, სამართალდამცველებმა გაქცეულ მკვლელს ნებაყოფლობით ჩაბარების შესახებ შეუთვალეს და იმედსაც არ კარგავენ, რომ თბილისელი თენგიზ გოგიაშვილი პოლიციაში მართლაც საკუთარი ფეხით გამოცხადდება.

**"ჯერ ცოტას ვაცლით, იქნებ გონს მოეგოს. თუ ასე არ მოხდება, მისი დაკავების სპეცოპერაცია გარდაუვალია,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გლდანი-ნაძალადევის რაიონის პოლიციის უფროსმა დავით კეკუამ.

პოლიციის განცხადებით, დაჭრილიც, მოკლულიცა და მკვლელიც ეგრეთ წოდებული კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლები არიან. მათ შორის შელაპარაკება კი "მათივე საქმიანი ურთიერთობიდან" გამომდინარე მოხდა. კონკრეტულად რა გახდა ზესტაფონელი და თბილისელი კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს შორის მომხდარი გაურკვევლობისა და კონფლიქტის მიზეზი, პოლიცია ჯერჯერობით არ ამხელს.

გუშინწინდელ ინციდენტთან დაკავშირებით განზრახ მკვლელობის და განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით დამამძიმებელ გარემოებაში საქმე გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურაში აღიძრა, სადაც იმედოვნებენ, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაული უახლოეს დღეებში გაიხსნება.

*24 საათი*

unicef

**გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი) კონტრაქტის საფუძველზე სამუშაოდ იწვევს პროფესიონალ ფოტოგრაფებს, სასურველია ფოტოჟურნალისტებს, იუნისეფის დახმარებით მიმდინარე პროგრამებისა და ზოგადად, საქართველოში ქალთა და ბავშვთა მდგომარეობის შესახებ ფოტოარქივის განახლების მიზნით.**

**სამუშაო პირობები იუნისეფის მხრიდან:**

- იუნისეფის მოთხოვნის საფუძველზე მოამზადოს პროგრამულ ღონისძიებებთან დაკავშირებული ციფრული ფოტო-მასალა;
- იმოგზაუროს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, რათა აღბეჭდოს ქვეყანაში ბავშვების მდგომარეობა. იუნისეფი უზრუნველყოფს მგზავრობასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს;
- ფოტოგრაფს უნდა ჰქონდეს ციფრული ფოტოგრაფირებისათვის საჭირო ყველა სახის აღჭურვილობა ( მაგ. იუნისეფის მიერ რეკომენდებული ფოტოკამერა **Nikon Coolpix 8700**, 8 მეგაპიქსელი= 3200 x 2500 პიქსელი, ზუმი 35 – 280 მმ-ის ექვივალენტი სტანდარტულ 35mm SLR კამერაზე ან **Canon Powershot Pro1**, 8 მეგაპიქსელი, ზუმი 28-200mm ექვივალენტი სტანდარტულ 35mm SLR კამერაზე ან სხვა შესაბამისი პარამეტრების კამერა)
- კონკრეტული დავალების შესრულების შემდეგ ფოტოგრაფმა ერთი კვირის ვადაში იუნისეფს უნდა გადასცეს ციფრული ნეგატივები და ციფრული ფოტოს ნაბეჭდი სურათები 20X25. იუნისეფი იტოვებს უფლებას შეარჩიოს მისთვის მისაღები ფოტოები. დანარჩენი ფოტოები დაუბრუნდება ავტორს.
- იუნისეფს უნდა ჰქონდეს ყველა შერჩეული ორიგინალური ციფრული ფოტოფირი საავტორო უფლებათა სრული დაცვით.
- ფოტოგრაფებმა ციფრულ ფოტოსურათს თან უნდა დაურთონ ძირითადი ინფორმაცია გადაღებული მასალის შესახებ(სად, ვინ, რა, როდის, მოვლენის მოკლე აღწერა).

შერჩევის საწყის ეტაპზე იუნისეფი სთხოვს დაინტერესებულ ფოტოგრაფებს წარმოადგინონ კონკურსში მონაწილეობის წერილობითი მოთხოვნა, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს:

- რეზიუმე - ავტობიოგრაფია;
- პორტფოლიო - ფოტოსურათები კანდიდატის პროფესიონალიზმის შესაფასებლად;
- სამუშაოს შესრულების ვადა;
- მომსახურების ღირებულება (საათი, დღე, თითოეული ორიგინალური ნეგატივის ფასი);

შერჩეული კანდიდატები მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას იუნისეფის მოთხოვნების შესახებ.

**დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, დაუკავშირდეთ მაია ქურციკიძეს ტელ: 23 23 88, 25 11 30, მობ: 8 99 53 30 71.**

**გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი წინადადება ა.წ. 1 სექტემბერს, 6 სთ-მდე დაბეჭდილ კონვერტში იუნისეფის ოფისში - მისამართი - ერისთავის ქ 9, გაეროს სახლი, IV სართული.**

**ორგანიზაცია იტოვებს უფლებას დაუკავშირდეს მხოლოდ გამარჯვებულ კანდიდატს.**

## მოკლედ

### "ყალბი ფულის მორიგი პარტიის შემოტანა იგეგმება"

ფინანსური პოლიციის აჭარის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები აცხადებენ, რომ ფლობენ ინფორმაციას ერგნეთიდან ყალბი ფულის მორიგი პარტიის შემოტანის მზადების შესახებ. პოლიცია მოუწოდებს მოქალაქეებს, დოლარი მხოლოდ და მხოლოდ ლიცენზირებულ გადამცვლელ ჯიხურებში შეიძინონ.

აჭარის ფინანსურმა პოლიციამ და შს სამინისტროს აჭარის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა გუშინ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერგნეთის ბაზრობაზე შეძენილი ყალბი დოლარის რეალიზაციისთვის ბათუმში მინდია ქოქოლაძე დააკავეს.

"დაკავებისას მას ამერიკული დოლარის 13 ყალბი კუპიურა ვუპოვეთ. ყალბი ფულის რეალიზებას ქოქოლაძე ბათუმის სასტუმრო "პირამიდაში" ცდილობდა. როგორც სასტუმროში აცხადებენ, ქოქოლაძე ამ სასტუმროში ადრე ცხოვრობდა და ადმინისტრაციისთვის ყალბი დოლარების "მისაღებას" ადრეც შეეცადა", - აცხადებენ სამართალდამცველები. დაკავებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 212-ე მუხლით აღიძრა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მას 3-დან 7 წლამდე პატიმრობა ელის. **ინტერ-პრესი**

### "მკვლელობის ეთნიკური მოტივი გამორიცხულია"

ბერძნულ სათვისტომოთა კავშირის თავმჯდომარე კირიაკი იორდანოვი წალკის რაიონის სოფელ გუნიაკალაში მომხდარი ინციდენტის ეთნიკურ მოტივს გამორიცხავს და აცხადებს, რომ ბერძენი ეროვნების მოქალაქეზე თავდასხმა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე განხორციელდა.

შეგახსენებთ, ორი დღის წინ, რამდენიმე შეიარაღებული პირი ფულის გამოძალვის მიზნით თავს დაესხა ადგილობრივ მკვიდრს, ბერძენი ეროვნების 72 წლის პანტელეი კალაჩევს. თავდამსხმელებმა მოხუცს მრავლობითი ჭრილობები მიაყენეს, რის შედეგადაც ის გარდაიცვალა. ცხედარზე წამების კვალი პირველადი დათვალიერებითაც ნათლად ჩანდა. როგორც ირკვევა, პანტელეი კალაჩევი რუსეთში აპირებდა გამგზავრებას და სახლში გარკვეული რაოდენობის თანხას ინახავდა.

მომხდართან დაკავშირებით წალკის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ადგილზე ჩავიდნენ ბერძნული დიასპორის წარმომადგენლები. პრეზიდენტმა ადგილობრივ სამართალდამცველებს დანაშაულში ეჭვმიტანილთა დასაკავებლად 15 დღე მისცა.

როგორც ბერძნული სათვისტომოს კავშირის თავმჯდომარე კირიაკი იორდანოვი აცხადებს, ვარაუდი იმის შესახებ, რომ მოხუცი ბერძენის მკვლელობა ეთნიკურ დაპირისპირებას უკავშირდება, მცდარია. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** შს იმერეთის მთავარი სამმართველოს უფროსმა ზურაბ ჩიკვაიძემ გუშინ წყალტუბოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებს ახალი უფროსი წარუდგინა. 42 წლის ნუგზარ ქობულია წყალტუბოში ამბროლაურიდან გადაიყვანეს, სადაც ის პოლიციის უფროსი იყო. ქობულია შს სისტემაში 1989 წლიდან მუშაობს. შრომითი საქმიანობა მან წყალტუბოში დაიწყო. ამბროლაურის პოლიციის უფროსობამდე ქობულია შს სამინისტროს მკვლელობების განყოფილებას ხელმძღვანელობდა. წყალტუბოს პოლიციას დღემდე პაატა ელბაქიძე ხელმძღვანელობდა, რომელიც თანამდებობიდან სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით გათავისუფლდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის ოპერატიულმა განყოფილებამ ზესტაფონში რეგისტრირებული შპს "ბროდვეის" გენერალური დირექტორის თამაზ მახათაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. საქმე სახელმწიფოსთვის გადასახადების დაფარვის მუხლით არის აღძრული. როგორც პოლიციაში აცხადებენ, აღნიშნული ფირმა ბათუმის საწყობიდან სასურსათო და სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობს. "ბროდვეის" ბიუჯეტის სასარგებლოდ 34 ათას ლარზე მეტი აქვს გადასახდელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, შს ხულოს განყოფილებისა და ხიხაძირის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა ხულოს რაიონის სოფელ ვერნების საკარმიდამო ნაკვეთიდან 445 ძირი კანაფი ამოიღეს, რომლის სიმაღლე - 2,5 მეტრი, ხოლო წონა 300 კგ-მდე იყო. საკარმიდამო ნაკვეთი ანეტა სურმანიძეს ეკუთნოდა, რომელიც ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი ნერგის რეალიზაციაში ადრეც იყო შემჩნეული. ნაკვეთი, სადაც კანაფი აღმოაჩინეს, ელექტროსადენებით იყო დაცული. პოლიციელებმა ჯერ დენი გათიშეს, ხოლო შემდეგ კანაფი ამოიღეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ანეტა სურმანიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ამჟამად, დაკავებული შს სამინისტროს აჭარის სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისში, ცხინვალის რეგიონიდან გადმოყვანილი ბავშვების სახელით, თაღლითობის ფაქტი გამოავლინეს. თაღლითთა ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. მათ ბავშვების დასახმარებლად იმერეთის მხარის ადმინისტრაციის ბლანკიან ფურცელზე დაწერილი და გუბერნატორ დავით მუმლაძის ყალბი ხელმოწერით ქუთაისის უმაღლეს სასწავლებლებს და კერძო მეწარმეებს წერილი გაუგზავნეს. ერთ-ერთი ასეთი წერილის გახმაურების შემდეგ, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის მოთხოვნით სამართალდამცავებმა საქმის გამოძიება დაიწყეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ზესტაფონის შს განყოფილების თანამშრომლებმა ამავე რაიონის მკვიდრი ჯუმბერ გელაშვილი ამხილეს, რომელსაც ს/ს "ზესტაფონის ფეროს" ტერიტორიაზე საწარმოს ბალანსზე რიცხული სილიკომანგანუმის ნარჩენების უკანონო მოპოვება-მითვისება ედება ბრალად. რუსთაველის N27-ში, სადაც გელაშვილი ცხოვრობს, პოლიციელებმა ამ წესით მოპოვებული 3 ტონა სილიკომანგანუმის ნარჩენები ამოიღეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა თბილისში მეტროსადგურ "ახმეტელის" მიმდებარე ტერიტორიაზე ხულიგნობისა და პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე დააკავეს 28 წლის ლევან ხარაზიშვილი, რომელმაც, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა, ტაქსის მძღოლს, 57 წლის ზაურ გაგიშვილს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. შემთხვევის ადგილზე მისულ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს ხარაზიშვილმა ასევე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და დაკავებისას წინააღმდეგობა გაუწია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა სამსახურებრივი სიყალბის ფაქტზე ამხილეს ქუთაისის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსი, 52 წლის თინა მაჩიტიძე, რომელმაც საზღვარგარეთ (ისრაელში) მყოფ ილია იაკობიშვილსა და ლია უკლებას შორის 1997 წლის 13 მაისს გააფორმა და დაამოწმა ყალბი მინდობილობა ილია იაკობიშვილის კუთვნილი საცხოვრებელი სახლის მართვისა და განკარგვის შესახებ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დააკავეს 25 წლის მიხეილ გოგავა, მეტსახელად "კარლიკა", რომელმაც ზაზა ყვარელაშვილის ავტოფარეხი გაქურდა. საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის ისან-სამგორის სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს 45 წლის აზიზ ეიუბოვი, რომელმაც ურთიერთშელაპარაკებისას დანით მუცელში დაჭრა მეუღლე, 37 წლის რაია კაზიმოვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა საჩხერის რაიონში დააკავეს დასავლეთ საქართველოში მოქმედი ყაჩაღური დაჯგუფების წევრი, საჩხერელი, 28 წლის გიორგი პაპიძე, რომელიც 17 აგვისტოს მამუკა თოდაძესთან, ვახტანგ და დავით ლაშხებთან ერთად ყაჩაღურად თავს დაესხა საჩხერის აგრარულ ბაზარში არსებულ ტარიელ ტოგონიძის საბითუმო ვაჭრობის მაღაზიას. პაპიძე დაკავებისას ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. **მედია-ნიუსი**

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 149

2004 წ. 23 აგვისტო
ქ. თბილისი

### საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებშისაშემოდგომო გამოცდების ჩატარების შესახებ

საქართველოს კანონის "განათლების შესახებ" მე-11 მუხლის მე-9 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 5 აგვისტოს ბრძანების N 136 შესაბამისად

ვბრძანებ:

1. სახელმწიფო საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საშემოდგომო გამოცდები დაინიშნოს შემდეგ რიცხვებში:

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში - 2004 წლის 13 სექტემბერს

ბ) მათემატიკაში -2004 წლის 17 სექტემბერს

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგამოცდო თემატიკის შემუშავება დაევალოს სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის საგამოცდო კომისიებს.

*მინისტრი*
*ალექსანდრე ლომაია*

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 148

2004 წ. 23 აგვისტო
ქ. თბილისი

### სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სასწავლო წლის დაწყების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2004 წლის 5 აგვისტოს ბრძანების N 136 შესაბამისად

ვბრძანებ:

1. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში 2004 - 2005 სასწავლო წლის დაწყება განისაზღვროს განათლების რაიონული განყოფილებების გადაწყვეტილებით, რაიონულ გამგეობასთან შეთანხმებით, რათა გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, ასევე მშობელთა ინტერესები.

2. ქალაქ თბილისში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში თბილისის განათლების საქალაქო სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით, 2004-2005 სასწავლო წელი დაიწყოს 6 სექტემბერს.

*მინისტრი*
*ალექსანდრე ლომაია*

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასკოლო ოლქებს და განათლების რაიონულ განყოფილებებს

გაცნობებთ, რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ამა წლის 5 აგვისტოს ბრძანების N136 საფუძველზე 2004-2005 სასწავლო წელი იწყება 20 სექტემბერს.

მასწავლებლების შრომის ანაზღაურება განხორციელდება 2004 წლისთვის გათვალისწინებული წესითა და ოდენობით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები უფლებამოსილი არიან დაიწყონ სასწავლო წელი განათლების რაიონული განყოფილების გადაწყვეტილებით, რაიონულ გამგეობასთან შეთანხმებით, რათა გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივი ხელისუფლების ოგანოების, ასევე მშობელთა ინტრესები.

ქალაქ თბილისში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში თბილისის განათლების საქალაქო სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინებით, 2004- 2005 სასწავლო წელი დაიწყოს 6 სექტემბერს.

*მინისტრი*
*ალექსანდრე ლომაია*

## ჩვენ საზოგადოების სრულუფლებიანი მოქალაქეები ვართ

თამარ დორეული

*115-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე*

ძნელია, ისაუბრო რაიმე კონკრეტულ პრობლემაზე, როდესაც საქართველო თავად პრობლემაა, რომლის გადაჭრასა და მოგვარებას უდიდესი ძალისხმევა სჭირდება. რა თქმა უნდა, მართებული არ იქნება თუკი ქვეყნის ასეთ მდგომარეობას მთლიანად მთავრობას გადავაბრალებთ. ნათელ მომავალს დამოუკიდებელი და დემოკრატიულად განწყობილი აწმყო სჭირდება. დღეს ეს აწმყო ჩვენ ვართ. ჩვენი თავისუფალი აზროვნება და აქტიურობა ერთგვარი სტიმულია მთავრობისთვისაც. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც არსებობს რაღაც გამორჩეული პრობლემა, რომელიც ჩემთვის აქტუალურია და მეტად მოსაგვარებელი.

საქართველოში წამოჭრილი პრობლემების უმრავლესობა უსახსრობიდან გამომდინარეობს. უმუშევარი მოსახლეობა იძულებულია, უკანონობის მეგობარი გახდეს და ცხოვრების თანამგზავრადაც დანაშაული აირჩიოს, ან თუნდაც იმათხოვროს და დაივიწყოს ის ადამიანური ფასეულობები, რომელიც მთავარია ცხოვრებაში. რატომღაც ქვეყანაში ისეთი მენტალიტეტი დამკვიდრდა, რომ 25 წელზე ზემოთ ადამიანმა უკვე განვლილ ცხოვრებაზე ფიქრი უნდა დაიწყოს და თავი არასრულფასოვან მოქალაქედ ჩათვალოს. ეს იმიტომ, რომ მათ უკვე მუშაობის უფლებას აღარ აძლევენ. რატომ უნდა მიაყენოს ქართველმა ქართველს შეურაცხყოფა და აგრძნობინოს, რომ იგი აღარავის სჭირდება, არავის ადგება მისი საქმიანობა, როცა ეს უკანასკნელი, განათლებული ადამიანია, მაგრამ არ შეუძლია გამოიყენოს ნათესაური კლანი, რაც საქართველოშია გამეფებული. უდიდესი პრობლემაა ისიც, რომ ქართველები თავად ვერ ვაფასებთ ჩვენს ძალებს და რატომღაც ვთვლით, რომ უცხოელი გვჯობია.

ეს ტყუილია ხალხო! დროა დავრწმუნდეთ ჩვენს ძალებში და მთავრობამაც გვაგრძნობინოს, რომ ჩვენ საზოგადოების სრულუფლებიანი მოქალაქეები ვართ.

## შსს-ს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს პასუხი:

**პასუხი ლიკა გამრეკელს და თამუნა ზურაბიშვილს**

მსგავსი ფაქტები თითქმის ყველგან, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში და ქალაქში ხდება. ის, რომ ახალგაზრდებს უჭირთ და თავს ძარცვით ან ქურდობით ირჩენენ, ეს არ არის თავის გადარჩენის ერთადერთი გზა და გამამართლებელი ფაქტი. უდავოა, რომ მსგავსი ფაქტები საქართველოშიც ხდება და მართლაც სამწუხაროა, რომ ასეთ ქმედებას ახალგაზრდები სჩადიან. რა უნდა ქნას პოლიციამ, თითოეულ სამარშრუტო ტაქსში ხომ ვერ ჩაჯდება და მგზავრების უსაფრთხოებას ასე ხომ ვერ დაიცავს. თუმცა პრობლემა მართლაც არის. ვფიქრობთ სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმაც უნდა გამოიჩინონ დიდი ყურადღება და თავადვე მოახდინონ მგზავრების უსაფრთხოების დაცვა. არის შემთხვევები, როცა თავად მძღოლები არიან შეკრულები მძარცველებთან და ამ საქმიდან წილიც აქვთ. რა უნდა ქნას მგზავრმა? არსებობს შსს- ს ცხელი ხაზები და იქნებ სანამ თქვენამდე მძარცველი სხვა მგზავრის ძარცვას მოამთავრებს და თქვენზე გადმოვა, ოპერატიულად შეატყობინოთ პოლიციას.

პოლიციისა და საზოგადოების თანამშრომლობა არა მარტო ასეთ პრობლემას მოაგვარებს, არამედ სხვა ისეთი პრობლემებიც მოგვარდება, როგორიც ხშირად არც თუ ისე სასურველი შედეგებით სრულდება.

**პასუხი კახა ქველიძეს**

ის, რომ პოლიცია კორუმპირებულია, ახლა ამაში ვერ დაგეთანხმებით, თუმცა კორუფცია შსს -ში ყვაოდა და ამას ყოფილი ხელისუფლება მაქსიმალურად უწყობდა ხელს, ეს ფაქტია. ახლა პოლიცია პატიოსანი ცხოვრების და მუშაობის ახალი სტილით მუშაობს. და თუ კორუფციული ფაქტების შესახებ ვინმე რაიმე ფაქტს გაიგებს და ეს დადასტურდება, იმედი გქონდეთ, რომ თქვენი შეტყობინება რეაგირების გარეშე არ დარჩება. მსგავს ფაქტებზე არავის არასდროს დავინდობთ.

**შეგვატყობინეთ**, შსს-ს ცხელი ხაზი - **99 93 55**

## შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრს

ნინო მინდიაშვილი

*115-ე სკოლის მე-8 კლასისი მოსწავლე*

თბილისში, როგორც ვიცით არსებობს ბევრი საპატიმრო განყოფილება:ქალთა, კაცთა და არასრულწლოვანთა. ამ უკანასკნელში ხშირია შემთხვევები, როცა ხვდებიან ორგანიზებული და ინდივიდუალური დანაშაულის ჩამდენი პირები. ანუ არ ხდება ამ ორი საკითხის გაყოფა. მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როცა ახალგაზრდა ქურდობს იმიტომ, რომ მას არა აქვს შემოსავლის წყარო, საიდანაც იგი შეძლებს არსებობას და ამიტომ იპარავს. და არიან ისეთი ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ არსებობის წყარო, სრულიად უზრუნველყოფილნი არიან ეკონომიკურად, მაგრამ აქვთ ერთგვარი დაავადება-ქურდობის და ყაჩაღობის სურვილი. ორივე შემთხვევაში ქურდებად ითვლებიან და ერთად იხდიან სასჯელს. ამიტომ სასურველია არსებობდეს ამგვარი დაავადებათაგან შეპყრობილი არასრულწლოვანების ფსიქოლოგიური მკურნალობის დაწესებულება, სადაც მოხდება მათი განკურნება. დაპატიმრებით და ციხეში ჯდომით ისინი ამას არ მოიშლიან. ვერც ისინი გახდებიან უკეთესები, ვინც პირველი ქურდობისთვის მხოლოდ ციხეში ჩაჯდება. რას ფიქრობენ ამაზე იუსტიციის სამინისტროში?

კარგი იქნება, თუ შინაგან საქმეთა მინისტრი მოსწავლეებს შეგვხვდება.


ვახო ბასილიას ფოტო




## ქალაქის მერს და ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელს

ნინო კიკალიშვილი

*192-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე*

პრობლემები თავსაყრელია. ახლა რაზეც ვისაუბრებ, ყველაზე მეტად, ალბათ, ქალაქის მერს ეხება. ვცხოვრობ დიდი დიღმის მე-4 მიკრორაიონში. საერთოდ, ჩვენი რაიონი ძალიან მოუწესრიგებელია და ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაწყვეტი. პირველ რიგში მინდა სკოლას შევეხო, რომელიც ორ რაიონს ემსახურება. მე-4 მიკრორაიონიდან სკოლაში მისასვლელი გზა ფაქტობრივად არ არსებობს და თუ წვიმაა, ჩვენ სკოლაში მისვლას ვერ ვახერხებთ, რადგან ტრანსპორტის პრობლემა გვაქვს. ეს ძალიან გვაწუხებს.

დიდ დიღომში არ არის დასასვენებელი პარკები, თეატრები, კინოები და საერთოდ, არანაირი დაწესებულებები, რაც ადამიანს ნორმალური ცხოვრებისთვის სჭირდება. მოსახლეობა ცდილობს გაამწვანოს ტერიტორიები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

გთხოვთ, დაინტერესდით ჩვენით.

## გარემოს დაცვის მინისტრს

ანა ასტვაცატურიანი,
მარიამ ლეკვეიშვილი

*45-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეები*

ჩვენი მთავარი თემაა ეკოლოგია, გარემოს გაჭუჭყიანებისგან დაცვა, დასუფთავება.

ჩვენი აზრით სასურველია მაკულატურის ცენტრის აღდგენა, რითაც დავიცავთ ჩვენს ფლორას და ფაუნასაც. საექსპლოატაციო ხე-ტყის რაოდენობა საქართველოში, კერძოდ თბილისშიც მცირეა. ძირითადად გავრცელებულ ტყეებს აკისრიათ ჰაერდაცვითი, ნიადაგდაცვითი, წყალდაცვითი ფუნქციები. მათი უკანონო ჭრა დაუშვებელია.

სასურველია ყოველწლიური გამწვანება, რაშიც თბილისის მასშტაბით სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა და ეს უნდა იყოს სისტემატური პროცესი.

ჩაის მწარმოებელი ქარხნის მიმდებარე ტერიტორია-პარკი დაბინძურებულია და საჭიროებს დასუფთავება-აღდგენას. ჩვენ თხოვნით მოგმართავთ, რომ უყურადღებოდ არ დატოვოთ ჩვენი თხოვნა და ავჭალის მიდამოებში ერთადერთი ნორმალური პარკი დასუფთავდეს და განახლდეს.იქ ეკლესიის მშენებლობაა დაგეგმილი. საჭიროა გზების შეკეთება, განათების დაყენება. იქნებ როგორმე ალიკვეთოს ლუქების მოპარვა, თორემ გაუნათებელ ქუჩებში ადამიანები ზარალდებიან. ქუჩის ძაღლებზე ვერაფერს ვამბობთ - ძაღლები მოსაკლავად გვეცოდება, მაგრამ მათგან დაკბენილი ადამიანები - კიდევ უფრო მეტად.


იური ლობოდინის ფოტო

## ისანი-სამგორის რაიონის გამგებელს ზურაბ ადამიას

დავით მამისმედაშვილი

*97-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე*

ვცხოვრობ 31-ე ქარხანასთან. მიმდებარე ტერიტორიას ესაჭიროება გასუფთავება. უბანში სოციალურად გაჭირვებულების დიდი ნაწილი ცხოვრობს, რაც ბავშვებზე აისახება.

სალომე გაგნიძე

*145-ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე*

მე ვცხოვრობ ვარკეთილში, სადაც საერთოდ ვერ ვხვდები ურნებს. ამიტომ ბავშვი როდესაც ყიდულობს ნაყინს, მზესუმზირას, შოკოლადს, რაიმე გამაგრილებელ სასმელს, მას ნარჩენების დაყრა უხდება ძირს, რაც უარყოფითად მოქმედებს გარემოზე. ყველა სადარბაზოსთან ნაგავსაყრელია, რომელიც დროულად არ სუფთავდება და მრავლდება ბუზები, ვირთხები, სხვადასხვა დაავადების გადამტანი არსებები. ადამიანი ავადდება. მე მინდა ვიცხოვრო სუფთა გარემოში, სადაც ეკოლოგიაზე და ცხოვრების ადამიანურ პირობებზე იფიქრებს მოქალაქეც და ხელმძღვანელიც.

გიორგი დადვანი

*97 - ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე*

ჩვენ გვინდა შეისწავლონ 31-ე ქარხნის დასახლების უბნები და გააკეთონ ის, რასაც ხალხი ითხოვს. არ უნდა გაიყიდოს ძველი პროდუქტი, გააშენონ პარკები, აშენდეს სახლები, რომ არ იყოს უსახლკარო ოჯახები, იდგეს სანაგვე ურნები, რომლებიც დროულად დაიცლება და მორიგ ნაგავსაყრელად არ იქცევა. ეს მთავრობამ უნდა გააკეთოს და მოსახლეობაც, რასაც შეძლებს, გააკეთებს.

ლევან ტურიაშვილი

*145 -ე სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე*

მეტრო "ვარკეთილის", ხომლელის ქუჩის "დ" კორპუსის წინ არის სტადიონი, მაგრამ შეუძლებელია ამ სტადიონზე თამაში. პირველ რიგში, სულ ასფალტია, თანაც სულ უსწორმასწორო, ვინმე რომ წაიქცეს, შეიძლება სერიოზულად დაზარალდეს. არ არის შემოღობილი, კარსაც არა აქვს ბადე. სტადიონი კორპუსებს შორისაა მოქცეული. ბურთი, ნებისმიერი მიმართულებით გაგზავნისას, შეიძლება მოხვდეს საცხოვრებელი ბინის ფანჯარას. ამან კი შეიძლება ბევრი ცუდი რამ გამოიწვიოს, ნამსხვრევებმა ადამიანი დააზარალოს. ბურთი შეიძლება ქუჩაში მიმავალ მოქალაქესაც მოხვდეს და ამან შეხლა-შემოხლა გამოიწვიოს. ბევრ პრობლემას იწვევს მოუწესრიგებელი სტადიონი. გვინდა, რომ სტადიონი აღდგეს. თუ ბავშვებს სტადიონი და თამაშის საშუალება არა აქვთ, ისინი ქუჩებს მოედებიან და ბევრ ცუდ საქმეშიც ჩაერთვებიან. გთხოვთ, რომ სტადიონი აღადგინოთ.


ვახო ბასილიას ფოტო



დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა

დანართის შემდეგი ნომერი გამოვა 14 სექტემბერს



წიგნები, რომლებიც სხვა წიგნებზე მოგვითხრობენ

B3



რუსებს ოქრო ყელში გაეჩხირათ...

კორკანენკოს ყველაფერს ართმევენ.

B4



ბრუკ შილდსის დაბრუნება

B8

# დამოუკიდებლობის ცამეტი წელი

*ინტერვიუ უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საქართველოში მიკოლა სპისთან უკრაინის დამოუკიდებლობის 13 წლის იუბილესთან დაკავშირებით*

**- 24 აგვისტოს უკრაინა თავისი დამოუკიდებლობის ცამეტი წლისთავს აღნიშნავს. რა მიღწევები ჰქონდა უკრაინას ამ წლების განმავლობაში და რითი ცხოვრობს უკრაინელი ხალხი ამჟამად?**

- ვფიქრობ, ამ დღეებში, არა მარტო პოლიტიკოსები, არამედ უამრავი მოქალაქე დასვამს ამგვარ შეკითხვას. მოხარული ვარ, რომ ჩვენ დღეს უკვე გვაქვს პასუხი. დამოუკიდებლობის წლებში ჩვენ რთული, მაგრამ შედეგიანი გზა გავიარეთ. პირველ რიგში, ჩვენი მოქმედებები ეფექტური იყო სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებაში, ვითარების სტაბილიზებაში და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში. უკრაინამ მსოფლიო აღიარება სწრაფად მოიპოვა. მართალია, გაჭიანურდა სახელმწიფო საზღვრების გაფორმება, მაგრამ ეს პროცესიც დასასრულს უახლოვდება.

აქტიური რეგიონული პოლიტიკის, მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში რთული საკითხების გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ძალისხმევის ფონზე, ჩვენ დღეს შეგვიძლია ვისაუბროთ სტაბილურ საერთაშორისო გარემოცვაზე, რაც მომავალი განვითარებისთვის კარგ შესაძლებლობებს ქმნის.

რასაკვირველია, ყველაფერი მარტივად და უღრუბლოდ არ გვარდებოდა. ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობის შედეგად, მთელი ამ წლების განმავლობაში გვქონდა ჩავარდნები ეკონომიკისა და უკრაინის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისით. ამასთან, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზაზე, გაცილებით მწვავე პრობლემების მოგვარება მოხერხდა საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ სფეროებში და, უპირველესად, ეს ეკონომიკის სფეროს კარდინალურ რეფორმირებას ეხება.

ბოლო მოეღო ხანგრძლივ, დამანგრეველ კრიზისს და უკვე ოთხი წელია, რაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური წინსვლა გვაქვს.

მართალია, არა სასურველი სისწრაფით, მაგრამ მაინც, თანდათანობით იზრდება უკრაინის მოსახლეობის კეთილდღეობა.

იგრძნობა გარკვეული დადებითი ძვრები სულიერ სფეროშიც, მიმდინარეობს უკრაინის პოლიტიკური ერის ფორმირების პროცესი.

ბოლო წლებში, სახელმწიფო საკმაოდ თამამად ახდენს ადეკვატური რეაქციის დემონსტრირებას საერთაშორისო ხასიათის ახალ გამოწვევებზე, თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებაზე, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე.

**- თქვენ აღნიშნეთ, რომ ეკონომიკა კრიზისიდან გამოვიდა. თუ შეგიძლიათ ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა დაახასიათოთ?**

- რაც შეეხება უკრაინის ეკონომიკურ მდგომარეობას, ამ წელს იგი განვითარების ერთ-ერთ უმაღლეს ხარისხს აჩვენებს, როგორც დსთ-ს ქვეყნებში, ისე ევროპაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა გაიზარდა თითქმის 13 პროცენტით. წარმოების მოცულობა, 2003 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მრეწველობაში გაიზარდა 15,9 პროცენტით, ხოლო ტრანსპორტზე - 7,1 პროცენტით. გაცილებით დიდი ზრდა აღინიშნება ვაჭრობაში - 30,7 პროცენტი, მშენებლობაში - 30,3 პროცენტი, მანქანათმშენებლობაში - 33,9 პროცენტი.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული დადებითად მოქმედებს მოსახლეობის შემოსავლების ზრდასა და უკრაინის ექსპორტული შესაძლებლობების გაფართოებაზე. რეალურმა შემოსავლებმა წლის პირველ ნახევარში 15 პროცენტით იმატა, ნომინალური ხელფასის მსყიდველუნარიანობა კი 26,7 პროცენტით გაიზარდა.

დღეს უკრაინა ვაჭრობას მსოფლიოს 184 პარტნიორ ქვეყანასთან ახორციელებს. უკრაინის პროდუქციის ექსპორტი ბოლო 6 თვის განმავლობაში 51,3 პროცენტითაა გაზრდილი.

რასაკვირველია, ჩვენი ეკონომიკის პოზიტიური ტენდენციები საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობაზე დადებითად აისახება. შეინიშნება ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის საერთო მოცულობის ზრდა, ყოველ წელიწადს მყარდება ექსპორტისა და იმპორტის მოცულობის ზრდის ტენდენცია. საკმარისი საფუძველი გვაქვს საიმისოდ, რათა ერთობლივი წარმოების პროექტების რეალიზაციის იმედი ვიქონიოთ.

ვფიქრობ, ამას დიდად წაადგებოდა კონტაქტების გააქტიურება ორივე ქვეყნის მეწარმეებს შორის. ამ შემთხვევაში, მიღწეული შეთანხმებები დიდი ხნით არ დარჩებოდა თაროებზე შემოდებული. ბიზნესმენები თავად გაარკვევენ, თუ რა არის მათთვის უმჯობესი. ამჟამად შეთანხმების პროცესშია რიგი მნიშვნელოვანი პროექტებისა, მათ შორის - გარანტიები მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების შესახებ, მათი დასაქმება და სოციალური დაცვა.

**- თქვენი ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ უწყებას წარმოადგენთ და, ადენად, საინტერესოა დამოუკიდებლობის პერიოდში როგორ აფასებთ უკრაინის საგარეოპოლიტიკურ კურსს?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ისეთი საკითხების გადაწყვეტას, როგორიცაა უკრაინის დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცება, მისი საერთაშორისო სტაბილურობის უზრუნველყოფა, ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობის შენარჩუნება, დიდად შეუწყო ხელი სისტემურმა და მიზანმიმართულმა სახელმწიფო საგარეოპოლიტიკური კურსის გატარებამ.

დღეს უფრო მეტად ხდება კონცენტრირება იმგვარ საკითხებზე, როგორიცაა მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირება, უკრაინის მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვა საზღვარგარეთ და ჩვენი ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესება.

საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია წარმოადგენს. ევროკავშირისა და ნატო-ს სრულუფლებიანი წევრობა - ეს ჩვენი სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი საკითხია.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რუსეთის ფედერაციასთან მყარი პარტნიორული ურთიერთობების განვითარება ჩვენთვის მომავალშიც სტრატეგიული მნიშვნელობის იქნება.

ევროპა-კავკასია-აზიის კორიდორის ფარგლებში, რეგიონულ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებში უკრაინის მონაწილეობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და თურქეთთან ჩვენი ურთიერთობების მნიშვნელობას ზრდის.

აქტუალურ საკითხად რჩება სუუამის გეოპოლიტიკური პოტენციალის გამოყენება, როგორც ევროპის და აზიის გზაჯვარედინზე პოლიტიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორისა.

რასაკვირველია, სხვა ქვეყნებთან ორმხრივი მეგობრული ურთიერთობების განვითარებას ახლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინა კვლავ მშვიდობისა და უსაფრთხოების დამცველ ერთ-ერთ აქტიურ ქვეყნად დარჩება. დღეს ცხელ წერტილებში, გაეროს 9 სამშვიდობო ოპერაციაში უკრაინას 1400 ჯარისკაცი წარმოადგენს.

ერაყში, სტაბილიზაციის ძალებში, 1800-მდე სამხედრო მოსამსახურე თავის მისიას ასრულებს.

**- როგორც ცნობილია, დსთ-ს ქვეყნების ტერიტორიებზე ჯერ კიდევ არის კონფლიქტის ზონები, რომლებიც თანამშრომლობის განვითარებას აფერხებენ. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ?**

- უკრაინა ობიექტურად არის დაინტერესებული დსთ-ს ქვეყნებთან კონსტრუქციული, ურთიერთმომგებიანი ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებით.

ამავე დროს, ამ ქვეყნებს შორის არსებული პრობლემების გადაწყვეტაში ჩვენი მონაწილეობის აუცილებლობაც გვესმის.

ფაქტობრივად, პოსტსაბჭოთა სივრცის ყოველი ქვეყანა საკუთარი დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის თავ-თავის გზაზე მიდიოდა. ჩვენ ყველანი განსხვავებულნი ვართ, ყოველ ჩვენგანს საკუთარი ნაციონალური ინტერესები აქვს და საჭიროა მათი ანგარიშგაწევა.

ჩვენ თვალს არასოდეს ვხუჭავდით და არ ვამბობდით, რომ პრობლემები არ არსებობს. ჩვენ ყოველთვის ვცდილობდით, მათ წარმატებით გადაწყვეტაში მონაწილეობა მიგველო.

ეს ეხება ეგრეთწოდებულ "გაყინულ კონფლიქტებსაც", უმეტესწილად, საქართველოში. ამ კუთხით, ჩვენი პოზიცია მტკიცე და გასაგებია. ჩვენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვით, ამასთანავე კონფლიქტის მონაწილე მხარეების ინტერესების გათვალისწინებით, პრობლემების მშვიდობიანი გადაწყვეტის მომხრენი ვართ.

**- როგორ აფასებთ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობას ამ ეტაპზე?**

- საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთობებს უდიდესი ისტორიული საფუძვლები აქვს. ვიმედოვნებთ, რომ ახალ პირობებში ეს ურთიერთობები გაცილებით ეფეტური გახდება.

**- როგორ გესახებათ უკრაინის განვითარების პერსპექტივები?**

- უკრაინის განვითარების სტრატეგიული პერსპექტივების გათვალისწინებით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ უახლოეს მომავალში გაცილებით მეტის გაკეთებაა საჭირო.

საუბარი ქვეყნის განვითარების გაცილებით ხარისხიან, ფაქტობრივად, ახალ ეტაპზე გადასვლას ეხება. ეტაპზე, რომლის მსვლელობისას აუცილებელი იქნება მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა, განვითარების ინოვაციური მოდელის განმტკიცება და პოლიტიკური სისტემის ღრმა დემოკრატიზაცია.

ეს მოითხოვს იმგვარი რთული პრობლემების გადაწყვეტას, როგორიცაა შემოსავლების ფორმირების უფრო ეფექტური პოლიტიკის გატარება. ამის ფონზე - საკუთრების საფუძვლიანი დიფერენციაცია, რაც, სამწუხაროდ, რეგრესს განიცდის.

ამ კუთხით, აქტუალურია მუშა-მოსამსახურეების სახელფასო ანაზღაურების გაზრდის პრობლემა. მისი სიმცირე ძველმა ადმინისტრაციულმა სისტემამ დაგვიტოვა და ახალ პირობებში იგი სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს, დანაზოგის შექმნის პროცესს, სადაზღვევო ფონდების ფორმირებასა და საპენსიო უზრუნველყოფას სტიმულს არ აძლევს.

მთავარ პრობლემად რჩება საშუალო ფენის ფორმირება. მისი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, სულ მცირე, ორჯერ მაინც უნდა გაიზარდოს.

**- თქვენ აქცენტს სოციალური სფეროს პრობლემების მოგვარებაზე აკეთებთ. უდავოა, ეს ძალზე მნიშვნელოვანია. თუმცა, ცნობილია, რომ უკრაინის უდიდესი ეკონომიკური პოტენციალის მიუხედავად, მოქმედი მწარმოებელი ერთეულები გაუქმებულია, უამრავი ტექნოლოგია მოძველებულია. მსგავსი ეკონომიკით ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება შესაძლებელია?**

- რასაკვირველია, არა. ამ პრიორიტეტული საკითხის გადაწყვეტასთან ერთად, ახალ ეტაპზე განვითარების ინოვაციურ გზაზე გადასვლა მოხდება, რომელიც აქტიურ ინვესტიციურ პოლიტიკასა და მთელი ეკონომიკური სისტემის მოდერნიზაციას უნდა ეფუძნებოდეს.

ამისათვის ჩვენ გვაქვს ყველა აუცილებელი წინაპირობა. ცნობილია, რომ მანქანათმშენებლობის პროდუქცია, ბოლო წლების განმავლობაში, მეცნიერებატევად დარგებში წარმოებული პროდუქციის ხარჯზე, თითქმის ორჯერ გაიზარდა.

ვფიქრობ, ეს ადასტურებს, რომ ჩვენი სახელმწიფოს სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა საკმაოდ კონკურენტუნარიანია.

სამეწარმეო ფონდების განახლების ინტენსიური პროცესი უკვე დაწყებულია.

დღეს ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ უკრაინას ნამდვილად აქვს შესაძლებლობა, უზრუნველყოს წარმოების მოდერნიზაცია, თანამშრომლობის გაღრმავება სხვა ქვეყნების მრეწველობასთან, უცხოელ ინვესტორებთან ერთობლივი საქმიანობის განვითარება.

უკრაინის ტრანსპორტის სამინისტროს მიერ ბოლო დროს ადგილობრივი მანქანათმშენებლობის კომპლექსების ბაზაზე განხორციელებული ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის ინტენსიური ტექნიკური და ტექნოლოგიური ხელახალი აღჭურვა, ამას ნამდვილად ადასტურებს.

ყურადღება მაღალტექნოლოგიური დარგების მიმართაც არ მოდუნდება. ამ სფეროს დიდი პოტენციალი აქვს. მარტო სარაკეტო-კოსმოსურ დარგში უკრაინა მსოფლიოში ცნობილი 22 საბაზო ტექნოლოგიებიდან 17-ს ფლობს.

**- როგორ აღინიშნება დამოუკიდებლობის დღესასწაული უკრაინაში?**

- როგორც წესი, ეს არის მთელი თვის განმავლობაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარე ღონისძიებების ერთობლიობა. რასაკვირველია, მთავარი მოვლენები დედაქალაქში, დამოუკიდებლობის მოედანზე განვითარდება. იქნება სამხედრო აღლუმი, საზეიმო აქცია - "დამოუკიდებლობა. ევროპა. მომავალი", უამრავი კონცერტი და ფეიერვერკი. ველოდებით დიდი რაოდენობით სტუმრების ჩამოსვლას.

ტრადიციულად, დღესასწაული აღინიშნება სახელმწიფოს გარეთაც. საქართველოში იგი არ შემოიფარგლება 2 სექტემბერს საზეიმო მიღებით. მანამდე ჩატარდება ღონისძიებები როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებში.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, მინდა ეს დღე მივულოცო უკრაინის ყველა იმ მოქალაქეს, ვინც საქართველოში ცხოვრობს და ვუსურვო მათ ჯანმრთელობა და წარმატება პროფესიულ საქმიანობაში, რომელსაც საკუთარი ცხოვრება მიუძღვნეს. თქვენი კეთილსინდისიერი შრომა, ტოლერანტობა, პატივისცემა და სიყვარული საქართველოს მიმართ, მისი წარმატებულ ქვეყნად ქცევის მცდელობა, ამავდროულად, უკრაინის განმტკიცების, მისი პოზიტიური იმიჯის ფორმირების და ჩვენს სახელმწიფოებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის გაწეული სამუშაოა.



*კიევი, დამოუკიდებლობის მოედანი.*

# "უკრაინა ყველასთვის, ვისაც იგი უყვარს!..."

რაულ ჩილაჩავა

*უკრაინის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პოეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დავით გურამიშვილის სახ. საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობათა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი.*

ჩვენთან, იქნებ, ბევრ ვინმეს არც ახსოვდეს, რომ ევროპის გეოგრაფიული ცენტრი უკრაინაში, იმიერკარპატეთის ოლქში მდებარეობს. ამ თითქმის ორმოცდაათმილიონიან ქვეყანას, რომელიც შავი და აზოვის ზღვებიდან კარპატების მთებამდეა გადაჭიმული, ისტორიულად ბედი არ სწყალობდა. კიევის რუსეთის დაშლა-დაქუცმაცების შემდეგ, იგი საუკუნეების მანძილზე ხან ლიტვას, ხან პოლონეთს, ხან ავსტრია-უნგრეთს, ხან კიდევ რუსეთს ეკუთვნოდა. დასავლეთად და აღმოსავლეთად გახლეჩილი უკრაინა გალიციად და მალოროსიად მოიხსენიებოდა, ერთიანი სახელმწიფო კი ერს საოცნებოდ ჰქონდა ქცეული. ბოგდან ხმელნიცკის, ივან მაზეპას თუ სხვა დიდი გეტმანების ლტოლვა ეროვნული დამოუკიდებლობისკენ კრახით დამთავრდა. მეოცე საუკუნეში სტალინმა უკრაინა გააერთიანა და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უმძლავრეს ბურჯად აქცია. სიმბოლური სახელმწიფოებრიობის მქონე მოკავშირე რესპუბლიკა გაეროს წევრიც კი გახდა და იმპერიის დაშლამდე მას ბელორუსიასთან ერთად ამ უდიდეს საერთაშორისო ორგანიზაციაში ორ ხმას მუდმივად უნაღდებდა.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა თითქოს წითელი რუსეთის უერთგულესი მოკავშირე იყო, აქ არასოდეს ჩამცხრალა ეროვნული სული და ჭეშმარიტ დამოუკიდებლობაზე ოცნება, რასაც ათასობით უკრაინელი პატრიოტის სიცოცხლე შეეწირა. ტყუილად როდი დადიოდა საბჭოეთში ცრემლნარევი ხუმრობა, გულაგის სახელმწიფო ენა უკრაინულიაო. ამიტომაც მხოლოდ ამ ქვეყნის ისტორიაში ჩაუხედავ ვინმეს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მარტო უდღეურმა "გეკაჩეპემ" გაუნაღდა ერთ-ერთ უდიდეს სლავ ერს ნანატრი თავისუფლება. მან საქართველოზე მეტხანს ატარა კოლონიალიზმის უღელი, გამოსცადა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მთელი სიმძიმე, მაგრამ, როგორც იტყვიან, ბოლოს და ბოლოს სამართალმა პური ჭამა.

დღეს უკრაინა საკუთარი დამოუკიდებლობის მეცამეტე წლისთავს ზეიმობს. იმ არაერთი კატაკლიზმის ფონზე, რომელმაც პოსტსაბჭოურ სივრცეს მწარე და მოუშუშებელი იარები დაამჩნია, იგი თითქმის ზღაპრულ ოაზისად გამოიყურება. ქვეყნის სწორმა სახელმწიფო ეთნოპოლიტიკამ, რაც უწინარესად აქ მცხოვრებ ასზე მეტ ეთნიკურ ჯგუფთან საერთო ენის გამონახვაში გამოიხატა, ჰაეროვანი ნაყოფი გამოიღო.

ჯერ კიდევ 1992 წელს უზენაესმა რადამ მიიღო კანონი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ, მოგვიანებით კი რატიფიკაცია გაუკეთა ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაცვის ჩარჩოკონვენციას, რეგიონალურ და უმცირესობათა ენების ევროპულ ქარტიას.

სტაბილურობის, უკონფლიქტობის, ეროვნებათშორისი თანხმობის შენარჩუნება კვლავაც რჩება სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავად, რომელიც საკუთარ ეთნოსთა სულიერი აღორძინებისთვის სამართლებრივი, ფინანსური და მორალურ მხარდაჭერას არ იშურებს.

უკრაინის ეროვნულ უმცირესობათა შორის არიან ჩვენი თანამემამულეებიც, რომელთა რიცხვი 2001 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით 34,5 ათასია. დაახლოებით კიდევ ამდენი აქ დროებით ცხოვრობს და მუშაობს. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში, კიევში, ოდესაში, ხარკოვში, დნეპროპეტროვსკში, კრივოი როგში, ასევე ყირიმში , არსებობს ქართული ეროვნულ-კულტურული საზოგადოებები, რომლებიც სახელმწიფოს მზრუნველობით სარგებლობენ. უკრაინის უზენაეს რადაში სამი ქართველი დეპუტატია, მთავრობაში კი, ორი ქართველი მოღვაწეობს. ქვეყანაში ბევრია ჩვენებური ბიზნესმენი და მეწარმეც.

მეთვრამეტე საუკუნეში აღმოცენებული პოლტაველ ქართველთა კოლონია, დროთა მანძილზე, სამწუხაროდ, თანდათან გაითქვიფა ადგილობრივ მოსახლეობაში, თუმცა ზოგს დღემდე შემორჩა ისტორიული ხსოვნა, რომ მათი ოდინდელი სამშობლო კავკასიონის მთებს მიღმაა. აქ ასევე სათუთად ინახავენ უკრაინაში მცხოვრები ყველაზე დიდი ქართველის დავით გურამიშვილის ხსოვნას. მთავრობამ უკვე შეიმუშავა შესაბამისი გეგმა გაისისთვის მისი დაბადების სამასი წლისთავის აღსანიშნავად. საამთარიღოდ ხელახლა გამოვა მიკოლა ბაჟანის მიერ თარგმნილი "დავითიანის" სასაჩუქრო გამოცემა, წლეულს კი, თვით ბაჟანის საუბილეოდ დღის სინათლეს იხილავს მისივე ნათარგმნი "ვეფხისტყაოსანი", დასურათებული სერგო ქობულაძის და მამუკა თავაქარაშვილის მიერ. საგაისოდ, ასევე დაგეგმილია ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგიის გამოცემა უკრაინულად. მზადდება კიდევ ერთი საინტერესო პროექტი - ორსერიანი დოკუმენტური ვიდეოფილმი უკრაინულ-ქართულ ურთიერთობებზე, რომელსაც ორი ქვეყნის კინემატოგრაფისტები ერთობლივად გადაიღებენ. უკრაინის კულტურის სამინისტრომ უკვე დაამტკიცა ფილმის სცენარი და მისი შესაბამისი დაფინანსებაც გაითვალისწინა.

უკრაინა-საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ისტორიაში წელს ერთი მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნულმა უნივერსიტეტმა ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტთა პირველი თერთმეტკაციანი ჯგუფი გამოუშვა. თბილისის უკრაინულ სკოლაში კი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ გაიხსნა, ათეულობით ადგილობრივი მოზარდი ეუფლება მშობლიურ ენას, სწავლობს საკუთარ ისტორიასა და კულტურას. ეს სკოლა შემთხვევით როდი ატარებს უკრაინის პირველი სახალხო რესპუბლიკის მეთაურის მიხეილ გრუშევსკის სახელს, ის ხომ რამდენიმე წელიწადს ტფილისის პირველ გიმნაზიაში სწავლობდა. ამ კონტექსტში იქნებ არც ის იყოს შემთხვევითი, რომ საქართველოს ახლანდელი პრეზიდენტი კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილია. ზოგჯერ მართლაც რა უცნაურად გადაენასკვება ხოლმე ერთმანეთს ადამიანთა ბედი, რაზეც ჩვენს დედაქალაქებში თავის დროზე ორი მიხეილის სწავლის აწ უკვე სიმბოლური მნიშვნელობაც მიგვანიშნებს.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ დამოუკიდებლობის წლებში ჩვენმა ქვეყნებმა ერთმანეთთან ასზე მეტი ხელშეკრულება გააფორმეს, რომელთა შორისაა დიდი ჩარჩო ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთერთდახმარების შესახებ. უკრაინამ ყველას დასანახად არაერთგზის დაამტკიცა, რომ იგი მართლაც ჩვენი მეგობარი ქვეყანაა. საქართველო არასოდეს დაივიწყებს მისი შვილების ვაჟკაცურ თანადგომას აფხაზეთის ომში, მისი მფრინავების უპრეცედენტო გმირობას, რომლებსაც სვანეთის დათოვლილი მწვერვალებიდან სასიცოცხლო რისკის ფასად ქუთაისში გადმოჰყავდათ გათოშილი და ძალმიხდილი ქართველი ლტოლვილები. არ დაივიწყებს მის უანგარო დახმარებას, რომელიც მან გაგრისა და სოხუმის დაცემის შემდეგ მის ტერიტორიაზე გახიზნულ ქართველებს აღმოუჩინა. ჩვენი განსაკუთრებული მადლიერების ღირსია ასევე ის მხარდაჭერა, რომელსაც უკრაინა ახალგაზრდა ქართულ არმიის მიმართ იჩენს არა მარტო უსასყიდლოდ გადაცემული შეიარაღების, არამედ შესაბამისი სამხედრო კადრების მომზადების თვალსაზრისითაც.

ცხადია, უკრაინას, როგორც ნებისმიერ პოსტტოტალიტარულ ქვეყანას, აქვს ბევრი საკუთარი პრობლემა, მათ შორის პოლიტიკურიც, ეკონომიკურიც, სოციალურიც. მისი ევროინტეგრაციული კურსის რუსეთ-ყაზახეთ-ბელორუსის საერთო ეკონომიკურ სივრცეში ყოფნასთან შეთავსება, რბილად რომ ვთქვათ, დასავლელი პარტნიორების არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს. არ მოსწონთ მათ ისიც, რომ აქ ჯერაც დაუმთავრებელია პრივატიზაციის პროცესი და საბაზრო ეკონომიკაზე საბოლოო გადასვლა. საკმაოდ რთულ ფინანსურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შედეგთა სრული ლიკვიდაცია, საბჭოთა ხელისუფლების მიერ დეპორტირებული ყირიმელი თათრების მშობლიურ მიწაზე დაბრუნება-მოწყობა და უკრაინულ საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ჩამოთვლილ სიძნელეთა ფონზე უმთავრესი, რისი მიღწევაც და გარანტირებაც უკრაინამ ჩინებულად შესძლო, ეროვნებათშორისი მშვიდობა და თანხმობა გახლავთ. ეს კი ისეთი პოლიეთნიკური ქვეყნისთვის, რომლის შემადგენლობაში შედის რუსულენოვანი ყირიმი, სადაც ყოველი მეხუთე მოქალაქე არაუკრაინელია, სადაც არსებობს ეროვნულ უმცირესობათა ვრცელი კომპაქტური დასახლებები, მართლაც უნიკალური გამარჯვებაა. ვინ ვინ და საკუთარი მწარე დღევანდელობის შემყურე ქართველი კაცი ამ მიღწევას მართლაც ღირსეულად შეაფასებს.

სულ მალე უკრაინელ ერს უმნიშვნელოვანესი მოვლენა ელის - 31 ოქტომბერს შედგება საპრეზიდენტო არჩევნები (შესაძლოა, მისი პირველი ტური), როცა ოცდაექვსი კანდიდატიდან, ალბათ, ყველაზე ღირსეულს აირჩევენ. დამკვირვებელთა საერთო აზრით ფინალში ამჟამინდელი და ყოფილი პრემიერ-მინისტრები ვიქტორ იანუკოვიჩი და ვიქტორ იუშჩენკო გავლენ. მიუხედავად იმისა, თუ ვინ გაიმარჯვებს, პრორუსული იანუკოვიჩი თუ პროდასავლური იუშჩენკო, უკრაინელები უკვე დღესვე დარწმუნებულნი არიან, რომ მათ მომავალ პრეზიდენტს უთუოდ ვიქტორი ერქმევა. ლეონიდ კუჩმა კი, რომლის ორვადიანი საპრეზიდენტო ვადა იწურება, ვფიქრობ, ისტორიაში უპირველესად იმით შევა, რომ მან შეძლო საკმაოდ კარგად გათვლილი კომპრომისების წყალობით შიდასახელმწიფოებრივი სტაბილურობის შენარჩუნება, საერთაშორისო კონტაქტების განმტკიცება და, რაც მთავარია, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ანგარიშგასაწევ ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება.

"უკრაინა ყველასთვის, ვისაც იგი უყვარს, ვინც მისთვის ალალად იღწვის", - ასეთია ამ სახელმწიფოს უმთავრესი დევიზი. ამ დევიზით ხვდება იგი თავის მორიგ დაბადების დღესაც, რომელსაც უკრაინაში მცხოვრებ ყველა ჩვენს თანამემამულესთან ერთად მას გულწრფელად ვულოცავ.

"არ მეჯავრება არც ერთი ერი, არც ერთი ერი ქვეყანაზე არ მეჯავრება", - ამბობს გამოჩენილი პოეტი მიკოლა ვინგრანოვსკი, რაც შესანიშნავად გამოხატავს უკრაინელთა მშვიდობიან, კაცთმოყვარე ბუნებას. ქვეყნის მოქალაქენი, მიუხედავად განსხვავებული ეროვნული წარმომავლობისა, დიდად აფასებენ იაროსლავ ბრძენის და ტარას შევჩენკოს შთამომავალთა ამ გამორჩეულ ღირსებას და მზად არიან მათ სათნოებას სათნოებითვე უპასუხონ...

მოკლედ

## „რუსთავის" კონცერტს გაეროს გენერალური მდივანი დაესწრება

26 აგვისტოს ანსამბლი “რუსთავი" გასტროლებზე მიემგზავრება ავსტრია-ამერიკა-კორეაში. ფესტივალს, რომელშიც რუსთავი მიიღებს მონაწილეობას, “მსოფლიოს ღია კულტურა" ჰქვია და იგი ათენის საკონცერტო ოლიმპიადის გაგრძელებაა, რომელიც ერთი წლის წინათ საბერძნეთის დედაქალაქში გაიმართა.

ავსტრიის შემდეგ დაგეგმილია სამი კონცერტი ნიუ-იორკში. ერთ-ერთი კონცერტი გაიმართება გაეროს შტაბ-ბინაში, რომელსაც გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანიც დაესწრება.

ფესტივალი ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დედაქალაქებში - სეულსა და ფხენიანში დასრულდება. სავარაუდოდ, ფესტივალს კონკურსის სახე ექნება და მასში 50 ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას.

ანსამბლი “რუსთავი" ყველა დაგეგმილ კონცერტზე სხვადასხვა პროგრამით წარდგება. *მედია-ნიუსი*

## აღმოჩენა დმანისში

დმანისში მიმდინარე საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებმა მილიონ 800 ათასი წლის წინანდელი ჰომინიდის ბარძაყის ძვალი აღმოაჩინეს.

როგორც საერთაშორისო ექსპედიციის ხელმძღვანელმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა დავით ლორთქიფანიძემ განაცხადა, აღმოჩენილი ბარძაყის ძვალი და შარშან აღმოჩენილი ტერფის ძვალი, სავარაუდოდ, ერთი და იგივე ჰომინიდს ეკუთვნის. "ბარძაყის ძვლის საშუალებით შესაძლებელია დადგინდეს ჰომინიდის სიმაღლე და წონა", - აცხადებს მეცნიერი.

ამჟამად ექსპედიციაში მონაწილეობს აშშ-ის, იტალიის, ესპანეთის, ჰოლანდიის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების მეცნიერ-არქეოლოგების 40-კაციანი ჯგუფი. *მედია-ნიუსი*

## ახალი დიდების ხეივანი



ლეგენდარული ინგლისური როკ-ჯგუფის "ლედ ზეპელინის" გიტარისტი ჯიმი პეიჯი 23 აგვისტოს დიდების ახალ ხეივანს გახსნის. როკ-მუსიკოსის ხელის ანაბეჭდი პირველი იქნება ხეივანში, რომელიც ახალ სავაჭრო ცენტრ - Piccadilly Circus Virgin Megastore-თან ერთად დაიდებს ბინას.

ამ მოვლენას მიეძღვნება ახალი მაღაზიის - Virgin Megastore-ის გახსნაც. ცერემონიალს დაესწრებიან: The Killers და Faithless. კონცერტის გარდა პროგრამაში გათვალისწინებულია სხვა გასართობი ღონისძიებებიც.

## დეტალები U-2-გან



ირლანდიური როჯ-ჯგუფი U-2 მორიგი სტუდიური ალბომის დეტალებზე ალაპარაკდა. ეს იქნება ჯგუფის დისკოგრაფიაში რიგით მეთერთმეტე ნამუშევარი და ვარაუდობენ, რომ უფრო წარმატებული იქნება, ვიდრე 2000 წელს გამოშვებული All That You Can't Leave Behind.

ჯგუფის ოფიციალურ ვებსაიტზე U-2-ს წევრები თავს იწონებენ, რომ ალბომზე მუშაობა მალე დასრულდა. თუმცა, ამის მიუხედავად, ალბომს ჯერჯერობით სახელწოდება არ აქვს. “სიმღერის წერა რაღაცით მისტიკურია, - განუცხადა ბონომ “ლოს ანჯელეს თაიმსს”, - რაღაცით ის გულის ოპერაციის პროცესსაც ჰგავს ჰგავს”.

დისკი, რომლის პროდიუსერიცა სტივ ლილიუაიტია, ოფიციალურად დიდ ბრიტანეთში 22 ნოემბერს გამოვა, მეორე დღეს კი - შეერთებულ შტატებში. სექტემბრიდან რადიოების ეთერში აქტიუარდ იტრიალებს სიმღერა Vertigo, რომელმაც პრომოუშენი უნდა გაუწიოს ალბომს. ვიდეოკლიპს ამავე სიმღერაზე ოქტომბრიდან იხილავს მაყურებელი.

როგორც ცნობილია, ახლახანს ჯგუფმა დაკარგა მუსიკალური მასალები ნიცაში ფოტოგადაღებების დროს. სწორედ ამის გამო, ბონო შეპირდა საზოგადოებას, რომ დააჩქარებდა ალბომის გამოსვლას, ხოლო სიმღერებს ამ ალბომიდან განათავსებდა iTunes-ის გაყიდვის ქსელში, რათა მეკობრულმა ასლებმა არ შეუშალოს “ორიგინალის” გაყიდვას ხელი. სავარაუდოა, რომ დისკი გადამალულია სამომავლოდ სხვა იშვიათ ნივთებთან ერთად აუქციონზე გასატანად.

# ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

თამარ სუხიშვილი



ფესტივალის მონაწილეებს გართობისთვის ბევრი დრო ჰქონდათ.




უცნობი და მეგობრები სცენაზე.

ცხინვალის რეგიონში სროლა თითქოს შეწყდა, თუმცა ლატენტური ომის აჩრდილი ისევ თავზე ადგას საქართველოს, ათენის ოლიმპიური თამაშები ძალას იკრებს, ხელოვნების ფესტივალი “პონტო” დამთავრდა...

დიდხანს ვფიქრობდი, საიდან დამეწყო წერა. ბოლოს გადავწყვიტე, პირველ რიგში ისევ ის საერთო ორჭოფული საფესტივალო განწყობა გამეხსენებინა (რა გვეფესტივალება, და მაინც - “ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ”), გასულ კვირას შავი ზღვის სანაპიროზე რომ სუფევდა - გონიო-კვარიათის გასაყარზე (პოლიტიკური სიტუაციით დამძიმებული თუ წინასაოლიმპიადო მოლოდინით დამუხტული), სადაც ქართველი ხელოვანები (ძირითადად, ახალგაზრდები) შეიკრიბნენ, ერთმანეთს თავიანთი სათქმელი და სატკივარი აუწყეს და მსმენელ-მაყურებელიც განტვირთეს, დააფიქრეს და გაახარეს... საფესტივალო განწყობა გონიოსკენ მიმავალ ფესტივალის მონაწილეებს ბათუმში გაუმძაფრდათ “მოხეტიალე მსახიობებთან” შეხვედრით. ეს “მოხეტიალენი” ჩვენი თანამგზავრები აღმოჩნდნენ - მოზარდმაყურებელთა თეატრის მსახიობები ამავე თეატრის დირექტორის, ბატონ გია კიტიას ხელმძღვანელობით. ამის შემდეგაც მოხეტიალე ავტობუსი გონიო-კვარიათის სანაპირო ზოლზე ყოველ გამოჩენაზე ჟრიამულს იწვევდა. მინდა გითხრათ, რომ ამ ავტობუსმა, რომლითაც დროდადრო მონაწილეებს გადაადგილება გვიწევდა, ძალიან გვასიამოვნა, - შეგეძლო სახურავზე მოკალათებულიყავი, გესტვინა, გეყვირა რამდენიც გინდოდა და ჰაერში გეფრიალებინა ფერადი ბუშტები, რომლებსაც ბატონი გია კიტია გვირიგებდა ხოლმე და თან გვარიგებდა: იცოდეთ, ამ ბუშტებში მეზღაპრის სულია ჩასახლებულიო. ასე სახურავზე მოკალათებულნი ბევრ საინტერესო ინფორმაციას ვუცვლიდით ერთმანეთს, პოლიტიკურს, სახელოვნებოსა თუ ყოფითს, ზღაპარტყუილსა თუ მართალს. მაგალითად, შევიტყეთ, რომ მოსკოვის ერთ-ერთ ფესტივალზე ჩვენს მოზარდმაყურებელთა თეატრს გამარჯვებულის პრიზი მიუღია, ოღონდ დაუსწრებლად: ფესტივალზე წასასვლელი ფული არ ჰქონიათ და სპექტაკლის ვიდეოჩანაწერი გაუგზავნიათ; თანაც ცუდი ჩანაწერი იყოო - იცინოდნენ პრიზის მფლობელები. ავტობუსის სახურავზე ვიზეიმეთ ქართველი ფალავანის - ზურაბ ზვიადაურის ოლიმპიური ოქროც, “გულს იმედი ჩაგვესახა” და ჩვენი მომავალი გამარჯვებების სადღეგრძელოებიც იქვე დაილია. უკვე აღარავინ დაგიდევდა იმას, რითი უფრო ტრადიციულია სადღეგრძელოს შესმა - ღვინით, არყით თუ ლუდით...

ვერ გეტყვით, დღეში რამდენ რეისს აკეთებდა ჩვენი დანჯღრეული და თავქარიანი ავტობუსი გონიოს ციხიდან კვარიათის სანაპიროზე გაშლილი ბანაკისაკენ და ბანაკიდან ე.წ. ხათუნას ბუნგალოსაკენ (აქეთ კი ყველაზე მეტად გული ალბათ მწერალ დათო ტურაშვილს მიუწევდა - “გურჯი ხათუნი?”). ეს სამი პუნქტი ხელოვნების ფესტივალის მნიშვნელოვანი ცენტრები გახლდათ. თითქმის ყველა ღონისძიება ამ სამ წერტილზე განლაგებულ სივრცეში იყო გადანაწილებული. გონიოს ციხეში კამერული ღონისძიებები იმართებოდა ხოლმე - ლიტერატურული შეხვედრები, სახვითი, ფოტო და გამოყენებითი ხელოვნების გამოფენები, ხალხური და კლასიკური მუსიკის საღამოები. ეს იყო ფესტივალის გახსნაზე და დახურვის წინ. გახსნაზე მწერლები ძალიან მცირე ხნით ვიხილეთ, მსმენელს თავი არ შევაწყინოთო და თითო-ოროლა ლექსით შემოიფარგლნენ. აი, დახურვის წინ კი უფრო შეთამამდნენ. აუდიტორიის თხოვნით კოტე ყუბანეიშვილმა დიდხანს გვიკითხა თავისი ლექსები და ლიტერატურული საღამო პოლიტიკური თემატიკით გაამძაფრა; მერე ეს პოლიტიკური ნოტი ზურაბ რთველიაშვილის პოეზიამ გააგრძელა. ახალგაზრდა მწერლებმა მიხეილ ქვლივიძის ლექსებიც წაიკითხეს. იქვე ლაშა ბუღაძემაც ჩაგვიკითხა თავისი აქტუალური მოთხრობა (სათაური აღარ მახსოვს), აი ის, ამერიკაში მოხუცების მომვლელ ქართველ ქალებზე რომაა. ამას მოჰყვა ნაწყვეტები დავით-დეფი გოგიბედაშვილის “დეკემბრის თილისმასა” და ბესო ხვედელიძის “ძაღლური ცხოვრებიდან”. თავისი მინი-სცენარი გაგვაცნო თორნიკე ბზიავამაც. ჩვენმა მწერლებმა თავიანთ ნაწერებს რეკლამაც გაუკეთეს: დანარჩენი შეგიძლიათ თავად წაიკითხოთ, წიგნები აქვე იყიდებაო. “ლიტერატურულმა კაფემ” გონიოს ციხეში რამდენიმე ყუთი წიგნები ჩამოიტანა და სახელდახელო გამოფენა-გაყიდვაც მოაწყო. ვაჭრობასაც არა უშავდა რა. მოკლედ, ყველაფერმა რიგიანად ჩაიარა.

წლეულს ჯერ კიდევ “პენ-მარათონზე” აღმოაჩინეს ჩვენმა მწერლებმა, რომ გონიოს ციხეში რაღაც განსაკუთრებული აურაა, ერთადერთი მინუსი კამიკაძე-კოღოებია, რომლებიც უმოწყალოდ იკბინებიან, არც მუსიკოსი იციან, არც მწერალი (ნეტა, გამოიცა თუ არა ერლომ ახვლედიანის “კოღო”?!), და იყო დიდი ტაშისკვრა გონიოს ციხეში. ცალკე მწერლებსა და მუსიკოსებს უკრავდნენ ტაშს, ცალკე კოღოებს ეგებებოდნენ ტაშით.

შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალზე კიდევ ერთხელ გამოითქვა სურვილი, რომ მომავალში გონიოს ციხე ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად იქცეს. ეს ანტიკური ხანის ტრადიციის გაგრძელება იქნება. თუმცა იქვე ვილაცეებმა ისიც შენიშნეს, რომ ორგანიზატორებს ერთი შეცდომა მოუვიდათ, როცა გონიოს ციხეში შესასვლელ ბილეთს ფასი (3 ლარი) დაადეს (თითქოს დიდი არა, მაგრამ მაინც...). ლიტერატურული საღამოსთვის კი (და თანაც დედაქალაქს საკმაოდ დაშორებული ლიტერატურული საღამოსთვის), დამეთანხმებით, ეს თანხა მცირეც არაა. მართალია, შემოსული თანხა კეთილშობილურ მიზანს - გონიოს ციხის რესტავრაციას უნდა მოხმარდეს, ლიტერატურული შეხვედრებისთვის (რაც, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ისეთი პოპულარული არაა, როგორც პოპ-კონცერტი ან მოდების ჩვენება) ალბათ ჯობდა გამონაკლისი გაკეთებულიყო.

ფესტივალისადმი ინტერესი რომ მართლაც იყო, ცხადია. თუმცა ბევრისთვის ინტერესი ინტერესად დარჩა. მაყურებლის ინტერესი კი უფრო გაღვივდებოდა, მაგალითად ცნობილ “ასსა-ფართიზე” (ამ კონცერტზე მოხვედრაზე უარს ნამდვილად არავინ იტყოდა) შესასვლელი ბილეთი 10 ლარი რომ არ ღირებულიყო. 10 ლარის გადახდა ყველას არ შეეძლო. თუმცა ისიც მესმის, რომ ხათუნას ბუნგალო, სადაც ძირითადად მოდების ჩვენება, პრეზენტაციები და მსგავსი ე.წ. მოდური ღონისძიებები ტარდებოდა ხოლმე და რომელსაც ზომბირებული დაცვა იცავდა (ასეთი რამე არ მინახავს, ამ დაცვამ არც ჟურნალისტი იცოდა, არც ორგანიზატორი, სრულიად სამყაროზე იყვნენ გაბოროტებულები, მიზანი ერთი ჰქონდათ - ბუნგალოში არავინ შეეშვათ - არც ბილეთიანი, არც უბილეთო. კაცმა არ იცის, რატომ), ყველა მსურველს ნამდვილად ვერ დაიტევდა. მაგრამ ამგვარი ფესტივალების ერთ-ერთი მიზანი ხომ კულტურის პოპულარიზაციაა, ამიტომ გული დამწყდა, როცა ჩემი სახლის პატრონის სამიოდე წლის გოგონამ მითხრა: მოდების ჩვენებაზე მინდოდა წასვლა, მაგრამ ძვირი ღირდაო, თან “შორტიკებში” ჩაცმულებს არ უშვებდნენო. ეს ბოლო წინადადება ბავშვის ფანტაზიის ნაყოფი მეგონა, მერე გავიგე, თურმე მართალი ყოფილა. არ დაიჯერებთ, მაგრამ ასე იყო. ევროპა ნუდისტურ პლაჟებს მიაქვს, შავი ზღვის სანაპიროზე კი “შორტებში” სიარული აკრძალულია! რა პონტია?

არა, პონტი კი არა, “პონტოა”. ყველაზე დემოკრატიული სიტუაცია ზღვის სანაპიროზე გაშლილ კარვებში იყო, სადაც დღეში ორჯერ მაყვალა დეიდა შეძლებისდაგვარად თანაბრად გვინაწილებდა ჩვენს წილ ულუფას. მერე იწყებოდა ხვეწნა-მუდარა - ჩვენ ხომ კარგად ვიქცევით, ნაგავს ძირს არ ვყრით, მაგიდასაც ვალაგებთ, ცოტა მეტი გვიწილადეო. კარვებში დილიდან იკრიბებოდნენ და მერეც, კონცერტსა და კონცერტს შორის შუალედში აქეთკენ მოიწევდნენ. სვამდნენ და საუბრობდნენ ყველაფერზე - ომზე, მშვიდობაზე, ლიტერატურაზე, კინოზე, მუსიკაზე, ოლიმპიურ თამაშებზე. ყოველი ახალი ამბის გაგების მერე იწყებოდა აღელვებული მსჯელობა პოლიტიკაზე, იწერებოდა ლექსები ექსპრომტად. კულტურის სამინისტროს წარმომადგენელს - პაპუნა დავითაიას სწორედ აქ დაებადა ისტორიულ სამაჩაბლოში კულტურული აქციის გამართვის იდეა და რამდენიმე დღის მერე განახორციელა კიდეც. ამ ბანაკში გაიმართა გახსნითი კონცერტი და მოძრაობის თეატრის წარმოდგენა “მიმიკრია”. საფუძველი ჩაეყარა ზღვის კენჭების მოხატვის აქციას, რომელიც გონიოს ციხის დაკარგულ კარიბჭეს მიეძღვნა. ეს უნიკალური კარიბჭე თავის დროზე უცხოელმა არქეოლოგებმა წაიღეს ვითომდა შესასწავლად, მაგრამ მერე უკან აღარ დაუბრუნებიათ. ფესტივალის მონაწილეთა ერთმა ნაწილმა გონიოს ციხის დასუფთავების აქციაშიც მიიღო მონაწილეობა.

კიდევ რა მოხდა ამ ფესტივალზე? - კიდევ შევხვდით “მწვანე ოთახს”, “ლაიტმოტივს”, პანჩოს, ბაკურ ბურდულს, “ნიკოლ-შოუს”, უცნობს და სხვებს. ვნახეთ ვახტანგ კუნცევის, ლევან პაატაშვილის, გიორგი ოვაშვილის, გიორგი ხარებავას და სხვათა მოკლემეტრაჟიანი ფილმები. ახალგაზრდა დიზაინერების კოლექციებიც შევაფასეთ. ყველას და ყველაფერს ვერც კი ჩამოთვლი.

შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი “პონტო” (რომლის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ბიზნეს განვითარების ცენტრი “კავკასია”, კულტურული ოლიმპიადის საქართველოს ეროვნული კომიტეტი და კულტურის სამინისტროს რეგიონული დეპარტამენტი) ერთი წლით დაგვემშვიდობა. სამომავლოდ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი. თავად ორგანიზატორებმაც აღნიშნეს, რომ იყო მრავალი ხარვეზი და საკუთარი შრომა თავმდაბლურად შეაფასეს, დამაკმაყოფილებელი ნიშნით. თუმცა იქვე ისიც დასძინეს, რომ, პრობლემების მიუხედავად, ფესტივალის რიტმი არ შენელებულა და საბოლოო ჯამში ჩვენი ჩანაფიქრი განვახორციელეთო.

ფესტივალს ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. ჯერ იყო და უცნობისა და “ნიკოლ-შოუს” საფესტივალო ჰიმნის ჩანაწერი დაიკარგა. მერე თვალსა და ხელს შუა აორთქლდა “ლიტერატურული კაფეს” კუთვნილი რამდენიმე წიგნი. ყველაზე მეტად კი “მოძრაობის თეატრი” დაზარალდა. კახა ბაკურაძემ და მისმა მსახიობებმა თავსხმა წვიმაშიც არ დაზოგეს თავი და მაყურებელს დაუვიწყარი სანახაობა შესთავაზეს. ღამით, როცა დაღლილ მსახიობებს კარვებში ეძინათ, ვიღაცამ მათი აპარატურა მოიპარა - 350 კომპაქტ-დისკი, რომლის გარეშეც თეატრი ფაქტობრივად ვერ იარსებებს.

ასე დასრულდა 2004 წლის შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი “პონტო”. დავასრულე ამ ფესტივალის ჩემეული მიმოხილვაც და უცებ ერთი ძალიან მარტივი ჭეშმარიტება აღმოვაჩინე: ჩვენ პონტოს ზღვის ქვეყანა ვიყავით, ვართ და ვიქნებით, მიუხედავად ამისა და იმისა, და ყველასათვის ნაცნობი სასკოლო ქრესტომათიული სტრიქონები გაცნობიერდა: “ორ ზღვას შუა ძველისძველად საომარი იყო ლელო, ის გადარჩა და სახელად...”

**P.S.** ფესტივალის მონაწილეები (კოტე ყუბანეიშვილი, პაპუნა დავითაია, დავით-დეფი გოგიბედაშვილი, გია ნიკოლაძე, ზურაბ რთველიაშვილი...) ლიახვის ხეობაში გადავიდნენ და ქართველ ჯარისკაცებთან შეხვედრა გამართეს.

# წიგნები, რომლებიც სხვა წიგნებზე მოგვითხრობენ

ირინე ჭოლოშვილი

უმბერტო ეკო - იტალიელი მწერალი, ლიტერატურული კრიტიკოსი, ფილსოფოსი, შუა საუკუნეების ესთეტიკის სპეციალისტი, ხელოვნებათმცოდნე და სემიოლოგი დაიბადა 1932 წლის 5 იანვარს, ალექსანდრიაში (პიემონტი, იტალია). არის სემიოტიკის კვლევის საერთაშორისო ასოციაციის გენერალური მდივანი და ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი. მიღებული აქვს 30 საპატიო დოქტორის წოდება და 16 ლიტერატურული პრემია. ახალგაზრდობაში აქტიურად მუშაობდა ჟურნალისტად კულტურის დარგში, ტელევიზიასა და რადიოში. ხელმძღვანელობდა არაერთი ჟურნალის გამოცემას იტალიის სხვადასხვა ქალაქში. არის ასევე ვიზუალური კომუნიკაციების პროფესორი ფლორენციაში და უკვე მრავალი წელია მიჰყავს რუბრიკა ცნობილ იტალიურ ჟურნალში, "ესპრესსო", სადაც სისტემატურად აშუქებს კულტურის აქტუალურ პრობლემებს. დღეს, უკვე სამოცდაათ წელს გადაცილებული მწერალი, ძირითადად იტალიასა და აშშ-ში ცხოვრობს და მუშაობს. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. აგრძელებს ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას და როგორც ჟურნალი People წერს, ექოსავით ეხმიანება ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ თუ კულტურულ მოვლენას მსოფლიოში (ეკო იტალიურადაც ექოს ნიშნავს).

## "ვარდის სახელი"

1980 წლამდე, სანამ იტალიაში უმბერტო ეკოს პირველი რომანი, "ვარდის სახელი" გამოვიდოდა, ეკო ცნობილი იყო სპეციალური აკადემიური წრეებისათვის, როგორც მეცნიერი და ესეისტი. დასახელებულმა ნაწარმოებმა, რომელიც მალევე სხვა ენებზეც ითარგმნა, ავტორს მრავალი თანამედროვე მწერლისათვის არნახული პოპულარობა მოუტანა. ქართველი მკითხველი მას რუსული თარგმანის საშუალებით იცნობს. "ვარდის სახელს", ისევე, როგორც ეკოს შემდგომ რომანებს, პოსტმოდერნისტულ ლიტერატურას მიაკუთვნებენ. მასში მწერალი კარგად იყენებს თავის მრავალმხრივ მეცნიერულ ცოდნას, შუა საუკუნეების ისტორიის, ფილოსოფიის, თეოლიგიისა და სემიოტიკის სფეროში. "ვარდის სახელი" შეიძლება, ისტორიულ რომანად აღვიქვათ, ანდა სემიოლოგიური ან კრიმინალისტური კრიტერიუმებით შევაფასოთ. მკითხველი მას "ჩაყლაპავს" როგორც დეტექტიურ ამბავს, "აიღე ეს წიგნი და შეჭამე" - ამბობს მასზე თავად ეკო. როგორც მისი ერთ-ერთი რეცენზენტი წერს, "ხალხი კითხულობს არტურ ჰეილის, რომ გაიგოს, როგორ ცხოვრობს აეროპორტი, ხოლო ვინც ამ რომანს წაიკითხავს, აღარაფერი დარჩება გაურკვეველი, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ცხოვრობდა მონასტერი XIV საუკუნის ევროპაში". საყურადღებოა, რომ წიგნის გამოსვლის შემდეგ იტალიის უმაღლეს სასწავლებლებში იმატა შუა საუკუნეების ისტორიის შემსწავლელთა რიცხვმა. თუმცა რომანი მკითხველს ხიბლავს არა მარტო ისტორიული რეალიების ასახვით, არამედ, ასევე, დაძაბული სიუჟეტით. "მინდა, მკითხველი სულ ცოტა ისე მაინც გაერთოს ამ რომანის კითხვით, როგორც მე მისი წერით ვერთობოდი. თანამედროვე რომანმა სცადა გათავისუფლებულიყო სიუჟეტური დატვირთვისგან და აქცენტი სხვა მომენტებზე გადაეტანა, მაგრამ მე ვეყრდნობი რა "არისტოტელეს პოეტიკას", ვთვლი, რომ რომანი, პირველ რიგში, თავისი სიუჟეტით უნდა ხიბლავდეს და იქცევდეს მკითხველს" - წერს ეკო თავის ერთ-ერთ ესსეში. მაგრამ "ვარდის სახელი" მხოლოდ თავშესაქცევი რომანი არაა, მწერალი არისტოტელეს სხვა პრინციპის ერთგულიც რჩება და ფიქრობს, რომ ნაწარმოებს, ასევე ღრმა, ინტელექტუალური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.



*უმბერტო ეკოს მიღებული აქვს 30 საპატიო დოქტორის წოდება და 16 ლიტერატურული პრემია.*

ეკო მისთვის ჩვეული სიმსუბუქით ახერხებს წარმოაჩინოს სამყაროს ნიშანთა მრავალფეროვნება. ამავე დროს მიუთითებს ადამიანთა შეზღუდულობასა და აღქმის უუნარობაზე ამ მრავალრიცხოვან ნიშანთა მიმართ. ხშირად, კრიტიკულია და ირონიულიც კი.

"ვარდის სახელი" დღემდე ბესტსელერთა ათეულში შედის, ხოლო იტალიის ცხელი ოცეულის ყოველკვირეულში, თითქმის ყოველთვის, პირველ ადგილს იკავებს. იმავე სიაში იტალიელები დანტეს "ღვთაებრივ კომედიას" ბოლო ადგილზე ათავსებენ.

"გათავისუფლების თეოლოგიის" ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელის, ლეონარდო ბოფის აზრით, "ვარდის სახელი" არის არა მხოლოდ ისტორიული სიზუსტით ასახული ბენედიქტთა მონასტრის ცხოვრება, რომელიც ერუდიციითა და დეტალთა სიუხვით გამოირჩევა, არამედ ეს რომანი ძალზედ მნიშვნელოვანია აგრეთვე XX საუკუნის რეალობასთან კავშირის გამო. ესაა ბრძოლა ორ ადამიანურ გამოვლინებას შორის, რომელთაგან ერთი მიზნად ისახავს არსებულის შენარჩუნებას, ნებისმიერ, კაცობრიობის განადგურებისა და თვითგანადგურების ფასადაც კი, და მეორე, რომელიც მიილტვის მუდმივი სიახლისაკენ, რამაც ასევე თვითგანადგურება შეიძლება გამოიწვიოს.

დეტექტიურ ჟანრს ეკო მიმართავს, რადგან ეს ჟანრი ყველაზე კარგად ასახავს იმ ძალადობასა და შიშს, რომელმაც ასე გლობალურად მოიცვა ჩვენი ყოველდღიურობა. ამიტომაც არაერთი მომენტი რომანიდან აღიქმება, როგორც გადაკვრით მოთხრობილი ჩვენი ეპოქის ცხოვრებაზე. რამდენადაც ამბავი დაშორებულია ჩვენი სიანმდვილისაგან, იმდენადაა მასთან ახლოს. ესაა რომანი ეთიკის მარადიულ პრობლემასა და ბოროტების შესახებ.

ყურადღებას იქცევს ეკოს ერთ-ერთი სტილისტური ხერხი. ნაწარმოებში დიდ როლს ასრულებს წიგნები, ავტორი აქ საუბრობს მათ მნიშვნელობაზე: "ვინც სპეციალურ, სამეცნიერო ლიტერატურას კითხულობს, იცის, რომ წიგნები, არა მარტო თავის შინაარსს გადმოგვცემენ ხოლმე, არამედ ხშირად სხვა წიგნებისასაც. როცა ადამიანი ერთსა და იმავე საკითხზე სამ-ოთხ წიგნს ამუშავებს, ხვდება, რომ ახალი წიგნები რამდენადმე ძველებს უკავშირდებიან. წიგნები სხვა წიგნებით "ლაპარაკობენ". როგორც ეკო ერთ ადგილას პოეტურად აღნიშნავს: ... "მე ჯერ უნდა დავფიქრდე ამაზე, შეიძლება ჯერ სხვა წიგნებიც უნდა წავიკითხო.

- ეგ როგორ, იმისათვის, რომ გაიგოთ, რა წერია წიგნში, ჯერ სხვა წიგნები უნდა წაიკითხოთ?

- დიახ, ზოგჯერ ეს აუცილებელია. ხშირად წიგნები სხვა წიგნებზე მოგვითხრობენ. ზოგჯერ რაიმე უბადრუკ წიგნში მხოლოდ თესლია, რომელიც შემდეგ სხვა საეჭვო წიგნს წარმოშობს, ანდა პირიქით, მწარე ფესვი ტკბილ ნაყოფს იძლევა".

"...აქამდე მეგონა, რომ წიგნები, მხოლოდ ადამიანურ და ღვთიურ არსებებზე მოგვითხრობდნენ, ახლა კი მივხვდი, რომ ისინი, არცთუ ისე იშვიათად, სხვა წიგნებზეც გვიამბობენ, და თითქოს ერთმანეთშიც კი საუბრობენ. ჩემი ამ ახალი აღმოჩენის ფონზე ბიბლიოთეკა კიდევ უფრო იდუმალ ადგილად წარმომიდგა, სადაც სამყაროს საუკუნოვანი ჩურჩული ისმის, უწყვეტი დიალოგი პერგამენტსა და პერგამენტს შორის... ანუ როგორც რაღაც ცოცხალი, ძალებით აღსავსე ოთახი, საიდუმლო საგანძური, რომელიც უამრავი ტვინისაგან წარმოიშვა და თავის წარმომშობთა შემდეგაც განაგრძობს ცხოვრებას ("ვარდის სახელი")." ამიტომ თავად ეკო რომანის დიდ ნაწილს, ისტორიულ წყაროებში პოულობს, და ეს კი არ უკარგავს ნაწარმოებს ორიგინალობას, პირიქით, მეტ მხატვრულობას სძენს და ამდიდრებს მას.

სამწუხაროდ, ქართულად უმბერტო ეკოს შემოქმედებიდან, ჯერჯერობით, ძალზედ ცოტა რამაა თარგმნილი. მისი უკანასკნელი რომანიდან "ბაუდოლინო" ქართულად ითარგმნა ფრაგმენტი - "ბაუდოლინო აფხაზეთის ბნელეთში". ვიმედოვნებთ, რომ დროთა განმავლობაში საქართველოში იმატებს ზოგადად კარგი თარგმანების რიცხვი და მათ შორის უმბერტო ეკოს რომანების თარგმანებისაც. განსაკუთრებით სასურველი იქნება, თუ ფართო მკითხველი გაიცნობს "ვარდის სახელს", და მისი წაკითხვისას, ალბათ, გაახსენდება, თვით ავტორის მიერ მოყვანილი ფრაზა: "ყველგან ვეძებდი სიმშვიდეს და ვიპოვე ის მხოლოდ კუთხეში ჩემს წიგნთან ერთად"...(უმბერტო ეკო 1980 წლის 5 იანვარი).

# სანიბელი - ჯაშუშების კუნძული

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

პორტერ გოსი, აშშ-ს კონგრესის წარმომადგენლების პალატის კომიტეტის თავმჯდომარე დაზვერვის სფეროში ამ დღეებში ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის (ცსს) დირექტორად დანიშნეს. პრეზიდენტ ბუშის თქმით, ამ "მოსასხამისა და ხანჯლის" კანტორას გოსი საკუთარი ხუთი თითივით იცნობს (ინგლისურად insaide and outside, ანუ "შიგნიდან და გარედან").

პრეზიდენტი სულაც არ აჭარბებდა. ათი წლის განმავლობაში გოსი ცსს-ზე მუშაობდა "შიგნიდან", მიუხედავად იმისა, რომ "გარედან" - იგი ოპერატიული მუშაკი იყო. იგი პეიგლიში (ვირჯინიის შტატი), ცსს-ს შტაბ-ბინაში კი არ იჯდა, არამედ შტატებს გარეთ მუშაობდა. აი, რას, ყვება მამის შესახებ მისი ერთ-ერთი შვილი (სულ ოთხი შვილი ჰყავს) მეისონ გოსი, რომელიც ფორტ-მაიერში (ფლორიდა) კერძო სკოლის მფლობელი და ისტორიისა და პოლიტიკის მასწავლებელია. მეისონის მამა "ესპანიოლაზე უკრავდა", ანუ ლათინური ამერიკის ქვეყნებზე მუშობდა. იგი მექსიკასა და დომინიკის რესპუბლიკაში დაზვერვის მასალებს აგროვებდა კუბის შესახებ. ერთ დროს გოსი მაიამიში მუშაობდა, სწორედ კუბის სარაკეტო კრიზისის წინ.

"მე წარმოდგენაც არ მქონდა, რომ მამა ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურში მუშაობდა - ამბობს მეისონი - ამის შესახებ 10-11 წლის ასაკში გავიგე." (1978 თუ 1979 წელს, ახლა მეისონი 36 წლისაა - მ.ს.). გოსმა 10 წელი იმუშავა მსოფლიოს "ცხელ წერტილებში" და გადადგა, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 34 წლის იყო. "გამიკვირდა - რატომ ასე ადრე? - იხსენებს მეისონი - დედამ მხოლოდ ის მითხრა, რომ იგი ავადმყოფობდა და ამიტომ გადასახლდა ფლორიდაში. სულ ეს არის, რაც ჩვენ მამას შესახებ ვიცოდით." სხვა წყაროების მიხედვით, გოსის "უცნაური დაავადება" სინამდვილეში "ჯაშუშთა ომში" განცდილი მარცხის შედეგი იყო. მისი ვაჟი ამტკიცებს, რომ მსგავსი არაფერი გაუგია. "ჩვენ გვაგრძნობინეს, რომ ამ თემაზე მეტი კითხვები არ უნდა დაგვესვა" - ამბობს მეისონი. ცსს-ში გოსის კოლეგას სიტყვით: "პორტერ გოსს საშინელი ინფექცია შეეყარა, ოთხი თვე ჰოსპიტალში იწვა, მიიღო ანტიბიოტიკების უშველებელი დოზა, გაუჩნდა თრომბები მკერდსა და ფეხებზე. ექიმმა უთხრა: "იწექი მზეზე და არაფერი აკეთო."

ასე აღმოჩნდა პორტერ გოსი მზიან კუნძულ სანიბელზე, ისევ იმავე ფლორიდაში. ექიმის მეორე რჩევა - არაფერი აკეთო - კი მან არ შეასრულა. რატომღაც იმავე კუნძულზე კიდევ ორი გადამდგარი "ცერეუშნიკი" აღმოჩნდა, რომლებიც "ესპანიოლაზე" არა, მაგრამ - "ცივი ომის" ევროპულ ინსტრუმენტებზე კი უკრავდნენ.

ერთ მათგანს დონალდ უაითჰედი ერქვა. ის პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი იყო, როდესაც დაზვერვის სამსახურში აიყვანეს. უაითჰედი პარიზში მუშაობდა. მეორეს კი - ფრედ უოლტინი ერქვა, მისი რეზიდენტურა გერმანიაში მდებარეობდა. უაითჰედი და უოლტინი გოსს 60-იანების ბოლოს გადაეყარნენ. ამ დროს ის ლონდონში საიდუმლო სამსახურში იყო და ჯაშუშების და საერთაშორისო აგენტების გადაბირებას ეწეოდა. უოლტინის ქვრივი იხსენებს: "ფრედი ცსს-ს ზედამხედველობით გერმანელებს (დასავლეთ გერმანელებს - მ.ს.) ეხმარებოდა ომისშემდგომი მთავრობის ჩამოყალიბებაში. მას ვილი ბრანდტთან ჰქონდა ურთიერთობა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნაში მონაწილეობდა." (ბრანდტი შემდგომში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი გახდა. მას ცსს-ს აგენტობას აბრალებდნენ. უოლტინის ქვრივის სიტყვები, ამ მხრივ, დიდ ინტერესს აღძრავს. - მ.ს.)

მოკლედ, სამი ექს-ჯაშუში მზიან კუნძულ სანიბელზე აღმოჩნდა. იგი ფორტ-მეიერსთან ახლოს, სამხრეთ-დასავლეთ ფლორიდაში მდებარეობს (ფლორიდის ახლანდელი გუბერნატორი პრეზიდენტს ბუშის უმცროსი ძმაა. - მ.ს.). პირველები კუნძულზე 1969 წლეს უაითჰედები დასახლდნენ. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს გოსის ცხოვრებაში, როცა ის 1971 წელს კუნძულზე მძიმე ავადმყოფობის შემდგომი რეაბილიტაციისთვის ჩამოვიდა. სულ ბოლოს კი კუნძულზე უოლტინიც გამოჩნდა.

ჯაშუშების არცთუ წმინდა სამება სულაც არ იჯდა მზის გულზე გულხელდაკრეფილი, როგორც მულტფილმის გმირი: "Я на Солнышке лежу, я на солнышко гляжу, все лежу и лежу..." და ა.შ. სადაზვერვო სამსახურში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მათ 1973 წელს, ვითომდა ცარიელ ადგილას, გაზეთი "აილენდ რეპოტერი" დააარსეს.



*შეიძლება არც ამ ჭაბუკს აქვს წარმოდგენა, რომ პორტერ გოსი ცსს-ში მუშაობს.*

ჯაშუშები რეპორტიორებად იქცნენ და პოლიტიკური ინფორმაციის შეგროვებას აქტიურად მიჰყვეს ხელი. "პორტერი ლის საგრაფოს სამმართველოს სხდომებზე დადიოდა და მათ შესახებ ინფორმაცია მოჰქონდა, - იხსენებს უაითჰედის ქვრივი, - ჩემი ქმარი ამ ინფორმაციების საფუძველზე სტატიებს წერდა, თან გაზეთის რედაქტორიც იყო. უოლტინს კი ბიზნეს-მენეჯერის თანამდებობა ეკავა, რადგან თავის დროზე სადაზვერვო სამსახურის ბიუჯეტს ხელმძღვანელობდა და კარგად იცოდა ფულთან ურთიერთობა."

უოლტინი გერმანიაში დაიბადა. შტატებში 1938 წელს ჩამოვიდა ორ ძმასთან ერთად. მეორე მსოფლიო ომის დროს ისინი ამერიკის არმიაში მსახურობდნენ, ხოლო მათი მამა - გერმანიის. დედა კი კვაკერი, ანუ პაციფისტი და ქალთა საერთაშორისო ლიგის წევრი იყო მშვიდობისა და თავისუფლებისათვის. აი ოჯახიც ამას ჰქვია! აქ მთავარი ის კი არ არის, თუ ვინ სად მუშაობს, არამედ ვისზე მუშაობს...

მარკ მობლი, გაზეთის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც სადაზვერვო სამსახურზე არ მუშაობდა, იხსენებს: "ეს ელიტარული ადამინების ჯგუფი იყო საიდუმლო წარსულით. ისინი ექსპერტები იყვნენ ცსს-თან დაკავშირებული საკუთარი წარსულის მიჩქმალვის საქმეში. ეს ფაქტი რედაქციას განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებდა." რედაქცია თავდაპირველად უოლტინების სახლსა და ავტოფარეხში იყო განთავსებული. ცოლები თავდადებით ეხმარებოდნენ ქმრებს. რეკორდულ დროში - სულ რაღაც, ექვს თვეში გაზეთმა შემოსავლის მოტანა დაიწყო. პირველი ნომრის სარედაქციო წერილში მათ ამგვარად ჩამოაყალიბეს საკუთარი კრედო: არ გვინდა ვიყოთ ძალიან დახვეწილები, ან ძალიან თავაშვებულები. ჩვენ არ ვიქნებით ჯვაროსნები და არ მოვყვებით წინასწარმეტყველებას ტექნიკური პროგრესის ფონზე მოახლოებული აპოკალიფსის შესახებ. მაგრამ ჩვენ არ გავჩუმდებით, თუ ჩვენი საზოგადოების მთავარ ინტერესებს რაიმე საფრთხე დაემუქრებათ ამა თუ იმ პიროვნებებისა და ჯგუფების მხრიდან." როცა ამ განცხადებას სადაზვერვო სამსახურის ყოფილი მუშაკები აკეთებენ - ის სრულიად სპეციფიურად ჟღერს.

ექს-ჯაშუშების ხელში გაზეთი მძლავრ პოლიტიკურ იარაღად იქცა. ისინი გოსის კანდიდატურის ლობირებასაც შეუდგნენ არჩევნების დროს. თავდაპირველად ის ქალაქის საბჭოს წევრად აირჩიეს, ხოლო მას შემდეგ, რაც კუნძულმა ქალაქის სტატუსი მიიღო - მისი პირველი მერი გახდა. შემდგომში გოსი ლის საგრაფოს საბჭოს წევრი გახდა და ბოლოს, კონგრესმენი (კონგრესში გოსი 1989 წლიდან მოღვაწეობს). კუნძულელი "ძალოვნები" ბიზნესითაც იყვენენ დაკავებულნი, მაგრამ ნაკლები წარმატებით. მათ შექმნეს კომპანია "აილენდ ბოუთ რენტალ" და მცირე ზომის გემებს აქირავებდნენ. მობლის თქმით, "ბიზნესის კუთხით თუ შევხედავთ - ეს სრული კრახი იყო. მათ ერთი ცენტი შემოსავალიც არ ჰქონდათ. თუმცა, მათი თქმით, ამ ბიზნესის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ გოსს ისეთი საქმე ჰქონოდა, რომელიც მას მზეზე დიდხანს გააჩერებდა. ასეა თუ ისე, "ძალოვნებმა" შური იძიეს თავიანთი ჩავარდნილი ბიზნესის გამო. როცა სანიბელზე მშენებლობა გაჩაღდა, მათ "ოლიგარქების" დახმარებით "დაიცვეს მშრომელების პატარა დასახლება" და მშენებლობა მთლიანად ჩაიგდეს ხელში.

პორტერ გოსის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის უფროსად დანიშვნის ფონზე, ექიმის დანიშნულება - "მზეზე იყავი და არაფერი აკეთო" - დაცინვასავით ჟღერს. ამ უწყების წარმომადგენლები ვამპირების, ღამურებისა და ბუების მსგავსად, დღის შუქს ერიდებიან. ახლა გოსს ძალაუნებურებად რამპის ჩირაღდნები დანათის. მისი კანდიდატურის გარშემო უკვე დაიწყო ვნებათაღელვა. მასში მონაწილეობას კინოდოკუმენტალისტი მაიკლ მურიც იღებს. ის ამტკიცებს, რომ "პორტერი პროფესიული გამოუსადეგარია ცსს-ს დირექტორის პოსტისთვის" და ამ ფაქტს ყველაზე უტყუარი და კვალიფიციური წყაროს - თავად პორტერ გოსის მეშვეობით ამტკიცებს!

მურის გახმაურებულ ფილმში "ფარენჰეიტი 9/11" არ შევიდა ეპიზოდი, სადაც ავტორი გოსისგან იღებს ინტერვიუს. ეს ეპიზოდი მცირე ვიდეოს სახით მურმა ინტერნეტ-საიტზე (www.michaelmoore.com) განათავსა. ვიდეოზე გოსი ამბობს, რომ იგი ვერ იშოვნიდა სამსახურს თანამედროვე ცსს-ში: "ამისთვის არ გამაჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია - აღიარებს გოსი - არ მაქვს ენების ნიჭი. ჩემი ცოდნა ამ სფეროში რომანული ენებით შემოიფარგლება. ახლა კი ჩვენ არაბისტებს ვეძებთ. მე ამისთვის კულტურული საფუძველიც არ გამაჩნია. და ბოლოს, მე არ ვფლობ ტექნიკურ საშუალებებს. ბავშვები ყოველდღე მახსენებენ: "მამა, შენ უკეთესად უნდა ფლობდე კომპიუტერს!" (გოსთან ინტერვიუ ამ წლის 3 მარტსაა ჩაწერილი. - მ.ს.).

მიუხედავად იმისა, რომ გოსს მზე უხდება, ასეთი რამის მზის გულზე გამოტანა მაინც დიდ გაოცებას იწვევს. სადაზვერვო სამსახურის ახლადგამომცხვარი დირექტორის თანაშემწემ, ჯულია ოლმეისმა სასწრაფოდ გააკეთა განცხადება, რომ მისი შეფის სიტყვები ცსს-ში სამსახურისთვის შეუფერებლობის შესახებ - მხოლოდ ჯაშუშის ოპერატიულ მუშაობას ეხება: "მას აქვს ცსს-ში მუშაობისთვის საჭირო კვალიფიკაცია - ამბობს ის - ინტერვიუში კი მხოლოდ ოპერ-მუშაობაზე საუბრობდა." ამაზე ერთი ანეკდოტის გმირი ზეინკალი მახსენდება, რომელიც 400 გრამ არაყს რომ დალევდა, მხოლოდ ხელმძღვანელობა შეეძლო.

მაშ ასე, მზიანი კუნძულის რობინზონმა კატაპულტირება ბინდიან პეიგლიში მოახდინა. ვნახოთ, როგორ აისახება ეს მის და რაც მთავარია, მისთვის მიბარებული უწყების ჯანმრთელობაზე.

ათენი-2004

| 23 აგვისტო | | |
|---|---|---|
| **მძლეოსნობა** | | |
| სპორტული სიარული. 20კმ. | | ქალები |
| ოქრო | ათანასია ცუმელეკა | საბერძნეთი |
| ვერცხლი | ოლიმპიადა ივანოვა | რუსეთი |
| ბრინჯაო | ჯეინ სევილი | ავსტრალია |
| 800მ. | | ქალები |
| ოქრო | ქელი ჰოლმსი | ბრიტანეთი |
| ვერცხლი | ხასნა ბენჰასი | მაროკო |
| ბრინჯაო | იოლანდა ჩეპლაკი | სლოვენია |
| სამხტომი | | ქალები |
| ოქრო | ფრანსუაზ მბანგო-ეტონე | კამერუნი |
| ვერცხლი | ხრისოპიგი დევეძი | საბერძნეთი |
| ბრინჯაო | ტატიანა ლებედევა | რუსეთი |
| 400მ. | | კაცები |
| ოქრო | ჯერემი უორინერი | აშშ |
| ვერცხლი | ოტის ჰარისი | აშშ |
| ბრინჯაო | დერიკ ბრიუ | აშშ |
| 5000მ. | | ქალები |
| ოქრო | მესერეტ დეფარი | ეთიოპია |
| ვერცხლი | იზაბელა ოჩიჩი | კენია |
| ბრინჯაო | ტირუნეშ დიბაბა | ეთიოპია |
| დისკოს ტყორცნა | | კაცები |
| ოქრო | რობერტ ფაზეკაში | უნგრეთი |
| ვერცხლი | ვირჯილიუს ალეკნა | ლიტვა |
| ბრინჯაო | ზოლტან კოვაგო | უნგრეთი |
| **ჭიდაობა** | | |
| თავისუფალი ჭიდაობა. 48კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | ირინი მერლენი | უკრაინა |
| ვერცხლი | ჩიჰარუ იჩო | იაპონია |
| ბრინჯაო | პატრისია მირანდა | აშშ |
| თავისუფალი ჭიდაობა. 55კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | საორი იოშიდა | იაპონია |
| ვერცხლი | ტონია ვერბიკი | კანადა |
| ბრინჯაო | ანა გომისი | საფრანგეთი |
| თავისუფალი ჭიდაობა. 63კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | კაორი იჩო | იაპონია |
| ვერცხლი | სარა მაკმანი | აშშ |
| ბრინჯაო | ლიზ ლეგრანი | საფრანგეთი |
| თავისუფალი ჭიდაობა. 72კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | ვან სიუ | ჩინეთი |
| ვერცხლი | გუზელ მანიუროვა | რუსეთი |
| ბრინჯაო | კიოკო ჰამაგუჩი | იაპონია |
| **მაგიდის ჩოგბურთი** | | |
| ერთეულთა თანრიგი | | კაცები |
| ოქრო | რიუ სიუნ მინი | კორეა |
| ვერცხლი | ვანგ ჰაო | ჩინეთი |
| ბრინჯაო | ვანგ ლიცინი | ჩინეთი |
| **ველოსპორტი** | | |
| ველოტრეკი. ჯგუფური რბოლა გამოდევნებით. 4კმ. | | კაცები |
| ოქრო | ავსტრალია | |
| ვერცხლი | დიდი ბრიტანეთი | |
| ბრინჯაო | ესპანეთი | |
| **სპორტული ტანვარჯიში** | | |
| ბჯენით ხტომები | | კაცები |
| ოქრო | ხერვასიო დეფერი | ესპანეთი |
| ვერცხლი | ევგენი საპრონენკო | ლატვია |
| ბრინჯაო | მარიან დრაგულესკუ | რუმინეთი |
| ძელი | | ქალები |
| ოქრო | კატალინა პონორი | რუმინეთი |
| ვერცხლი | კარლი პატერსონი | აშშ |
| ბრინჯაო | ალექსანდრა ეუჯენია ერემია | რუმინეთი |
| ორძელი | | კაცები |
| ოქრო | ვალერი გონჩაროვი | უკრაინა |
| ვერცხლი | ჰიროიუკი ტომიტა | იაპონია |
| ბრინჯაო | ლი სიაოპენგ | ჩინეთი |
| თავისუფალი ვარჯიში | | ქალები |
| ოქრო | კატალინა პონორი | რუმინეთი |
| ვერცხლი | დანიელა სოფრონი | რუმინეთი |
| ბრინჯაო | პატრისია მორენო | ესპანეთი |
| **სოფტბოლი** | | |
| | | ქალები |
| ოქრო | აშშ | |
| ვერცხლი | ავსტრალია | |
| ბრინჯაო | იაპონია | |
| **ძალოსნობა** | | |
| 94კგ. წონითი კატეგორია | | კაცები |
| ოქრო | მილენ დობრევი | ბულგარეთი |
| ვერცხლი | ხაჯიმურად აკაევი | რუსეთი |
| ბრინჯაო | ედუარდ ტიუკინი | რუსეთი |

TV-სპორტი

## სამშაბათი. 24 აგვისტო

**НТВ+ФУТБОЛ**
07:30 ოლიმპიადის დღიური
08:30 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
09:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. სოფტბოლი. ფინალი
11:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ქალები. ნახევარფინალი
13:00 ოლიმპიური პრესცენტრი
13:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ქალები. ნახევარფინალი
14:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ქალები. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 ოლიმპიური პრესცენტრი
16:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. აშშ - ბრაზილია
17:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. ხელბურთი. ვაჟები. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ძალოსნობა. ვაჟები. 105კგ. პირდაპირი ტრანსლაცია
22:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. ტრამპლინიდან ხტომა. ვაჟები. ტრამპლინი 3მ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:50 ოლიმპიური თამაშები ათენში. თავისუფალი ჭიდაობა. ვაჟები. წინასწარი შეხვედრები
00:35 ოლიმპიური თამაშები ათენში. პლაჟის ფრენბურთი. ქალები. ფინალი
01:25 ოლიმპიადის დღიური
02:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
03:35 ოლიმპიური თამაშები ათენში. ცხენოსნობა. წინაღობათა გადალახვა. გუნდური პირველობა. ფინალი. მეორე წრე

**НТВ+СПОРТ**
06:40 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ქალები. ნახევარფინალი
08:30 “ოლიმპიური ოდისეა”
09:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. დღის ანონსი
09:40 “ოლიმპის შვილები”
09:45 ოლიმპიური პრესცენტრი
10:00 გადაძახილი
11:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. პლაჟის ფრენბურთი. ვაჟები. ნახევარფინალი
12:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. პლაჟის ფრენბურთი. ქალები. ნახევარფინალი
12:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. სპორტული ტანვარჯიში. საჩვენებელი გამოსვლა. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 ოლიმპიური პრესცენტრი
15:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. მძლეოსნობა. ათჭიდი
16:45 ოლიმპიური პრესცენტრი
17:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა
17:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. წყალბურთი. ქალები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:00 ოლიმპიური პრესცენტრი
19:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ქალები. მეოთხედფინალი
20:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ხელბურთი. ვაჟები. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:10 “ოლიმპიური დღე”. უმთავრეს ასპარეზობათა ფრაგმენტები
23:50 “მითი და რეალობა”
00:00 “თემა”
00:30 “ოლიმპიური ოდისეა”
01:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. სინქრონული ცურვა. დუეტი. საჩვენებელი პროგრამა. წინასწარი შეხვედრები
02:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 48კგ, 60კგ, 81კგ. მეოთხედფინალები
03:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. ნახევარფინალი

**EUROSPORT**
06:00 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში
07:00 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
08:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
08:15 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
08:45 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
09:00 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
09:30 ბაიდარი და კანოე. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
10:15 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
12:00 ბაიდარი და კანოე. ოლიმპიური თამაშები ათენში
13:00 ტრამპლინიდან ხტომა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 ოლიმპიადის სიახლეები
14:45 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 ხელბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:00 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში
17:30 ველოსპორტი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ოლიმპიადის სიახლეები
20:45 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 “ოლიმპიკ ექსტრა”
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
02:15 ძალოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
03:15 ცხენოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
03:45 პლაჟის ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში
04:30 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
05:00 მძლეოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
05:30 ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში

# საჩხერეში ვქეიფობთ, საჩხერეში!

A1 გვერდიდან


ასანიძე კარგი მეღვინეც ყოფილა.

**- როდის მიდიხარ?**

- უკვე ვიყავი, მაგრამ ღვინო ვერ დავლიე. ვიდრე ოლიმპიადა არ დამთავრდება... შეიძლება დოპინგზე განმეორებითი ანალიზი ამიღონ და ღვინოს ვერიდები.

**- სხვათა შორის, ვისთანაც ისაუბრე, ყველა ჟურნალისტი დოპინგის შესახებ გეკითხება. რაშია საქმე, რატომ არის დოპინგი ასეთი აქტუალური?**

- ამას მარტო მე არ მეკითხებიან. საქმე ის არის, რომ დოპინგ-კონტროლი ძალიან გამკაცრებულია. მარტო ოლიმპიურ სოფელში "ვადას" რამდენიმე წარმომადგენლობაა. მე კონტროლის გამკაცრებას მივესალმები. უნდა ვთქვა, რომ ათენის ოლიმპიური თამაშები ყველაზე სუფთა იყო წინა თამაშებთან შედარებით, რაც ამ კონტროლის გამკაცრების დამსახურებაა.

**- ალბათ, ამიტომაც მოხდა, რომ ბევრმა ვერ აჩვენა ის შედეგი, რისი ჩვენებაც შეეძლო.**

- პირადად მე ისე გამომივიდა, როგორც მინდოდა. რამდენიმე კილოგრამით უკეთესი შედეგის ჩვენებაც შემეძლო, მაგრამ რაც მოხდა, კარგად მოხდა.

**- აქ გამარჯვებისთვის ჩამოხვედი?**

- მორწმუნე ვარ და რწმენით ჩამოვედი. არ ვიცი, თავში რატომ ჩამებეჭდა, მაგრამ ამეკვიატა ფრაზა: "ოლიმპიადა არ უნდა წააგო". ამდენად, ფსიქოლოგიურად ყველაზე უკეთ განვეწყვე და სწორედ ამიტომ მოვიგე.

**- არადა, მაგრად გიშლიდნენ ხელს. გრიფს წყალიც კი გადაუსვეს, რომ ხელი გაგსხლტომოდა.**

- ეს პირველი შემთხვევაა. ყოველ შემთხვევაში, ჩემს პრაქტიკაში მსგავსი არაფერი მომხდარა. სამწუხაროდ, ბერძნებმა გრიფს წყალი გადაუსვეს. სხვა შემთხვევაში არ შეიძლებოდა, შტანგა ხელიდან გამვარდნოდა. წყლის წასმა არ შეიძლება. ერთადერთი, თუ ვინმეს ხელი გაეჭრა, შეიძლება, სისხლის სწრაფად აორთქლების მიზნით, გრიფს სპირტი გადაუსვა, მაგრამ როცა ყველაფერი წესრიგშია, მაშინ გრიფი რკინის ჯაგრისით იწმინდება. წყალი კი გამორიცხულია. ამან ვანო გრიქუროვის აღშფოთება გამოიწვია.

**- ჩანს, ბერძნებს ძალიან უნდოდათ დიმასის გამარჯვება და ყველაფერზე წავიდნენ.**

- ბუნებრივია. დიმასი მათთვის კერპია და ბრძოლას ისიც ართულებდა, რომ მის წინააღმდეგ მომიხდა გამოსვლა. ათენში დიმასის დამარცხება ძალიან ძნელი იყო და ბერძნები ვერ იჯერებდნენ, რომ მსგავსი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. ამიტომ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩემს გამარჯვებაში წვლილი შეიტანა. სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, ოლიმპიურ ფონდს, რომლის მეცადინეობამაც საფუძველი ჩაუყარა თამაშებზე ჩვენს წარმატებას, ჩემს ექიმებს - საბერძნეთში, რუსეთსა და საქართველოში, რომელთა ოპერაციებმაც ფეხზე დამაყენა და ჩემს მწვრთნელსა და მეგობარს, ვისთანაც მამაშვილური დამოკიდებულება მაკავშირებს, ვანო გრიქუროვს.

**- გიორგი, ერთ-ერთ ბერძენ ჟურნალისტს უთხარი, რომ კახიაშვილმა სპორტში დაგაბრუნა. ეს რას ნიშნავს?**

- 1990 წელს, ერთხანს, ძალოსნობას დავემშვიდობე. ხელი მოვიტეხე და ველარ ვვარჯიშობდი, მაგრამ კახი კახიაშვილის დაჟინებულ სურვილს და ძალისხმევას წინ ვერ აღვუდექი, ხოლო მას შემდეგ, რაც კახიმ ოლიმპიადა მოიგო, ეს ჩემთვის დიდი სტიმული გახდა და, როგორც ხედავთ, დღეს ოლიმპიური ჩემპიონი ვარ.

**- ანუ კარიერას ჯერ არ დაასრულებ?**

- ადრე გადაწყვეტილი მქონდა, ოლიმპიადის შემდეგ სპორტისთვის თავი დამენებებინა, მაგრამ ძალოსნობას ჩემი ცხოვრების 70 პროცენტი მიაქვს და ამ ყველაფრის მიტოვება მენანება. ამიტომ ვივარჯიშებ, მუდმივად ფორმაში ვიქნები და თუ, ღვთის წყალობით, ტრავმებმა არ შემაწუხა, ოთხწლიან ოლიმპიურ ციკლს ჩავამთავრებ. მერე კი ცხოვრება მიკარნახებს, როგორ მოვიქცე.

**- ესე იგი, ჯერჯერობით სპორტში რჩები. ერთი პირობა კი, მახსოვს, პოლიტიკოსობას აპირებდი. დეპუტატობის კანდიდატიც კი იყავი.**

- სპორტი ერთ-ერთია ჩემს პროფესიათაგან. ახლა ვამთავრებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტს. ასე რომ, ეკონომისტიც გახლავართ. თუმცა, რა მიმართულებით განვაგრძობ ცხოვრებას, ჯერ ზუსტად არ ვიცი. ამჟამად ვაპირებ, თბილისში ჩავიდე და ძალოსნობის ფედერაციაში საქმეები მოვაგვარო. ბევრი რამ გასარკვევია ფედერაციაში, სპორტსმენებთან. ალბათ, სულ სხვა პერსპექტივები გამოჩნდება. სულ სხვა მიდგომა იქნება ძალოსნობისადმი. კი, მსოფლიო ჩემპიონი ვიყავი, მაგრამ ოლიმპიადა სულ სხვა ხარისხია და, შესაბამისად, ურთიერთობასაც შეცვლის. მინდა, რომ ძალოსნობა საქართველოში სპორტის სფეროში დიდხანს დარჩეს ერთ-ერთი ლიდერის პოზიციაზე.

**- ამას როგორ აპირებ, მარტო, თუ ვანო გრიქუროვთან ერთად?**

- ვანო გრიქუროვის საქართველოში ჩამოყვანა ჩემზე არ არის დამოკიდებული. საჭიროა შეიქმნას აუცილებელი ბაზა იმისთვის, რომ ეს დიდი მწვრთნელი საქართველოში დაბრუნდეს და აქ გააგრძელოს მოღვაწეობა. ვფიქრობ, ქართველი ხალხი მას საქართველოში დააბრუნებს.

**- ამდენი გეგმა გაქვს. პოლიტიკოსობას კი აპირებდი.**

- მე ვთქვი, რომ სპორტი ჩემს პროფესიათაგან ერთ-ერთია. ჯერჯერობით კი არ ვიცი, რომელ პროფესიას ავირჩევ სამომავლოდ. ამიტომ ასე ვთქვათ: თუ პოლიტიკა მიმიღებს, სიამოვნებით წავალ პოლიტიკისკენ.

**- ოჯახს ბოლოს როდის ესაუბრე?**

- ნახევარი საათის წინ.

**- ბავშვებმა როგორ აღიქვეს მამის ტრიუმფი** (გიორგი ოთხი შვილის მამაა.-რედ.)**?**

- გოგო მღეროდა, ბიჭი კი არ მელაპარაკა. რა ვიცი, ჩემი ეხათრება თუ რა, მაგრამ არ მელაპარაკება. ძალიან მორცხვი და ჯიუტია, მამაზე უფრო ჯიუტი.

# რუსებს ოქრო ყელში გაეჩხირათ...

## თურქეთის იმედმა ანალიზი მოტეხა

გიგა გურასაშვილი


კორჟანენკოს ყველაფერს ართმევენ.

თურქეთის ისტორიაში პირველი მძლეოსანი, ევროპის ჩემპიონი 1500 მეტრზე და მსოფლიო ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი სურეია აიჰანი დოპინგ-ანალიზების შეცვლაშია ბრალდებული.

ჯერ კიდევ ათენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე აიჰანმა, რომელიც ამ დისციპლინაში ოქროს მედლის ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად მოიაზრებოდა, ყველასთვის მოულოდნელად განაცხადა, რომ ფეხის ტრავმის გამო ათენში არ წავიდოდა. თურქთა იმედის ამ განცხადებამ ბომბის აფეთქების ეფექტი გამოიწვია როგორც გულშემატკივრებში, ისე თურქეთის მძლეოსნობის სამყაროში. არადა, როგორ ელოდნენ თურქები იმას, რომ სურეია აჰიანი სამშობლოს პირველ მძლეოსნურ ოქროს მედალს მოუტანდა.

აჟიოტაჟი, რომელიც აიჰანის ირგვლივ ატყდა, ისევე უცაბედად ჩაცხრა, როგორც დაიწყო. თურქეთის საინფორმაციო საშუალებებმა “თურქეთის მძლეოსნობის დედოფალზე” ყურადღება მოადუნეს და სხვა საკითხებზე წერით შეიქციეს თავი. ეს ვაკუუმი, ალბათ, კიდევ კარგა ხანს გაგრძელდებოდა, რომ არა ახლახან გამჟღავნებული ნამდვილი მიზეზები იმისა, თუ რა მოხდა სინამდვილეში. ირკვევა, რომ აიჰანის მიერ ათენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზი მზადებისას სტიმულატორების, ანუ აკრძალული პრეპარატების გამოყენება ყოფილა.

გაზეთ “ჰიურითთან” ექსკლუზიურ ინტერვიუში მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელმა იშტვან გულაიმ განაცხადა, რომ თურქმა სპორტსმენმა აგვისტოს პირველ რიცხვებში სოკის ანტიდოპინგური კომისიის წევრებს საკუთარის ნაცვლად სხვისი ანალიზები გადასცა.

“ეს ძალზე სერიოზული დანაშაულია, - აცხადებს გულაი. - კოსტას კენტერისთან დაკავშირებულ ისტორიას სხვა ელფერი დაჰკრავს. თუ ბერძენმა მძლეოსანმა, უბრალოდ, უარი განაცხადა ანალიზების ჩაბარებაზე და ამით დააშავა კიდეც, მას მსუბუქი სასჯელი ელის. რაც შეეხება აიჰანთან დაკავშირებულ ისტორიას, იგი სპორტის საზღვრებს სცილდება და პატიებას არ ექვემდებარება”.

ფაქტია, რომ სოკ-ის ანტიდოპინგური კომისიის წევრთა მოტყუების მცდელობასთან გვაქვს საქმე, - დასძენს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელი. მისივე თქმით, აიჰანმა ათენში გამგზავრებაზე მას შემდეგ თქვა უარი, რაც თურქეთის მძლეოსნობის ფედერაცია საქმის კურსში ჩააყენეს. ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ აიჰანმა ოლიმპიურ სარბიელზე გასვლაზე უარი განაცხადა, სადისციპლინო კომიტეტი მას მკაცრი სასჯელის გარეშე მაინც არ დატოვებს. გულაის აზრით, შესაძლოა, თურქი მძლეოსანი ასპარეზობებიდან 2-4 წლით მოკვეთონ.

სოკ-ის დოპინგ-კომისია და მსოფლიოს ანტიდოპინგური სააგენტო (ვადა) კი კვლავაც ჩვეულ რიტმში აგრძელებენ მუშაობას. გუშინ გაცხადდა მორიგი მსხვერპლის ვინაობაც. რუსეთის ოლიმპიურ ყულაბას ოქროს მედალი მოაკლდა.

ირინა კორჟანენკო, რომელმაც 18 აგვისტოს 21,07 მეტრზე ჰკრა ბირთვი და ოლიმპიურ “ოქროს” დაეუფლა, დოპინგის ხმარებაში ამხილეს. დაჯილდოების ცერემონიალიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ რუსი სპორტსმენი დოპინგ-კონტროლზე გაიყვანეს. ანალიზებმა აჩვენა, რომ კორჟანენკოს ორგანიზმი გაჭყეპილი იყო აკრძალული პრეპარატით - სტანოზოლილით. მოგვიანებით B სინჯმაც იგივე დაადასტურა.

სოკ-ის სადისციპლინო კომისიამ, ბევრი იმსჯელა თუ ცოტა, დაადგინა:

- ირინა კორჟანენკო დისკვალიფიცირებულ იქნეს ბირთვის მკვრელთა ასპარეზობებიდან;

- ჩამოერთვას ოქროს მედალი და დიპლომი;

- აეკრძალოს ათენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება;

- ჩამოერთვას ოლიმპიური აკრედიტაცია;

- რეკომენდაცია გაეწიოს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას, კორჟანენკოს მიმართ მიიღოს შესაბამისი ზომები;

- დაავალდებულოს რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი, უმოკლეს ვადებში სოკ-ს დაუბრუნოს კორჟანენკოსთვის გადაცემული მედალი და დიპლომი;

ესეც რომ არა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა, კორჟანენკოს სამუდამო დისკვალიფიკაციაც მიუსაჯონ. საქმე ისაა, რომ რუსი ბირთვის მკვრელი ადრეც იყო დოპინგის ხმარებაში მხილებული. მეორედ იგივე საქმეში ჩავარდნისას კი, ყველანაირი განაწესით, სპორტსმენს სამუდამო დისკვალიფიკაციას უსჯიან.

რაც შეეხება იმას, თუ ვის გადაეცემა “ოქრო”, ეს კუბელი იუმილეიდი კუმბაა. ვერცხლი გერმანელ ნადინ კლეინერტს დარჩება, ხოლო ბრინჯაო - კორჟანენკოს თანამემამულე სვეტლანა კრიველიოვას.

შეგახსენებთ, რომ რუსის დისკვალიფიკაცია ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მეორე შემთხვევაა. მანამდე სარბიელიდან ძალოსანი ალბინა ხომიჩი მოხსნეს.

ათენი-2004

# ნაიჯელ შორტი: "ჩიბურდანიძესთან პირადად წავაგე"

კახა ფაჩუაშვილი
ათენიდან

ქართულ სახლში ოლიმპიურ ჩემპიონებსა და პრიზიორებს უმასპინძლეს. აქ ქართულმა დელეგაციამ და ათენელმა ქართველობამ მოიყარა თავი. სტუმართა შორის ცნობილი მოჭადრაკე, ინგლისელი დიდოსტატი ნაიჯელ შორტიც იყო. მას მეუღლე ბერძენი ჰყავს და ათენშიც ამიტომ იმყოფება.

საღამომ ძალიან კარგად, თბილ ატმოსფეროში ჩაიარა. ქართველი სპორტსმენების მისამართით არ წყდებოდა ფრაზები - გმირი, ტრიუმფატორი, რაინდი და სხვა. ოლიმპიურ ჩემპიონებსა და ვიცე-ჩემპიონს მიესალმნენ: ქალბატონი ნანა ალექსანდრია, გიორგი გაბაშვილი, საქართველოს ელჩი საბერძნეთში ბატონი ჭუმბურიძე, ემზარ ზენაიშვილი, ლერი ხაბელოვი და სხვა. ნაიჯელ შორტმა აღნიშნა, რომ რადგან ეს ქართველთა ზეიმია, სიტყვებით თავს არავის შეაწყენს და შემდეგ ჭადრაკზე სასაუბროდაც მოიცალა.

- დღესდღეობით მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის ოთხი კანდიდატი იბრძოლებს. ვლადიმირ კრამნიკი პეტერ ლეკოს შეხვდება, ხოლო გარი კასპაროვი - რუსტამ კასიმჯანოვს. კრამნიკი უაღრესად კონსერვატიული თამაშის მომხრეა. ის მუდამ ჩაკეტილია და ამიტომ მისი თამაშის ყურება მომაბეზრებელი ხდება. ის, როგორც წესი, უამრავ ყაიმს აფიქსირებს. დაახლოებით იგივე სტილის მიმდევარია პეტერ ლეკოც. ამიტომ მათ შეხვედრაში უამრავი ყაიმი შემიძლია ვივარაუდო. რაც შეეხება გარი კასპაროვს, მას კასიმჯანოვთან მატჩში, რა თქმა უნდა, დიდი უპირატესობა ექნება. ის უაღრესად ნიჭიერი და ძლიერი მოთამაშეა.

**- მიგაჩნიათ თუ არა, რომ დღეს კასპაროვი ყველაზე ძლიერი მოჭადრაკეა მსოფლიოში?**

- კასპაროვი დიდი მოჭადრაკეა, მაგრამ დღეს საუკეთესოა ინდოელი დიდოსტატი ვიშვანათან ანანდი. ახლა ის საუკეთესო ფორმაშია.

**- რა შეგიძლიათ თქვათ ცნობილი სკანდალის შესახებ უკრაინელ რუსლან პონომარიოვსა და ფიდეს შორის, რომელიც პონომარიოვ-კასპაროვის მატჩის ჩაშლამ გამოიწვია?**

- პირადად ჩემთვის გაურკვეველია პონომარიოვის პოზიცია. ის კასპაროვს ხვდებოდა და, სხვა რომ არაფერი, მილიონების გამომუშავება შეეძლო. თანაც, უკრაინელს ჰქონდა შანსი, დაემარცხებინა კასპაროვი. ამიტომ ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ ითამაშა მან კასპაროვის წინააღმდეგ.

**- პონომარიოვი ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვს დიქტატურაში ადანაშაულებს.**

- ფიდესთან პირადად მე კრიტიკულ დამოკიდებულებაში ვარ. დღეს ჭადრაკი, სამწუხაროდ, არ იმართება დემოკრატიული ნიშნით. ფიდეს ზედა ფენებში არის გარკვეული ჯგუფი, რომელიც ფულის კეთებითა და კორუფციით არის დაკავებული. მათ განსადევნად კი საჭიროა ცოცხი, რომელიც ამ უკეთურებას სანაგვეზე მიუჩენს ადგილს.

**- ეს ზურაბ აზმაიფარაშვილზეც ითქმის?**

- რა გინდათ, რომ ვთქვა?

**- თქვენი აზრით, რა უნდა შეიცვალოს, რადგან ამ არადემოკრატიული მართვის გამო დიდი მოჭადრაკეები ტურნირებში თამაშზე უარს აცხადებენ. მაგალითისთვის გამოდგება ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატიც, სადაც იგივე ანანდმა არ ითამაშა.**

- მესმის თქვენი. ამის გამო ჭადრაკი გარკვეულ დეგრადაციასაც განიცდის. დააკვირდით, ფინალში მაიკლ ადამსი და რუსტამ კასიმჯანოვი გავიდნენ. ტურნირში მონაწილეობა მეც მივიღე, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ, როგორც მოთამაშემ, დიდი პროგრესი განვიცადე.

**- სად არის გამოსავალი? თუ არ მოიძებნა ცოცხი, რომელიც კორუფციას მოხვეტს, მაშინ რა მოხდება?**

- მაშინ დეგრადაცია გაგრძელდება. იცით, პირადად მე ვერ ვხედავ ძლიერ პიროვნებას, რომელიც ინტეგრაციის მომხრე იქნებოდა და თან ცოცხის ფუნქციასაც იტვირთებდა.

**- არც ისე სახარბიელო პერსპექტივაა. თანაც, ახალი ლოკაუტ-სისტემაც არასრულფასოვანის შთაბეჭდილებას ტოვებს!**

- სისტემა, რა თქმა უნდა, ძველი სჯობდა. 1972 წელში თუ დავბრუნდებით და ფიშერ-სპასკის მატჩს გავიხსენებთ, ან კარპოვ-კორჩნოის შეხვედრას... იგივე კასპაროვ-კარპოვი... ეს დიდი მატჩები იყო. ჭადრაკის განვითარების თვალსაზრისითაც და ვიზუალურადაც. ახალმა სისტემამ კი ასეთი მატჩების ეფექტი ჩაახშო. თანამედროვე ჭადრაკში მენეჯმენტი არ არსებობს. არც რეკლამირება ხდება. მახსენდება მატჩი ლას-ვეგასში მსოფლიო პირველობაზე. საოცარი ის იყო, რომ ამ მატჩის შესახებ არათუ ქალაქში, არამედ სასტუმროშიც კი არაფერი იცოდნენ. ეს ყველაფერი ჭადრაკის ცუდ მართვას უკავშირდება. ამიტომ მე ძველი სისტემის მომხრე გახლავართ.

**- კირსან ილიუმჟინოვი კი თავისი მმართველობით ამაყობს.**

- პირადად მასთან არავითარი პრობლემა არ მაქვს. ერთი ამბავი უნდა გიამბოთ. 1995 წელია. ინდონეზიაში, ჯაკარტაში ვართ. ილიუმჟინოვი ფიდეს პრეზიდენტად ახალი არჩეულია. რესტორანში ვსაუზმობთ. ის მოგვიახლოვდა და გვკითხა, რას ვფიქრობდით ჭადრაკის სისტემის შესახებ. თქვა, რომ ფიდეში ახალი იდეები არსებობს და მას სურს, ლოკაუტ-სისტემა შემოიღოს, მაგრამ ამ სისტემამ არ გაამართლა. სწორედ არადემოკრატიული მართვის პრინციპის გამო ხდება ჭადრაკის ხარისხობრივი დეგრადაცია. ეს პროცესი 1982 წლიდან იღებს სათავეს, როცა ფიდეს კამპომანესი მართავდა. სხვათა შორის, ის კორუფციის ბრალდებით დააკავეს.

**- ქართველ მოჭადრაკეებს თუ იცნობთ და რა შეგიძლიათ თქვათ მათ შესახებ?**

- მაია ჩიბურდანიძესთან პირადად მითამაშია და დავმარცხდი. თქვენ გყავთ ისეთი პერსპექტიული გოგონები, როგორიცაა ძაგნიძე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ქართველ ქალთა დომინანტი მსოფლიო ჭადრაკში დასრულდა. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ ავკარგიანობაზე საუბარი არ შემიძლია, რადგან პირადად არ შევხვედრივარ. თუმცა, რამდენადაც ვიცი, მათ შორისაც გყავთ პერსპექტიული მოთამაშეები.



ქართველების სიხარული ნაიჯელ შორტმაც გაიზიარა.

# ყველაზე ღონიერი ჩემპიონი

გიგა გურასაშვილი

*მას უყვარს საქართველო! მეც მიყვარს! ის ამაყია! მეც ამაყი ვარ! ის გამარჯვებულია! მეც და თქვენც გამარჯვებულები ვართ!*
*საქართველოა გამარჯვებული!*
*საქართველო თავჩაქინდრული აღარაა. მე ქართველი ვარ, ესე იგი, ჩემპიონი ვარ!*
*ხერგიანები, ზვიადაურები, ასანიძეები... გვაცოცხლებენ.*
*შაბათს გიორგი ასანიძემ საქართველო ხელში აიტაცა, საქართველო აკრა.*
*ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!*

სხვანაირად ნუ გამიგებთ და, შაბათს, 21 აგვისტოს, ჩემთვის გიორგობა იყო. შაბათს სამაჩაბლოც დაბრუნებული მქონდა და აფხაზეთიც. პირველად ვინანე, რომ ჩვენი გაზეთი იმ დღეს ისვენებდა. ძალიან მინდოდა, რამე დამეწერა, მაგრამ სად და რანაირად! პროკლამაციებს ხომ არ გავავრცელებდი?! სამწუხაროდ, გუშინდლამდე ვერ მოვახერხე. შაბათს საღამოს კი რა აღარ მიტრიალებდა თავში. იმ დღეს ხმის ჩახლეჩამდე ვღრიალებდი. დედაჩემიც ასეთ დღეში იყო, მერე, ჩვეულებისამებრ, ცრემლებიც გადმოსცვივდა, ბოლოს კი წნევის აპარატით ოთახებში დავრბოდი. იმ ღამეს არ მიძინია. საერთოდ, ჭკუაზე არ ვიყავი. ან როგორ უნდა ვყოფილიყავი, როდესაც საქართველომ ათენის ოლიმპიური თამაშების მეორე ოქროს მედალი გამოჰგლიჯა მასზე აღმატებულ ქვეყნებს?! დარწმუნებული ვარ, შაბათს სხვებიც ჩემ დღეში იქნებოდნენ. ხუმრობა ხომ არაა, გიორგი ასანიძე ყველაზე ღონიერია! გიორგი ასანიძე ჩემპიონია!

დიმას, დიმას, დიმას... გუგუნებდა დარბაზი. საბერძნეთი თავის სათაყვანებელ შვილს, თუმცა, ტომით ალბანელს, სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს ძალოსანს პიროს დიმასს ისე ესალმებოდა, როგორც რომის იმპერატორს. ბერძენთა ღრიანცელი ამაო გამოდგა. პატარა საქართველოს შვილი პირთამდე სავსე მოგუგუნე დარბაზსაც მოერია და დიმასსაც. გიორგი ასანიძე ჩემპიონია!

საერთოდ, შაბათ საღამოს სასწაული ხდებოდა, არადა...

გამოგიტყდებით, ეჭვი მეპარებოდა. ეჭვი მეპარებოდა, რომ ასანიძე ჩემპიონობას შეძლებდა. მეტიც, წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. არა! მის შესაძლებლობებში ეჭვი არასდროს შემპარვია, მაგრამ... მაგრამ ის, რომ, ფაქტობრივად, წელიწადნახევარი შტანგას ხელს ვერ ჰკიდებდა. მხრის ქრონიკული ტრავმა მოსვენებას არ აძლევდა. მისმა დამრიგებელმა ვანო გრიქუროვმა თქვა კიდეც, პირველ თანრიგსაც ვეღარ ასრულებდაო. ამის მერე როგორი დასაჯერებელი უნდა ყოფილიყო ის, რომ ასანიძეს ზეთისხილის გვირგვინს დაადგამდნენ. ვფიქრობდი, ისევ საკუთარი გამოცდილება თუ უშველის-მეთქი, მაგრამ შტანგას ხომ მის მაგივრად არავინ აწევდა. ვფიქრობდი, ჰა-ჰა, მესამე ადგილი თუ დაიკავა, ესეც მაგარი იქნება-მეთქი. ხანდახან ესეც მეეჭვებოდა, თუმცა, საკუთარ თავს მაინც არ ვუტყდებოდი. მან კი რა ქნა! ის გამარჯვებულია!

მეც და თქვენც გამარჯვებულები ვართ! ვამაყობ, რომ გიორგი ასანიძე ჩემი მეგობარია. თქვენ რომ მას იცნობდეთ, თქვენც მეგობრად ჩათვლიდით, რადგან ბუნებითაა ასეთი.

მისთვის ყველაფერი ალალია. ალალია იმიტომაც, რომ ოთხი შვილის მამაა.

შაბათს სასწაული ხდებოდა-მეთქი. ოლიმპიური თამაშები, რომელიც ერთგვარი საზომია იმისა, ესა თუ ის ქვეყანა განვითარებისა თუ შესაძლებლობების რა საფეხურზეა, საქართველო საკუთარ თავს გადაახტა. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ქართველები არანაირ კანონზომიერებას არ ვემორჩილებით. ორი ოქრო და ერთი ვერცხლი ასი ქვეყნისთვისაც კი, თუ მეტი არა, წარმოუდგენელია. ისე, ამაზე უკეთესი სტიმული რად გინდა! ბერძენ-რომაელები და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები საკუთარ ჯერს ელოდებიან და, ღმერთმა ქნას, ესტაფეტა წარმატებით ჩაიბარონ.

მას უყვარს საქართველო! მეც მიყვარს! ის ამაყია! მეც ამაყი ვარ! ის გამარჯვებულია! მეც და თქვენც გამარჯვებულები ვართ!

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

ფეხბურთი

# კიდევ ერთი რუსი ინგლისურ ფეხბურთში

პაატა თოთაძე

რომან აბრამოვიჩის შემდეგ ინგლისურ ფეხბურთში, შესაძლოა, კიდევ ერთი რუსი გამოჩნდეს. ამჯერად საუბარია ანტონ ზინგარევიჩზე, ცნობილი რუსი საქმოსნის, ბორის ზინგარევიჩის შვილზე. ანტონ ზინგარევიჩი თურმე "ევერტონზე" ყოფილა შეყვარებული და როგორც კი საყვარელი კლუბის გასაჭირის ამბავი გაიგო, უმალ დახმარება გადაუწყვეტია. ეს ინფორმაცია გუშინ გაავრცელა "Sunday Times"-მა, თუმცა, კლუბის ხელმძღვანელობის თქმით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

მართალია, "ევერტონის" ხელმძღვანელობა არ უარყოფს, რომ კლუბს მძიმე ფინანსური მდგომარეობა აქვს, რომელიც სასწრაფოდ გამოსასწორებელია, მაგრამ იმას კი უარყოფს, რომ ამაში დიდი წვლილი ანტონ ზინგარევიჩმა უნდა შეიტანოს. არადა, ინგლისურ გაზეთს მტკიცებულებად მოყავს ერთ-ერთი აგენტის სიტყვები, აგენტისა, რომელიც უშუალოდ ესწრებოდა მოლაპარაკებებს ზინგარევიჩსა და კლუბის მმართველი საბჭოს ხელმძღვანელს ბილ კენრაიტს შორის: "ისინი 20 მილიონზე შეთანხმდნენ, თუმცა, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რასაც ზინგარევიჩი აპირებს. მისი თქმით, ის მზადაა, კლუბს 70-80 მილიონი გირვანქით დაეხმაროს, თუ ამის აუცილებლობა შეიქნა. პირველადი დახმარების რაოდენობა კი 20 მილიონი გირვანქით განისაზღვრა".

ორი-სამი წელიწადია, "ევერტონი" ფინანსურ გაჭირვებას განიცდის. ამის გამო კენრაიტსა და "ევერტონის" დირექტორს პოლ გრეგს შორის უთანხმოებაც კი მოხდა. გრეგის განცხადებით, კენრაიტს, რადაც უნდა დაუჯდეს, უნდა მოიძიოს საჭირო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ თანამდებობაზე ის კაცი მოვა, ვინც ამის გამკეთებელია: "კენრაიტს დიდი შრომა მოუწევს. შეუძლებელი არაფერია, უბრალოდ, იმაზე მეტი მუშაობაა საჭირო, ვიდრე აქამდე მუშაობდა და, დარწმუნებული ვარ, საქმესაც ეშველება. ვფიქრობ, ერთ-ორ კვირაში ყველაფერი უნდა გაირკვეს. ყველაფერი თუ არა, რაღაც მაინც. თუ არადა, ამ თანმდებობაზე მოვა სხვა, ის, ვინც დაკისრებულ მოვალეობას თავს გაართმევს. ვიმეორებ: შეუძლებელი არაფერია. შეუძლებელი უფრო ისაა, რომ "ევერტონში" ფულის ჩადება არავის მოუნდეს".

ახალი ინვესტიციები კლუბს საშუალებას მისცემს, გაკოტრებას გადაურჩეს. გარდა ამისა, შეინარჩუნოს უეინ რუნი, ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი. ამ დღეებში რუნის შესთავაზეს ახალი კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელი კვირაში 50 000 გირვანქას მიიღებს. ეს წინადადება ფეხბურთელისთვისაც მისაღები აღმოჩნდა, თუმცა, კლუბის მმართველი საბჭო მისი დამტკიცებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს.

"ევერტონის" ვალები სხვადასხვა ორგანიზაციის მიმართ სადღეისოდ დაახლოებით 40 მილიონ გირვანქას შეადგენს. ასე რომ, პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია ახალი ინვესტიციების მოზიდვა. გარდა ამისა, ახალი სახსრები კლუბს საშუალებას მისცემს, შეიძინოს ახალი ფეხბურთელები. შემადგენლობის გაძლიერება მწვრთნელს წლეულსაც სურდა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო არათუ ახალი ფეხბურთელების შეძენა ვერ მოხერხდა, კინაღამ შარშანდელი შემადგენლობაც დაეშალა.

გასულ კვირას მმართველი საბჭოს ხელმძღვანელმა კენრაიტმა აქციონერთა წინაშე განაცხადა, რომ აპირებს, კლუბის აქციათა 40 პროცენტი 20 მილიონად გაყიდოს. ამ თანხის ნაწილი ვალების გასტუმრებას (დაახლოებით 8 მლნ. გირვანქა), ნაწილი კი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ახალი ფეხბურთელების შეძენას მოხმარდება. "ჩვენ უკვე გვაქვს კონკრეტული წინადადებები და მომავალ კვირას ყველაფერს გადავწყვეტთ. მინდა გითხრათ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა "ევერტონი" მძიმე მდგომარეობიდან მალე გამოვიყვანოთ. დარწმუნებული ვარ, შევძლებთ ამას", - აღნიშნა კენრაიტმა.

"Guardiane"-ის ინფორმაციით, იმ ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც იმყოფება "ევერტონი", ახალი ინვესტორის მოძიება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გუნდს წლეულს 10 მილონიც არ აღმოაჩნდა, რომ სამი ახალი ფეხბურთელი შეეძინა. თუ ზინგარევიჩმა მართლაც გაიღო 20 მილიონი გირვანქა პირველ ეტაპზე, ეს "გუდისონ პარკზე" "ევერტონის" დიდების დაბრუნების დასაწყისი იქნება.

მარო მაჩხაანელის კუთხე



# იმედის ოლიმპიადა

ეგრე იცის დიდმა სიყვარულმა. დრო მოვა და, ადრე თუ გვიან, საქმეზე აგაღებინებს ხელს. თან ისეთ საქმეზე, პურს რომ გაჭმევს, ცხოვრებას კი თან ახალისებს და თან ფასს ადებს.

მოკლედ, ეგრე მთავრდება ხოლმე და ეგრეც დამთავრდა - დეკრეტულში გავედი.

მაგრამ გაზეთის ამბავი ხომ იცით, ერთი თუ მოიწამლე, მორჩა! ეს დეკრეტულიც დასრულდა და რა გამაჩერებდა უსაქმოდ, როცა ეგეთი ამბებია ქვეყანაზე.

ოლიმპიურ თამაშებზე მოგახსენებთ.

ჰო, განსაკუთრებული თამაშებია. საკუთარი და, თანაც, ახალი დროშითა და ჰიმნით, საკუთარივე ოქროს მედლებით, ისეთი სიხარულით, კაცს ტირილს დაგაწყებინებს.

მაგრამ, იმ ჭკვიანი კაცისა არ იყოს, წუთისოფელი განა შეგარჩენს რამეს?

არა, ძმებო და დებო, ეგეთი ოლიმპიადა მე არ მინახავს. აი, როგორ გითხრათ, ისეთია, რომ კომუნისტების დროს მოგანატრებს, ესესერს მოგანატრებს, სინიავსკისა და ოზეროვებს მოგანატრებს. ერთი სიტყვით, იმ სპორტულ გადაცემებს მოგანატრებს, რომლებშიც მხოლოდ საბჭოთა სპორტსმენების წარმატებებზე იყო საუბარი.

ერთი კი არის. მართალია, რუსები მხოლოდ "თავის" სახეობებს უჩვენებდნენ, მაგრამ ეს სახეობები თითქმის ყველა ოლიმპიურ სახეობას მოიცავდა და, ავად თუ კარგად, ოლიმპიური თამაშების სრულად ნახვის საშუალებას ნამდვილად იძლეოდა.

მერე კიდევ უფრო კარგად წავიდა საქმე. გაჩნდა ნაირ-ნაირი "თეფშები", "აიეტი", საკაბელო ტელეარხები... რა გინდა, სულო და გულო - როცა გინდა, რაც გინდა და რამდენიც გინდა.

მაგრამ, დეკრეტიდან გამოსულს, ცოტა არ იყოს, უცნაური ვითარება დამხვდა. НТВ სპორტი გათიშულია, "აიეტის" ევროსპორტი გათიშულია. სანაცვლოდ თამაშების ჩვენებას ტელეკომპანია "იმედი" გვპირდება. კეთილი და პატიოსანი, მით უფრო, რომ საქმეში "ჯეოსელი", "ვიზა" და ერთი-ორი ბანკიც არის ჩართული.

ეეჰ, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

პირველი დღე არაფერი. მეორე დღემაც, ასე თუ ისე, ჩაიარა, ახალი დაწყებულია და გასწორდება-მეთქი საქმე. აი, მერე კი, როცა ოლიმპიადის სანაცვლოდ გაუთავებელი რეკლამები და თოქ-შოუები შემოგვთავაზეს, სათაგურში მომწყვდეული ფიცხელასავით ავწრიალდი, მაშინ იყო, პულტს რომ ვეცი, ხან რა ჩავრთე და ხან - რა. გაგიგონია? აი, თურმე რა ყოფილა ექსკლუზიური უფლება - იმას რაც უნდა, იმას გაჩვენებს, შენი ექსკლუზიური უფლება და, საერთოდ, უფლება კი ის არის - გინდა უყურე და გინდა არა.

კარგად მესმის, რომ რაიმეს ჩვენების უფლების მოპოვება იაფი არ ღირს. ისიც მესმის, რომ რეკლამებით ამ დანახარჯების გადაფარვის თუ არა, შემცირების სურვილიც ჩვეულებრივი რამ არის. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ეს აქცია მაინცდამაინც ფულის მოგების სურვილით არ არის გაპირობებული. ასე რომ, ჩემი პრეტენზია იოტისოდენად არ ეხება დამფინანსებლებს, მე ჩემს - სწორი იქნებოდა მეთქვა, კოლეგებთან მაქვს-მეთქი საქმე, მაგრამ მართალი არ ვიქნები, რადგან ამ კოლეგებში სულ იოლად ჩაეწერება "Однако"-ს ნაცისტი წამყვანიც.

ჩემო ძვირფასებო, ჩანაფიქრი, შესაძლოა, კარგი გქონდათ, მაგრამ ბოლოს იმ ძაღლივით გამოგივიდათ, თვითონ რომ ვერ ჭამს და არც სხვას აჭმევს. დილიდან საღამომდე იმ გაუთავებელი, უნიჭო სადღეგრძელო-თოქ-შოუების ნაცვლად იქნებ ის გეჩვენებინათ, რასაც ასე ხმამაღლა შეჰპირდით ხალხს? ორიოდე დღეღა დარჩა ოლიმპიადის დასრულებამდე, დასხედით მერე, მოიწვიეთ ვინც გინდათ და ილაპარაკეთ რამდენიც გინდათ, ჯერჯერობით კი იქნებ მაინც ოლიმპიური თამაშები გვიჩვენოთ!..

მხოლოდ მეხუთე დღეს რომ გაგახსენდათ მძლეოსნობა, თან როგორი მისამღერით: "ხაზი უნდა გავუსვათ "იმედის" ბრწყინვალე ინიციატივას, რომ მძლეოსნობა გვიჩვენაო!" ჯერ მაგ აშკარა შეძრომისთვის, მერე კი უცოდინრობისთვის, თქვენი პატრონი ვიყო, ერთ დღეს არ გაგაჩერებდით1

ცოტა უხერხულიც კია აგიხსნათ, რომ ოლიმპიური თამაშები, უწინარეს ყოვლისა, მძლეოსნობაა. უხერხულია იმიტომ, რომ თქვენსავე მედია-ჰოლდინგში, კერძოდ კი გაზეთ "სპორტში" რამდენიმე ისეთი ბიჭი მუშაობს, ნებისმიერი რედაქტორი ინატრებს. იმათ მაინც რას ერჩით, თქვენს მაგივრად რატომ უნდა გაწითლდნენ?

ამ ოლიმპიადას დიდი იმედით ველოდი და იმათ, ვინც ჯერ აქ, მერე კი იქ, ათენში ოფლი დაღვარეს, გაამართლეს კიდეც. თქვენ კი რა ქენით? იმედის ოლიმპიადა "იმედის" ოლიმპიადად აქციეთ.

კაი ბატონო, ჯანდაბას ეს ყველაფერი, კაცი შეიძლება სპორტულ ჟურნალისტობას იბრალებდე და სპორტისა არაფერი გაგეგებოდეს. ჯანდაბას, ავდგები და დავხუჭავ ამაზე თვალს, მაგრამ საკუთარი ქვეყნის დროშის სახელი არ იცოდეს ჟურნალისტმა, წარმოუდგენელია. საერთოდ, რაც არ იცი, იმაზე არ უნდა ილაპარაკო, მაგრამ თუ მაინცდამაინც აგეშალა ლაპარაკის საღერღელი, სულ მარტივად შეიძლება მდგომარეობიდან გამოსვლა. თუნდაც, აი, ასე: "ჩვენი ქვეყნის დროშა", "საქართველოს დროშა", "საქართველოს სახელმწიფო დროშა". ეს ისე, ვარიანტებისთვის, სამომავლოდ კი, თუ ღმერთი გწამთ, ხუთჯვრიანი აღარ ახსენოთ, იმიტომ რომ იმას, რასაც თქვენ ხუთჯვრიანს ეძახით, თუ მაინცდამაინც სახელით გინდათ მონათლოთ, გორგასლიან-დავითიანი ჰქვია.

იმედია, დღეს ქართველ ტელემაყურებლებს კვლავ არ მოგვაწყენთ და თოქ-შოუებთან ერთად ტობაგო-ვენესუელის ხელბურთელთა მატჩსა და პლაჟის ფრენბურთის რამდენიმე ნაწყვეტს მაინც გვიჩვენებთ. პირველით ძალიან დაინტერესებული არიან ზემო მაჩხაანში. რაც შეეხება მეორეს, სპორტული დაინტერესებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, ლამაზი ტრაკების გათვალისწინებით, ქართველი მამაკაცების გულს ნამდვილად მოიგებთ.

აბა, დროებით, და რადგან ეგრე ძალიან გიყვართ სადღეგრძელოები, მეც სადღეგრძელოთი დაგემშვიდობებით:

თქვენს წასვლას და ცოტა უფრო ნიჭიერი ჟურნალისტების მოსვლას გაუმარჯოს!

# ტყე შეუნახე შვილებსა

## ცხოვრება და შემოქმედება ვასო აფციაურისა

ვაჟა ნარიმანიძე

1968 წელს დიდ ქართველ კომპოზიტორს რევაზ ლაღიძეს ოჯახში ორმა ფოლკლორისტმა მიუტანა ლექსი "ტყე შეუნახე შვილებსა" და სთხოვეს, დაეწერა მუსიკა. ლაღიძეს წაუკითხავს, ძალიან მოსწონებია და უკითხავს ავტორი. ფოლკლორისტებს არ სცოდნიათ – მოგვეწონა და გადმოვიწერეთ რომელიღაცა ჟურნალიდან თუ გაზეთიდანო, უპასუხიათ. მაშინ კომპოზიტორს საქართველოს მწერალთა კავშირში დაურეკია – არ ვიცით ავტორიო, უთქვამთ მათ. კომპოზიტორი იძულებული გამხდარა უავტორო ლექსისთვის მიეწერა სიტყვა "ხალხური". სიმღერა პირველად შეასრულა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა: დირიჟორი ანზორ კავსაძე, სოლისტი თემურ ქევხიშვილი. ეთერში გასვლისთანავე ხალხში ცხოველი ინტერესი გამოიწვია ლექსის ავტორის ვინაობამ, რეზო ლაღიძეს კი არასწორი ინფორმაცია ჰქონდა მიწოდებული ფოლკლორისტებისა და მწერლების მხრიდან ლექსის ვითომდა ხალხურობის შესახებ. თუმცა 1975 წელს შეიტყო რა არქეოლოგ თეიმურაზ ჩიქოვანისგან, რომ პირადად იცნობდა ლექსის ავტორს, ალგეთის ხეობის სოფელ ჭალაში მცხოვრებ ვასო აფციაურს, დიდი სურვილი დაებადა მის გასაცნობად; შეჰპირდა თეიმურაზ ჩიქოვანს, რომ თუკი ალგეთის ხეობაში მოხვდებოდა, აუცილებლად ინახულებდა ვასო აფციაურს. სამწუხაროდ, რეზო ლაღიძემ და თეიმურაზ ჩიქოვანმა არ იცოდნენ, რომ ლექსის ავტორი უკვე ოცი წლის გარდაცვლილი იყო. სახელოვანი კომპოზიტორიც მძიმე სენმა შეიპყრო და ისიც მოუკვდა საქართველოს. განგებამ არ ისურვა ერთმანეთს შეხვედროდა ეს ორი პიროვნება.

სიმღერა "ტყე შეუნახე შვილებსა" ტყისადმი მიძღვნილი ჰიმნია, რომელიც ბუნების შვილთა გონებაში დაიბადა. აღნიშნული ლექსის ავტორობაზე რამდენიმე ცრუ ავტორ-მთქმელმა განაცხადა პრეტენზია: ს. ახალკაციშვილმა (ჩამწერი უ. ცინდელიანი), ს. მაკარაშვილმა (ჩამწერი პროფესორი აპოლონ მახარაძე), ნიკო მოკვერიშვილმა (ჩამწერი ნ.ჩოკოლაშვილი), რის გამოც მიმდინარეობდა პოლემიკა. საბოლოოდ ჭეშმარიტებამ იზეიმა. აღნიშნული ლექსი ვასო აფციაურის ხელმოწერით პირველად 1926 წელს დაიბეჭდა ჟურნალ "ახალ სოფელში" ამ სახით:

**ტყეებს ნუ სჩეხავ, ძმობილო**
**მთა გატიტვლდება ბრალია**
**ია და ვარდი დაზრება ფესვებს მოუთხრის ქარია**
**ტყე შეუნახე შვილებსა მამა ხარ შენი ვალია**
**თორემ ჩამორეცხს ავდარი კლდეღა დარჩება სალია**
**მთის ცივი წყარო დაშრება ყანას მოგიჭამს კალია**
**ველარ იშოვი ხე-ტყესა, გამოგეთხრება თვალია**
**დაგლუპავს დაგანიავებს ძლიერი ზენა ქარია**
**ტყეს გაუფრთხილდი ძმობილო ტყე მუდამ შენი ფარია**
**მას ნუ ექცევი მტრულადა მოყვარედ მოიხმარია**
**შვილების ცოდვას ნუ იდებ გამოახილე თვალია.**

ვასო აფციაურს ტყის სარგებლიანობისა და დაცვისადმი ბევრი ლექსი ჰქონდა მიძღვნილი. ეს არ იყო გამოწვეული მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობით და არ წარმოადგენდა უბრალო აგიტაციას. მთაში გაზრდილს, ბუნების შვილს კარგად ესმოდა ტყის მნიშვნელობა. მისი პოეტური ბუნება ვერ ეგუებოდა, როცა ხედავდა, რომ ტყეს უმოწყალოდ ანადგურებდნენ და მოვლა-გაშენებაზე ნაკლებად ზრუნავდნენ. ვასო აფციაური პირველთაგანია, ვინც ქართულ პოეზიაში შემოიტანა ტყის დაცვის თემატიკა. ტყის თემაზე შექმნილმა ვასო აფციაურის ლექსებმა მალე ჰპოვა გამოძახილი, ისინი ძალზე სწრაფად ვრცელდებოდნენ ხალხში, გაუჩნდნენ მიმდევრები და ტყის დაცვის თემა საკმაოდ მძლავრად დამკვიდრდა თანამედროვე პოეზიაში. მარტო ტყეების ქომაგად როდი გვევლინებოდა ვასო აფციაური. მანგლისისა და თეთრი წყაროს რეგიონში, იგი მატერიალური კულტურის ძეგლთა დაცვის საქმესაც ემსახურებოდა. მთავრობამ 50 წლის გარჯა ღირსეულად შეუფასა მეტყევე-პოეტს და პერსონალური პენსია დაუნიშნა. მიუხედავად ამისა, სიცოცხლის ბოლომდე საუკუნეს მიტანებული ერთგულად ემსახურებოდა ბუნებისა და ისტორიულ ძეგლთა დაცვის საქმეს. ხელიდან არ გაუგდია კალამი და ფურცელი, ქმნიდა ლექსებს, პოემებს, მოგონებებს, აკეთებდა ჩანაწერებს, სამშობლოს დიდი პატრიოტი იყო და ბუნებისადმი უსაზღვრო სიყვარულს უნერგავდა ყველას. ამასთანავე ღრმად მოხუცებული თავისი რაიონის საკურორტო მნიშვნელობაზე დასძენდა: "ჩვენ მოვალენი ვართ ყოველივე გავაკეთოთ, რაც კი მომავალ თაობას ესაჭიროება. ამისთვის თეთრიწყაროს მოეპოვება ისეთი ადგილმდებარეობა, რომელიც არ ჩამოუვარდება კურორტ მანგლისს არც ჰავით, არც წყლით, არც მდებარეობით. აქ რომ დაარსდეს კურორტი, წინ გაუსწრებს სახელოვან მანგლისს ყოველ მხრივ". დღეისათვის მართლაც და მდინარე ალგეთის დიდი წყალსაცავია გაკეთებული და "ჭერმიანი" თავის შემოგარენით საკურორტო მნიშვნელობის ზონადაა გადაქცეული.

ვასო (ბასილ) აფციაური 1861 წელს დაბადებულა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ვანეთში მდინარე ვერეს ანუ სკვირეთის ხეობაში შიო აფციაურისა და თამარ გიგაურის ოჯახში. ვასოს შემდგომ ოჯახს შემატებიან: გაბრიელი, სვიმონი, ნინო, ბაბალე და გიორგი. ვასოს ბავშვობა მწყემსობაში გაუტარებია. მისი გვარის წინაპრები გუდამაყრიდან გადმოსულან თეთრიწყაროს რაიონის ტერიტორიაზე მე-18-19 საუკუნეებში. მათი გვარის განაყრები ყოფილან ჯალაბაურნი.

გუდამაყრიდან ვანეთში გადმოსული ვასო აფციაურის მამა – შიო, ბატონ შანშე ყორღანაშვილის მამულში დასახლებულა და მისივე გლეხი ყოფილა. შიო აფციაურს და მის მოდგმას "ჭინჭრიაანთ" ეძახდნენ, რადგან გუდამაყრის სოფელ ჭინჭრიაანიდან იყვნენ წამოსულები. ყორღანაშვილის უდიერ მოპყრობას შეუწუხებია შიო, აყრილა და ოჯახით გორის მაზრის სოფელ შუბათში ბატონ მაღალაშვილის მამულში გადასულა, თუმცა არც იქ დარჩენილა დიდხანს და თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ნამტვრიანში, მანგლისის მხარეს დასახლებულა, სადაც 15 კომლი ბატონი და 15 კომლი გლეხობა ყოფილა. 1887 წელს ნამტვრიანიდან მანგლისში ჩამოსული ვასო შემთხვევით გასცნობია ვაჟა-ფშაველას. 1889 წლიდან კი ვასოს მუშაობა დაუწყია ტყის მცველად მანგლისში გაიოზ თარხნიშვილთან. ბატონების გაყრასთან ერთად გლეხიც ხან ერთ, ხან მეორე ბატონთან გადადიოდა. ვასოს მამაც ნამტვრიანიდან გორის მაზრის სოფელ ჩაჩუბეთში გადასულა ცოლ-შვილით, თუმცა ადგილი ციებ-ცხელებიანი აღმოჩნდა და იქიდან ალგეთის ხეობის სოფელ ჭალაში ბატონ საგინაშვილის მამულში გადმოსულა და დასახლებულა. შიო აფციაურსა და თამარ გიგაურს დაოჯახებულ შვილებთან ერთად ოცდახუთ სულიან ოჯახში უცხოვრიათ. შიო "დევივით" კაცი ყოფილა, მაღალი, მხრებგანიერი, ჩადგმული, მკაცრი, მისი შიშით ვერც ერთი შვილი ვერ უბედავდა თქმას ცალკე გაყრაზე, მხოლოდ შიოს სიკვდილის შემდეგ გაყრილან შვილები. შიო აფციაური და თამარ გიგაური დაუკრძალავთ ალგეთის ხეობის სოფელ ხოპისის სასაფლაოზე.

ვასო აფციაურს ალგეთის ხეობის სოფელ ჭალაში ცოლად მოუყვანია სოფელ დრეში მცხოვრები ნათობაიძის ქალიშვილი და შესძენიათ: ვანო, დავითი, ანა და სონა. სამწუხაროდ, ვასოს მეუღლე ერთ დღეს შინდის მოსაკრეფად ხეზე ასული ჩამოვარდნილა და დაღუპულა. ვასოს მეორე ცოლი მოუყვანია – დარო გიგაური. ვასოს და დაროს გაუზრდიათ და დაუოჯახებიათ ხუთი შვილი: ვანო, დავითი, ანა, სონა და კოტე.

სოფელ ჭალაში არსებულ ადგილ-მამულში, სადაც ვასო აფციაური ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, გაშენებული ჰქონდა უამრავი და უნიკალური ჯიშის ხეხილი. ამ უნიკალურ ბაღში მდინარე ალგეთის ნაპირზე იდგა ხის ჩუქურთმებით გაწყობილი ორსართულიანი სახლი, სახლის ახლოს დიდი კაკლის ქვეშ ცივი ანკარა წყარო მოჩუხჩუხებდა, მის სიახლოვეს ჰყვარებია ვასოს სუფრის გაშლა მისული სტუმრისთვის და ამასთანავე, სათნო, დინჯი, ტკბილად მოსაუბრე, სტუმართმოყვარე, იუმორით სავსე, მოკაფიაკე, ხალხურ საკრავებზე ლექსების ზეპირად მთქმელი, დაუვიწყარი მასპინძელი ხდებოდა და ამის იყო, რომ იგი უყვარდა ყველას, ვინც კი მას იცნობდა. ამის დასტურია ისიც, რომ მას სიცოცხლეშივე ბევრმა მიუძღვნა ლექსი, როგორც დიდ ქართველსა და მამულიშვილს.

ყოველდღიურად ბუნების წიაღში მოტრიალე ვასო აფციაური საქართველოში მომხდარი ზოგიერთი ისტორიული მოვლენის მომსწრე და უშუალო მონაწილეც ყოფილა.

ის 1905 წლიდან საქართველოში წამოწყებულ ეროვნულ მოძრაობაში გაწევრიანებულა, პროკლამაციებს ავრცელებდა ხალხში, რისთვისაც დაუპატიმრებიათ, გაციმბირებასაც უპირებდნენ. თუმცა გაიქცა და ტყეში იმალებოდა. ახლოს იცნობდა სახალხო გმირს არსენა ჯორჯიაშვილს. 1924 წლის აგვისტოში, როდესაც ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჯანყება დაუწყია, ვასო აფციაური მისი რაზმის წევრი გამხდარა. ქაქუცას აჯანყება დამარცხდა. დაიწყო რეპრესიები. ქაქუცა მცირე რაზმით უცხოეთში გადაიხვეწა და საფრანგეთში გარდაიცვალა. ვასო აფციაური ქაქუცას არ გაჰყოლია უცხოეთში ნათესავ-ახლობლებისა და ოჯახის წევრთა დიდი ხვეწნა-მუდარის წყალობით. მასთან მეგობრობის ფაქტს კი შემდეგი ლექსით გამოეხმაურა:

**ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქართველი**
**ერის გმირია,**
**იმასთან ერთად რაზმშია ტყეში დღედაღამ მივლია**
**დამარცხდა, საქართველოდან წავიდა, ვალმოხდილია**
**მეც დავაპირე გაყოლა, ატირდა ცოლი, შვილია.**
**ბექაურთ თომაი გაჰყვა ფარცხისში გამოზრდილია.**

ტყეში გახიზნულ ვასო აფციაურთან საჭმელ-სასმელი მის ძმებს, ძმისშვილებსა და ოჯახის წევრებს მიჰქონდათ ხოლმე. შეხვედრა ხდებოდა საპაროლო სიტყვების დაძახების შემდეგ: "სანდრო, ჰაი, სანდრო, ძროხები საითა გყავს, სანდრო?!" ამის შემდეგ ვასო გამოდიოდა სამალავიდან, იტოვებდა მიტანილ ხორაგს, მოიკითხავდა ოჯახს, ნათესაობასა და კვლავ ტყეში გაუჩინარდებოდა. ზოგჯერ ვასო ახერხებდა ღამით ოჯახში მისვლას. ერთ ღამესაც სახლში ჩუმად მისული, მილიციის თანამშრომლებმა მიიმწყვდიეს. რას იზამდა? უთხრა: ხელები ამიწევია, გზარდებით; ერთი თხოვნა შემისრულეთ; ოჯახში უკანასკნელად სუფრა გამაშლევინეთო. სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს, ჩვენს ხელშია, სად წავა და დათანხმდნენ. გააშლევინა სუფრა რძალს, ნინო კახნიაშვილს, მოატანინა წინწანაქარის არაყი. კარგად შეზარხოშებულებს სასმელი შემოაკლდათ, ვასომ სთხოვა რძალს – არაყი მეზობლისგან გამოეტანა. ფეხმძიმე ქალმა შორს დაიჭირა თავი – ამ შუაღამისას სად გავალო! მაშინ ვასომ მიმართა "სტუმრებს": თუ მენდობით, მე მოგიტანთო. ისევ გადახედეს მთვრალებმა ერთმანეთს და გაუშვეს. ელოდნენ, ელოდნენ, რომ აღარ დაბრუნდა, მიხვდნენ, რომ გაბრიყვდნენ და პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ. ვასოს თივის ზვინში დამალული იარაღი აეღო და ალგეთგაღმა გასულიყო ტყეში. ერთ-ერთი მილიციელი, რომელიც ვასოს დაეძებდა დასაჭერად, ნოე ბოკერია იყო. ვასოს მისთვის მუქარის ლექსი დაუწერია და იმ გზაზე დაუგდია, სადაც მას უნდა გაევლო. ბოკერიას წერილი უნახავს და წაუკითხავს. შემდეგ ბოკერიას ცოლად შეურთავს ვასოს ნათესავი და ერთ დროს დაუძინებელი მტრები სამუდამოდ დამოყვრებულან. ბოლოს და ბოლოს, გააბრაგებული მეტყევე პოეტი მისივე ძმის, გოგლას მეშვეობით, რომელიც მილიციაში მუშაობდა, რეპრესიებს გადაურჩა. ვასო აფციაურთან ოჯახში სტუმრობდნენ სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანებიც. 1926 წელს დუშეთიდან სწვევია ფოლკლორისტი ვანო ხორნაული, რომელსაც ჩაუწერია ვასოს ზეპირად ნათქვამი ლექსები: "ტყე შეუნახე შვილებსა"; "ტყეებს ნუ სჩეხავ ძმობილო"...

მეტყევე-რევიზორ გიორგი აბულაძეს, რომელსაც 1926 წელს ვასო აფციაურთან სურათი გადაუღია და თბილისიდან თეთრიწყაროს რაიონში ადიოდა ტყეების შესამოწმებლად, მისგან წამოღებული ჰქონდა ერთი რვეული ხელნაწერი ლექსებისა, მათ შორის: "საყვარელ სტუმარს გიორგი აბულაძეს".



ვასო აფციაური 1930-იან წლებში

1933 წლის ზაფხულში თბილისიდან მანქანით ვასო აფციაურთან მისულან პოეტები: გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, იოსებ გრიშაშვილი. სახლის ქვემოთ წყაროსთან უქეიფიათ. წამოსვლისას ვასოს მათთვის მიუცია საკუთარი ხელნაწერი ლექსების რვეულები, წიგნად გამოსაცემად.

ვასო აფციაურთან ნაცნობობა ჰქონია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრს, ვარლამ ბურჯანაძეს (სამწუხაროდ, მისი მასალა ვასო აფციაურზე თბილისის კლასიკური გიმნაზიისთვის გადაცემული ვარლამის ქალიშვილების მიერ დამწვარა), პოეტ გიორგი ქუჩიშვილს, პავლე ბაჩანას ძე რაზიკაშვილს, რომელსაც 1940 წელს ვასო აფციაურისგან ჩაუწერია ლექსები, მოგონებები და ამასთან ერთად, წამოუღია მისი ლექსების რვეულები წიგნად გამოსაცემად.

1945 წელს ვასო აფციაურის სურათი წამოუღია ნათესავს, ჟურნალისტს სერგო გიგაურს, რომელიც ვასოს უნიკალურ ბიბლიოთეკაში დადიოდა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად. "გრდემლი", "ლიანდაგი", "ახალი სოფელი", "მნათობი", "ქართული მწერლობა", "ჩვენი თაობა", "არიფონი", "ახალი კავკასიონი", "პროლეტარული მწერლობა", "ქურა", "ხომალდი" და სხვა. ჟურნალ-გაზეთების სიუხვე ადასტურებდა, რომ ვასო დიდად იყო დაინტერესებული ლიტერატურული ცხოვრებით. ყველანაირ პერიოდულ გამოცემას ყიდულობდა, კითხულობდა და სხვებსაც აკითხებდა. 20-ან წლებში "ახალ სოფელში" ვასო აფციაურის ლექსები იბეჭდებოდა. პოეტთან სიახლოვეს სერგოსთვის ლექსის წერის მუზა გაუღვიძებია. ერთხელ ვასოს გაუგია, რომ ახალგაზრდა სერგო ფილტვებიდან ავადდებოდა და ერთი წლის განმავლობაში რძით, თაფლითა და კარაქით გამოუჯანმრთელებია.

1946 წლის ზაფხულში ძლიერი წვიმის შედეგად ადიდებულ ალგეთში შესვლა და მდინარის გაღმა გასვლა უცდია ვასოს ნათესავს, შალიკო ტატიშვილს. ვასოს გაფრთხილების მიუხედავად, მას მაინც შეუტოპია, შუამდე არმისულები ალგეთს წაუღია. ვასო არ დაბნეულა, გაქცეულა თავის სახლისკენ, მდინარის პირზე თუთის ხეებზე გამობმული ჰქონია თოკები. კაცი და ცხენი იმ ადგილზე უნდა გაეტარებინა ტალღებს. გადაუგდო თოკი და წყალწაღებული კაცი ნაპირზე გამოიყვანა. ჩაუტარა დახმარება, წაიყვანა სახლში, ახალი ტანსაცმელი ჩააცვა, პური აჭამა, დაასვენა. ცხენი კი ალგეთს გაღმა გასულიყო.

1953 წლის ზაფხულში თეიმურაზ ჩიქოვანის ხელმძღვანელობით, თბილისიდან ალგეთის ხეობაში ჩასულ არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებისთვის მას მასპინძლობა და მეგზურობა გაუწევია. ჯერ სუფრა გაუშლია, შემდეგ ფანდურზე დაუმღერებია სიბერეზე ნათქვამი საკუთარი ლექსი.

ვასოს უჩვენებია ასევე საკუთარი ხელნაწერები ექვსი რვეული. სტუმართა წინადადებაზე – წიგნად გამოსცემდნენ მის ლექსებს, - უარი მიიღეს, რადგან ამდენივე რვეული ასეთივე დაპირებით წაუღია ერთ მწერალს და მათ უკვე ვეღარ ენდობოდა. ვასო აფციაურს ექსპედიციის წევრებისთვის ალგეთის ხეობაში არსებული ყველა ისტორიული ციხე-კოშკი, ეკლესია-მონასტერი (მათ შორის, "გუდარეხისა"), ნასახლარი, გამოქვაბული უჩვენებია. ასევე დარანი, ალგეთზე გადებული ხიდის მარცხენა მხარეს, სადაც იმალებოდა არსენა მარაბდელი. წამოსვლის წინ სტუმრებსა და მასპინძელს სურათი გადაუღიათ. თბილისში დაბრუნებულ არქეოლოგ თეიმურაზ ჩიქოვანს მეგობარი პოეტის ვახტანგ კეკელიძისთვის უთხოვია, ჩასულიყო ალგეთის ხეობაში და გასცნობოდა ვასო აფციაურის შემოქმედებას. მოგვიანებით, თეიმურაზ ჩიქოვანს კომპოზიტორ რეზო ლაღიძისთვის უთქვამს, რომ პირადად იცნობდა ლექსის, "ტყე შეუნახე შვილებსა", ავტორს.

1955 წლის მაისში, როდესაც ბუნება სიცოცხლით ივსებოდა, ღრმად მოხუცებული ვასო აფციაური სიცოცხლისგან იცლებოდა. ბუნებაში გასვლა ენატრებოდა, ტყეებზე სწუხდა. მეუღლე დაროს, შვილიშვილ გრიშას ხელით, ვანეთიდან ნაჭერში გამოხვეული მიწა ჩამოატანინა – საწოლში მყოფს ცრემლები ჩამოსცვენია. ყოველ დღე დაროს ვასოსთან ბალახი და ყვავილები შეჰქონდა. საწოლთან ვაჟა-ფშაველას ნაჩუქარი თოფი მიეყუდებინა, სკამზე საკუთარი ხელნაწერი რვეულები და სურათები ეწყო. ახლა ყველაზე მეტად სიცოცხლე ენატრებოდა, სიკვდილზე ფიქრი მოსძალებოდა:

**დრო მოვა, მეც დავიძინებ,**
**დამეხუჭება თვალები,**
**სამარეს ჩამასვენებენ**
**შავად ჩაცმული ქალები.**
**ხორცს შავი მიწა მიიღებს,**
**დაიშლებიან ძვალები**
**რაც მიწერია შუბლზედა,**
**იმას ვერ დავემალები.**

24 მაისს, დილით გარდაიცვალა. კაცობრიობას ანდერძად დაუტოვა ლექსად ქცეული მარადიული სიტყვები: "ტყე შეუნახე შვილებსა".

ვასო აფციაურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მწუხარებით აღსავსე ლექსი დაუწერია ალგეთის ხეობის სოფელ ფარცხისში მცხოვრებ პედაგოგ ლექსო ბერიძეს.

მის დაკრძალვაზე ზღვა ხალხი მისულა. მისი ცხედარი ფოთლებში და ყვავილებში ყოფილა ჩაფლული. გასვენებაზე პოეტ გიორგი ლეონიძეს სხვა მწერლებთან ერთად ყვავილების დიდი გვირგვინი მიუტანია და გამოსათხოვარი სიტყვა და ლექსი წაუკითხავს სხვა გამომსვლელებთან ერთად. ვასოს ცხედართან მწერლებსა და ნათესავებს სურათი გადაუღიათ. დაუკრძალიათ ვასო აფციაური ალგეთის ხეობის სოფელ ხოპისის სასაფლაოზე. საფლავის ქვაზე ასეთი სიტყვებია ამოტვიფრული: "მე, ვასო შიოს ძე აფციაური დავიბადე 1861 წელს, გარდავიცვალე 1955 წელს. 50 წელი ვემსახურე ტყესა და მის დაცვას. მიყვარდა ერი, მხარე, სადაც მეღირსა ეს საფლავი. მკითხველო კეთილო, კეთილი გეღირსოთ, ძმანო, ნუ დაიშურებთ შენდობას. ჩემი ეს სამარე ამიშენა ჩემმა მეუღლემ დარომ."

1962 წელს ხოპისში ვასო აფციაურის შვილიშვილის, გრიშას ოჯახში მისულა ვასოს ძმა გიორგი და უთქვამს: ვასო ჩემი ძმა იყო და მისი დანატოვარი არქივი (ბიბლიოთეკა, ხელნაწერები...) ჩემთან უნდა იყოსო და მანქანით წაუღია თეთრიწყაროში. რაიონის გაზეთში დაბეჭდილ ლექსებს რატომღაც, მისი ძმის, გოგლას სახელი ეწერებოდა. ერთხანს კი უფიქრია ვასოს შვილიშვილს, ასულიყო რაიონის რედაქციაში და ეთქვა სიმართლე, მაგრამ...

1962 წელს ალგეთის ხეობის სოფელ ჭალიდან ვასო აფციაურის სახლიდან მისივე ძმის, სვიმონის შვილებმა – თედომ და მარუსამ, იმავე ხეობის სოფელ ფარცხისში ხელით წამოიღეს ვასოს ნაქონი ხის სკივრი, რომელშიც ეწყო ვაჟა-ფშაველას თოფი, წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, ხერხი, შალაშინი, სპილენძის ქვაბი ჯალაბობისა, რომელშიც ოცდახუთსულიანი ოჯახი საჭმელს ამზადებდა. ასევე, ვასოს ხელნაწერების ნაწილი. იმავე წელს ვასოს ოჯახიდან მისმა ნათესავმა, მანგლისელმა თედო წიკლაურმა წაიღო ვასოს ნაქონი პატარა ხის სკივრი წიგნებთან, ჟურნალ-გაზეთებთან, ნაწილობრივ, ვასოს ხელნაწერებთან ერთად.

1982 წელს ფოლკლორისტ ვახუშტი კოტეტიშვილს თეთრიწყაროდან ვასო აფციაურის ძმის, გაბრიელის შვილის, ვანო აფციაურისგან წამოუღია ვასო აფციაურის ხელნაწერი ლექსების ოთხი რვეული, რომლებიც სამწუხაროდ მის სახლში მომხდარი ხანძრის შედეგად განადგურდა.

ისე ჩავიდა საფლავში ვასო აფციაური, რომ ვერ ეღირსა საკუთარი ლექსების წიგნად გამოცემას. ნელ-ნელა გაიზიდა და გაიფანტა ხალხში მისი უზარმაზარი ბიბლიოთეკა უნიკალური წიგნებით – ვახუშტი ბატონიშვილის "საქართველოს გეოგრაფიით" დაწყებული, საკუთარ ხელნაწერებთან ერთად.

ალგეთის ხეობის სოფელი ჭალა, სადაც ცხოვრობდა ვასო აფციაური, დღეს მდინარე ალგეთის წყალსაცავით არის დაფარული.



ტყის თემაზე შექმნილმა ვასო აფციაურის ლექსებმა მალე ჰპოვა გამოძახილი

**P.S.** 2002 წლის 22 მარტს თბილისის მერიაში მოწყობილ საღამოზე ვასო (ბასილ) შიოს ძე აფციაურის ცხოვრება-შემოქმედების განხილვას ქართველი საზოგადოების დიდი დაინტერესება მოჰყვა, სადაც აღნიშნა, რომ მისი სახით ქართულ პოეზიას მოევლინა უდაოდ ძალზე საინტერესო პოეტი, ერს - დაუჩოქებელი სულის რაინდი, ხოლო ბუნებას - უდიდესი ქომაგი და მესაიდუმლე. იქვე გადაწყდა, რომ მისი შემოქმედებითი ნიჭისა და ღვაწლის დაფასების მიზნით: მშობლიურ კუთხეში გაიხსნებოდა მუზეუმი, დაიდგმებოდა ბიუსტი და ქვაში ამოიტვიფრებოდა ლექსი – "ტყე შეუნახე შვილებს"; სკოლის პროგრამაში შეიტანდნენ მის შემოქმედებას; დაფუძნდებოდა მოძრაობა "ტყე შეუნახე შვილებსა", ტყის დაცვისა და მოვლა-გაშენების მიზნით; შეიქმნებოდა "საზოგადოება ვასო აფციაურისა"; დაწესდებოდა "ტყის დაცვის დღე"; დაწესდებოდა "ვასო აფციაურის სახელობის პრემია" საუკეთესო მეტყევისათვის.

# ბრაზილიური სერიალის რუსული ხიბლი

ბრაზილიური საპნის ოპერის მოყვარულები გუშინ ახალ ტელე-სერიალს ჩაუსხდნენ, ოღონდ "რუსთავი-2"-ზე. "შეყვარებული ქალები" - ასე ჰქვია ბრაზილიის უდიდესი სატელევიზიო ქსელის "გლობოს" მორიგ ნაწარმს, რომელიც, ეჭვი არ შეგეპაროთ, უამრავ თაყვანისმცემელს გაიჩენს. მანამდე კი მზიან და ცხელ ბრაზილიაში საპნის რეალობით მცხოვრებ ტელე-მაყურებელს ახალ კერძს უმზადებენ და თან რუსული ნავთობის სანელებლით. უფრო კონკრეტულად, ახალი სერიალის მოკლე რეზიუმე "როიტერის" ჟურნალისტის ნაამბობის მიხედვით ასეთია: რუსი ნავთობ-მაგნატი, რომელიც მეხსიერებას დაკარგავს, შეიტყობს, რომ წარმოშობით ბრაზილიელია. თურმე, მისი ოჯახი მთლიანად ამოწყვიტეს. შემდეგ მაგნატი ტროპიკულ სამშობლოში შურის საძიებლად, დაკარგული სიყვარულის საპოვნელად და ბიზნესის ასაწყობად მიდის.



სანამ რუსულ ფავორიტს გაიჩენდა, ბრაზილიელებმა იტალიური თემატიკა აითვისეს.

ერთი სიტყვით, ახალ სერიალში ახალი თითქმის არაფერია. მეხსიერების დაკარგვა, დაკარგული სიყვარულის ჯერ დატირება და მერე შეყვარებულთან კვლავ შეყრა, შურისძიება, სამართლიანობის ზეიმი და ბოლო სერიაში გახსნილი ყველა საიდუმლო პლუს, სასურველია, ქორწილი - ეს ხომ ტელენოველებისთვის დამახასიათებელი მარადიული თემები და კვანძის გახსნის ხერხებია.

თუმცა, ერთგვარი სიახლე სერიალში "ყველაფერი თავიდან დაიწყე" მაინც შეინიშნება. ის, ბოლო დროს გადაღებული ბრაზილიური საპნის ოპერების მსგავსად, უფრო მეტი უცხოური სიუჟეტითა და საზღვარგარეთ გადაღებული ეპიზოდებით გამოირჩევა. სცენარებზე ბოლო ხანს ხომ მზარდ გავლენას ახდენს მსოფლიო გეოპოლიტიკური სურათი, რის გამოც რიგ ეპიზოდებს სხვა ქვეყნებში იღებენ.

ასე რომ, სერიალით "ყველაფერი თავიდან დაიწყე" ბრაზილიური საპნის ოპერა ახალ ცხოვრებას იწყებს. სცენარისტი ანტონიო კალმონი განმარტავს: "იდეა ასეთი იყო. უნდა გადაგვეღო ტელენოველა ნავთობ-სამყაროს და ჩვენი ოფშორული ჭაბურღილების ანძების შესახებ. თავიდან არჩევანი ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე და იქაურ მაგნატზე შევაჩერეთ. პირვანდელი სცენარის მიხედვით, ის ბრაზილიაში უნდა ჩამოსულიყო და ჩვენს ქვეყანასთან ერთად ახალი ბიზნესი წამოეწყო. მაგრამ მერე სიტუაცია შეიცვალა, მადრიდის ტერაქტი მოხდა. ამიტომაც პერსონაჟი მოსკოველად გადავაქციეთ და, საბოლოო ჯამში, მონტე კრისტოს სტილის სიუჟეტი გამოგვივიდა: გვყავს გმირი, ანდრეი კარამაზოვი, რომელსაც ყველას ამოუხოცავენ, და ის შურის საძიებლად უკან, ძველ სამშობლოში ბრუნდება".

მართალია, ბრაზილიელი სცენარისტების შთაგონების წყაროს რუსი ნავთობ-მაგნატები წარმოადგენენ, მაგრამ გადაღების ხარჯებს ბრაზილიური ნავთობი ისტუმრებს. ქვეყნის უდიდესი კომპანია, სახელმწიფო ნავთობ-გიგანტი "პეტრობრასი" სერიალის მთავარი სპონსორია და სწორედ მისი მოთხოვნით დაიწერა სცენარი ნავთობის თემაზე.

"ყველამ კარგად იცის, რომ ბრაზილიაში "პეტრობრასის" გარეშე არაფერი კეთდება. მისი ინვესტიციებით ტელე-სერიალისა და კინოს სამყარო სავსეა. მაგრამ გარწმუნებთ, საქმე მხოლოდ ფინანსურ ინტერესსა და გარიგებაში არ არის. ნავთობის ჭაბურღილებიდან მართლაც ულამაზესი ხედები გადავიღეთ", - დასძენს კალმონი.



"მონა იზაურამ" პოსტ საბჭოთა სივრცეში სერიალების სეზონი გახსნა.

ახალ სერიალზე პროდიუსერები დიდ იმედს ამყარებენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ "გლობოს", რომელსაც საპნის ოპერების ყველა მოყვარული კარგად იცნობს, უკეთესი დროებაც ახსოვს. ახლა კომპანია ვალებშია ჩაფლული და რეკლამების შემცირებული მოგებისა და კონკურენციის გამო ძლივს უძლებს რეალობას, რომელიც საპნისას სულაც არ ჰგავს.

"ყველაფერი თავიდან დაიწყე" 150 საათიანი იქნება და მისი პრემიერა ბრაზილიურ არხზე აგვისტოს ბოლოს შედგება. თანარეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი უკვე ჭაღარაშეპარული მარკუს პაულოა. სწორედ ის თამაშობს მოსკოველი მაგნატის როლს, რომელსაც ერთი ქალი მოსკოვში უყვარს, მეორე კი ბრაზილიაში დაუტოვებია, სანამ მოსკოვისკენ აიღებდა გეზს (შეგახსენებთ მას მეხსიერება ღალატობს). ეს ბრაზილიელი ლამაზმანი პაულოს დაკარგული სიყვარულია. ის გატეხილი მედალიონის ნახევარს სათუთად ინახავს, მეორე ნახევარი - ბიზნესმენს აქვს...

ცხადია, ახალ სერიალში გამოხატული ეს რუსული-ბრაზილიური ტანდემი საპნის ოპერების რუს თაყვანისმცემელს ძალიან ახარებს. სერიების ნაწილი ხომ მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში გადაიღეს. კალმონის თქმით, "რუსებმა გულითადად გვიმასპინძლეს. უკან საოცარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით". სცენარისტი ასევე აცხადებს, რომ შთაგონების წყაროდ ტოლსტოსა და დოსტოევსკის მიიჩნევს.

ახალ საპნის ოპერაში არაფერია ნათქვამი რუსეთში ბოლო 15 წლის განმავლობაში განვითარებულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებზე. შესაბამისად, ვერავინ ხვდება, თუ რა გზებით მდიდრდება ანდრეი კარამაზოვი. კალმონი ასევე დასძენს: "მისი ისტორია არაფრით უკავშირდება არც "იუკოსის" საქმეს. სერიალში არც კგბ გვყავს და არც რუსული მაფია. არ გვინდოდა ამ უარყოფითი იმიჯებით რუსეთის ანდა საბჭოთა კავშირის რეპუტაცია შეგველახა".

მოკლედ, "გლობო" იმედოვნებს, რომ რუსული პეიზაჟები და ჟღერადობა მათ ნაწარმს ახლებურ ხიბლს შესძენს. ამ აზრს დამშვიდობებამდე სერიალის მთავარი სცენარისტიც გვიდასტურებს: "ტელენოველა აუცილებლად უნდა შეიცავდეს მოგზაურობის ელემენტს, რადგან ის სახლში მყოფი ადამიანებისთვის კეთდება. ცხადია, სხვა ქვეყნებში რიგი ეპიზოდების გადაღების ხერხი სიახლე არ არის, სამაგიეროდ სერიალი არასდროს გადაგვიღია რუსეთში. ეს კი მართლაც მნიშვნელოვანი ამბავია".

## TV პროგრამა

24 აგვისტო

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** სერიალი "უკვდავი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.45** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "მტრის ზურგში" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "საგზაო ისტორიები. მესამოცე ტრასა". მთ. რ-ში: ჯეიმს მარსდენი, გარი ოლდმენი (15).

### პირველი არხი

**07.55** მოამბე **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** სერიალი "ფსიქფაქტორი" **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** სერიალი "ფორსაიტების საგა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი **17.05** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **17.30** სერიალი "ჩემი ყველაზე ლამაზი არდადეგები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** "ქიმერიონი" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მუს. არჩევნები **00.55** მხ. ფილმი "იასამნისფერი ტაქსი" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე (განმ). **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "მექსიკელი" **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "უკან მომავალში 3" **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "სხვა 48 საათი" **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "ძალიან საშიში კინო 2"

### მზე

**09.00** "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "ფანტაზიების კუნძული" **12.00, 21.45** დეტ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.05** მხ. ფილმი "სიცილიური კლანი" (გ) (ჟან გაბენი) **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "იაზონი და არგონავტები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** "ფარული კამერა" **18.50** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" **00.00** მხ. ფილმი "ოცნების მეომარი" (18) (ლანს ჰერიკსენი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "სიმბა-ფეხბურთელი" **19.30** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **21.00** მთავარ როლში **22.00** მხ. ფილმი "მარტინ გერის დაბრუნება" (15)

### იმედი

**08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.00** ქრონიკა **08.15** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **09.45** ოლიმპიური თამაშები: ბ. რ. ჭიდაობა, მძლეოსნობა, ცხენოსნობა. **13.10** ბ. რ. ჭიდაობა (გაგრძელება), ცხენოსნობა (გაგრძელება), ტანვარჯიში. **15.10** ფრენბურთი (ქალები), მეოთხედფინალი, ხელბურთი (კაცები), მეოთხედფინალი, კალათბურთი (კაცები), მე-11-12 ადგილი. **17.10** კალათბურთი (გაგრძელება), ხელბურთი (კაცები), მეოთხედფინალი, ტრეკი, ბ. რ. ჭიდაობა, წყალბურთი (ქალები) ნახევარფინალი. **19.20** სერიალი "კლონი" **20.05** ოლიმპიური თამაშები: ტრეკი (გაგრძელება), ბ. რ. ჭიდაობა, მძლეოსნობა, ძალოსნობა. **22.20** მძლეოსნობა (გაგრძელება), ძალოსნობა (გაგრძელება), წყალში ხტომა (კაცები), ფეხბურთი (კაცები), ნახევარფინალი. **00.05** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **01.30** ტვ-მარკეტი **02.15** იმედის მელოდიები

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "გრაფი მონტე კრისტო" (გ) **19.40** დოკ. ფილმი **21.50** მხ. ფილმი "ტკბილი ნოემბერი" (18)

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00,12.00, 15.00,18.00** Новости **09.20, 21.30 "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" Сериал 10.30, 19.00 "КЛОН" Сериал 11.30** Дневник XXVIII летних Олимпийских игр **12.10 Х/ф "ЧЕЛОВЕК БЕЗ ПАСПОРТА" 14.00 "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ" Сериал 15.20 "АНГЕЛ НА ДОРОГАХ" Сериал 16.30** Криминальная Россия **17.00** "Слабое звено" **18.20** "Властелины колец". Дневник Олимпиады **20.00 "ЧЕРНЫЙ ВОРОН" Сериал 21.00** Время **22.30** На XXVIII летних Олимпийских играх **00.00 "ДОКТОР ЖИВАГО" Сериал 01.10** На XXVIII летних Олимпийских играх **02.20 "24 ЧАСА" Сериал 03.10 Х/ф "В ПОСТЕЛИ С УБИЙЦЕЙ" 04.40 "ДОКТОР КУИНСИ" Сериал 05.30** "Все путешествия команды Кусто"

### НТВ

**06.00** Утро на НТВ **08.50 "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2" Сериал 10.00** "Сегодня утром" **10.25** "Их нравы" **11.20** "Страна советов" **12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **12.30 Х/ф "НАЙТИ И ОБЕЗВРЕДИТЬ" 14.15** "Время есть" **14.35** "Криминальная Россия" **15.35** "Принцип домино" **17.30 "МУР ЕСТЬ МУР" Сериал 18.35** "Криминальная Россия" **19.40 "РОДИНА ЖДЕТ" Сериал 20.50 "Я ВСЕ РЕШУ САМА " Сериал 22.00** "Страна и мир" **22.45 Х/ф "НАСТОЯЩЕЕ ПРЕСТУПЛЕНИЕ" 01.15 "РОДИНА ЖДЕТ" Сериал**

## იაპონური ხატვა

წინა კროსვორდის პასუხი



## სკანვორდი

1. კოლხეთის მითიური მეფე
2. ჰაერში ასაშვები სათამაშო
3. სინამდვილის გამკიცხავი ლიტერატურული ნაწარმოები
4. დედამიწის ზედაპირის შემცირებული გამოსახულება, ნახაზი
5. არასაწარმოო შემოსავალი
6. თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში
7. დიპლომატიური დოკუმენტი
8. რუსი, საბჭოთა ბალერინა
9. ქონების გადაცემა კერძო მფლობელობაში
10. სასიყვარულო პოეზიის მფარველი მუზა
11. კანის ქრონიკული დაავადება
12. ფეხბურთის ქართველი მწვრთნელი
13. ჯ. პუჩინის ოპერა
14. ციხე-სიმაგრე ლონდონში
15. სისხლძარღვი
16. ნებაყოფლობითი კავშირი, გაერთიანება
17. 1986 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის თილისმა
18. კუნძულ სიცილიის ადმინისტრაციული ცენტრი
19. ბაშკირებისა და თათრების დღესასწაული
20. თოფის წამალი
21. ქონების სარეგისტრაციო წიგნი
22. წელიწადის დღეების აღრიცხვის სისტემა
23. ნოტიო ტყე სამხრეთ ამერიკაში
24. ინგლისელი კინორეჟისორი
25. რისამე გამყოფი თხელი კედელი
26. დედოფლის ამალის დიდგვაროვანი ქალბატონი
27. სპორტული შეჯიბრება საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად
28. ნალის ფორმის მარჯნის კუნძული
29. უძველესი სლავური ანბანი
30. იალქნის სამაგრი მაღალი ბოძი
31. გამოჩენილი იამაიკელი სპრინტერი ქალი
32. კვების განსაზღვრული რეჟიმი
33. პორტუგალიის ყოფილი დიქტატორი
34. დანაშაულის განმეორებით, მრავალგზის ჩამდენი



## ემინემი ყველგან ჩხუბობს



ფლორიდის ერთ-ერთი რესტორნის ადმინისტრაციამ ემინემს არ მისცა საშუალება მათთან ესადილა. ამის მიზეზი რეპის ვარსკვლავის "ზედმეტად ცუდი საქციელია", - მიაჩნიათ რესტორნის მესვეურებს.

თეთრი რეპერი "დისნეის" პარკში საკუთარ რვა წლის გოგონასთან, ჰეილისთან და მეგობარ-კოლეგა დოქტორ დრისთან ერთად იყო. თუმცა, თვითმხილველთა თქმით, მეგობრული იდილია დიდხანს არ გაგრძელებულა - ვარსკვლავებმა ჩხუბი დაიწყეს. ემინემის პირადმა დაცვამ რესტორნის ოფიციანტი ძირს დააგდო, რის შემდეგაც რესტორნის წარმომადგენლებმა უარი უთხრეს ვარსკვლავებს მომსახურეობაზე და სთხოვეს დაეტოვებინათ იქაურობა. "საპატიო სტუმრებისადმი" ასეთი მოქცევა რესტორნის ადმინისტრაციის მხრიდან იმანაც განაპირობა, რომ მასპინძლებს რეპერების "საშინლად ვულგარული" ჩაცმულობა არ ესიამოვნათ.

## ბრუკ შილდსის დაბრუნება



მას შემდეგ რაც "ცისფერ ლაგუნასა" და კიდევ რამდენიმე ადრეულ ფილმში გამოჩნდა, ბრუკ შილდსი ძალიან შეიცვალა. თუმცა, თაყვანისმცემლების არმია მაინც შეინარჩუნა. სწორედ მათ გასაგონად უნდა მოგახსენოთ, რომ მსახიობი მალე ბროდვეიზე სპექტაკლში "მშვენიერი ქალაქი" გამოჩნდება.

ეს ძველი სპექტაკლია, რომელშიც როსალინდ რასელი, ბეტი კომდენი და სხვები თამაშობდნენ. ახლა მწერალ რუთ შერვუდის როლს, რომელიც 1930-იან წლებში ოჰაიოდან ნიუ იორკში წარმატების საძიებლად მიემგზავრება, შილდსი შეასრულებს. მიუზიკლისთვის პარტიტურა ლეონარდ ბერნსტეინს ეკუთვნის. პირველად სპექტაკლი ხანგრძლივი შესვენების შემდეგ შარშან ნოემბერში უჩვენეს. საუკეთესო ქორეოგრაფიის რანგში მან "ტონიც" მოიპოვა.

რაც შეეხება ბრუკ შილდსს, მას ბროდვეიზე ადრეც უთამაშია, Grease-ი და "კაბარე" მისი გამორჩეული თეატრალური პროექტებია. ვნახოთ, როგორ კრიტიკას დაიმსახურებს ბერსტეინის მუსიკაზე ამღერებული მსახიობი ამჯერად.




## კროუფორდი - ახალი სახე



ამერიკელმა მოდელმა სინდი კროუფორდმა გადაწყვიტა მიებაძა ყოფილი კოლეგების - ლინდა ევანჯელისტასა და ნადია აუერმანის მაგალითისთვის და მათ მსგავსად სამოდელო ბიზნესში დაბრუნებული იყო. ივლისში მან ხელი მოაწერა კონტრაქტს ახალგაზრდა სამოდელო სააგენტო Planit M-თან. ორწლიანი შესვენების შემდეგ ცნობილი მოდელის პირველი კონტრაქტის პირობების მიხედვით, სინდი მსხვილი ბეწვეულის კომპანიის - Blackglama-ის სახე ხდება. ამ ყველაფრის საფასურად კი კროუფორდი მნიშვნელოვანი თანხის გარდა, მიიღებს უფლებას, დაიტოვოს ყველა ის ქურქი, რომელსაც გადასაღებ მოედანზე გამოიყენებს სარეკლამოდ.

სარეკლამო კამპანია პრესაში ოქტომბრიდან დაიწყება. თუმცა, ცნობამ Blackglama-ის სახედ სინდის შერჩევის შესახებ, უკვე დაბადა შეკითხვები: 1995 წელს სინდი თავის სახელგანთქმულ კოლეგებთან (ნაომი კემბელი, კეიტ მოსი, ელ მაკფერსონი, კლაუდია შიფერი, კრისტი თარლინგტონი) მონაწილეობა მიიღო "მწვანეების" ორგანიზებულ აქციაში I`d Rather Go Naked Than Wear Fur ("მირჩევნია ვიარო შიშველმა, ვიდრე ჩავიცვა ბეწვეული"). ამის მიუხედავად, Blackglama-ში ექვობენ, რომ სინდის გადაწყვეტილება სკანდალს გამოიწვევს.

რაც შეეხება სინდის წინამორბედებს, თავის დროზე Blackglama-ის სახეები იყვნენ: ბეტი დევისი, მარლენ დიტრიხი, ლორენ ბეკოლი, რიტა ჰეივორტი და ჟიზელ ბიუნდხენი.

## როგორც საკუთარ სახლში



ნორა ჯონსი პუბლიკას მუდამ უმტკიცებდა, რომ ვარსკვლავის სტატუსს და ვარსკვლავურ ცხოვრებას ვერაფრით ეგუება. და აი, როგორც იქნა, შეეგუა. თავისი პირველი და სუპერპოპულარული ალბომის Come Away With Me-ის გამოსვლიდან ორი წლის თავზე, ჯონსმა მეორე ჩანაწერი გამოუშვა Feels Like Home და ახლახან ისიც განაცხადა, რომ ბოლოს და ბოლოს თანდათან მოსწონს პოპულარობა.

"თავიდან ამ ახალმა ტალღამ ჩემს ცხოვრებაში ძალიან დამაფრთხო. მე ხომ მხოლოდ მუსიკოსი ვარ და უცებ აღმოჩნდა, რომ ამასთან ერთად, ვარსკვლავიც უნდა გავმხდარიყავი", - განუცხადა მან გაზეთ "ბალტიმორ სანს". პროტესტის ნიშნად, თურმე, ნორამ საკუთარ თავზე დაწერილი საგაზეთო წერილების კითხვაც შეწყვიტა, რადგან მიხვდა, რომ სიმართლეს იქ არავინ წერდა. "ხალხს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ მე ძალიან მელანქოლიური და რომანტიკული ვარ, რომ სულ ჩურჩულით ვლაპარაკობ. არადა, სულაც არა. პირიქით - ძალიანაც პირდაპირი ვარ".

მისი პირველი ალბომი 18 მილიონი ეგზემპლარით გაიყიდა და რვა "გრემით" დაჯილდოვდა. მეორე ალბომი კი 5 მილიონი ეგზემპლარითაა უკვე გაყიდული. Feels Like Home, ნორას თქმით, მისი ბენდის ფასეულობებს და ხასიათს ასახავს. "სწორედ ასეთები ვართ ჩვენ", - დასძენს ის და აცხადებს - "ახლა, როცა ვარსკვლავობასაც მივეჩვიე, შეჩერება არ მინდა. მხოლოდ 25 წლის ვარ, მინდა გავერთო და კარგი მუსიკა შევასრულო".

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

გაერო-ს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობა საქართველოში აცხადებს ტენდერს ა/მანქანის შეძენაზე შემდეგი სპეციფიკაციით:

- 4X4 მაღალი გამავლობის;
- ძრავის მინ. მოცულობა: 30.0; დიზელი ან ტურბო-დიზელი;
- მექანიკური გადამცემი კოლოფი, 5 სიჩქარიანი;
- სალონი: 8-10 ადგილი;
- კონდიციონერი და სასურველია, აუდიო მაგნიტოფონი.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი წინადადება დალუქულ კონვერტში ქ-ნი ნატო გზობავას სახელზე შემდეგ მისამართზე: გაერო-ს სახლი, ერისთავის ქ. N9, თბილისი 0179. წინადადების წარდგენის ბოლო ვადაა ა/წლის 6 სექტემბერი.




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.